ბა თბილისის ისტორიული უბნების დაცვის, რესტავრაციისა და რეგენერაციის შესახებ თვალსაჩინო მოვლენა, ახალი ერა ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურულ ცხოვრებაში. ეს გახლავთ ზრუნვა თბილისის გამშენიერების, თვითშეფიცად, განუმეორებელი არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნისათვის. ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (ავტორი და ხელმძღვანელი არქიტექტორი შ. ყავლაშვილი) იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ რა თავისებურ მხატვრულ უბნებს მივლიდეთ დედაქალაქის განაშენიანებაში. ჩვენი ისტორიული რაიონები თბილისის განაშენიანების საერთო არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაში იქნება თავადღვივით, მსგავსად დალქატონის ღირიკისა ლიტერატურაში, რასაც სქირდება დიდი ურთაღებდა, თვალსაჩინოვით გაფრთხილება, როგორც იმის საუნჯეს. ქართული არქიტექტურები ძალზე სასახისმგებლო ამოცანის წინაშე დგანან: თბილისის ძველი ისტორიული უბნები უნდა გადავქვიფოთ დედაქალაქის მხატვრული ღირსების სრულყოფილ მაქისცმად. ჩვენ დღეს ვერ ვისაუბრებთ აღნიშნულ სამუშაოს ჩატარების მეთოდებზე, ეს დიდი და რთული საკითხია და მოითხოვს საფუძვლიან პრობლემატურ შეტყობას. დარწმუნებულნი ვართ, ბუროკრატებზე და რესტავრაციისადმი დაინტერესებულნი ვართ, მტად მნიშვნელოვან ამოცანას, როდესაც ასე დარწმუნებით ვლანარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის დიდი ურთაღებდა და დამარტება, რასაც იჩინეს ამ საქმისადმი ჩვენი დედაქალაქისა და რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სინჯარ არ გვარგობა და შეიძლება სინჯარით საქმეს კიდევაც ვავერო. ვაკვიროთ ეს კეთილი საქმე ფაქიზად, დინჯად, აუჩქარებლად, ამ საქმეს წინ უნდა უძღვოდეს მეცნიერული შესწავლა და ფესვაცია, უნდა დამოუვადეს თითოეულ უბანზე პროექტის რამდენიმე ვარიანტი, გაგზავნილი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად და შედარებ გაზომვის და ერთხელ გადავტოს პრინციპული განვხორციელოთ საუეთვედის ვარიანტი.

მეტლია დაცვის მთავარი საშუალებების უფროსი ირანალი მინიკებელი თავის გამოსვლაში მრავალ პრობლემას შეგბო, მთ შორის აღნიშნა, რომ უკანასკნელი 15-20 წლის წინ განჩად გატყობელებული ინტერესი კულტურული მემკვიდრეობისადმი, ევრძოდ, არქიტექტურის ძეგლებისადმი, ეს აინხნება მრავალი ფაქტორით, ყველას ჩამოთვლას ვერ ვაიწყებ. ერთი ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია: ეს არის კაცობრობის საერთო განაღვრება და შეგნების ზრდა, ეს არის კულტურული ტრადიციის განვითარება. ეს არის ჩვენი ეკოლოგიური პრობლემა, და ბოლოს, რე მიწყნებენ არქიტექტორები, ეს არის თანამედროვე სტანდარტისაკენ რეაქცია, რომ ყველა ქალაქი ერთმანეთს არ გავსეს, საქიროა შენა ქალაქის უფროდღვივლური სახის შენაშა და დაცვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი მთავრობის ყუველდღიური მხარდაჭერისა და მჭირველობის შედეგად დღეს ყველა პირობა შეიქმნა, რათა საქართველოს ძეგლებში სათანადოდ იყოს დატული და რესტავრირებული. ჩვენი მხარდაჭერა დიდი პაპარტია, მაგრამ ორგანიზაციული პერიოდს ჯერ არ დამთავრებულა. ფინანსირება ძეგლებზე ერთი საზად ვაიპარდა

და გაზრდება ამდენჯერ. თქვენ კარგად იცით, რომ გარკვეული სიწინელები არსებობს მასალების შორე. ეს საკითხი ადვილად გადასაჭრელი როდია. ექვნით საკუთარ ბაზებს. აეროლომის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება სააქრო, რომელიც გამოუშვებს კრაზის და სხვა მასალას.

რაც შეეხება რეკონსტრუქციას, სამუშაოთა ჩასატარებლად მზადდება რესტავრატორთა უმაღლესი და საშუალო განათლების შერეული კადრები. ყველა სამუშაო განსაზღვრულია და მათი ხარისხისა სპინდარი იქნება მომავალი დიდი მიღწევებისა.

ოროდღაც სხვა უნდა მოგახსენოთ იმ მხარეზე, რომელიც არქიტექტურისათვის უკვლავ მახლობელია. ისევე, როგორც თბილისში, ძველი უბნების რესტავრაციის სამუშაოები გათვალისწინებულია თელავში, სიღნაღში, კუთაისში. ეს სამუშაოები მზადდება ნელ-ნელა, გონივრულად. ყველაფერს მოიქცევა უნდა, რამდენიმე წელიწადში შევძლებთ თბილისს, სიღნაღსა და სხვა ქალაქების ძველუბნს ძველების შენახვასა და დაცვას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხებს სტირდება დრო, არ შეიძლება აჩქარება, ამიტომ გადაწყვეტილ უახლოეს ხანში, თბილისში მოიწვიოს ძველთა დაცვის მეთოდური საბჭოს გაუართობულ სხდომა საპროექტო ინსტიტუტებისა და არქიტექტორთა კავშირის მონაწილეობით. ვისაჩვენებთ მეთოდზე, თუ როგორ ჩატარდეს ქალაქის რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, როგორ ვიზრუნოთ ბარათაშვილის, კობახიძის ქუჩებზე.

მ. კაპარასიძე — როგორც თქვამდა, არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა ამ ძველსა და მტდად თვითმყოფად ქალაქ-ნაერბალზე. თელავი ისტორიული ქალაქია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ტურისტების ერთ-ერთ კერად იქცა. ამას განაპირობებს მისი მდიდარი ისტორიული წარსული, არქიტექტურის უნიკალური ძეგლები, სამეურნეო და კულტურული განვითარების მაღალი დონე. უდავოა, რაც ვაყვიდრებთ უფერულობას და უსახურობას ისტორიულად ჩამოყალიბებული ანსამბლის გვერდით, ამით ჩვენივე ხელით ვაკნინებთ ყველა მათ ღირსებას და ღირებულებას ადამიანთა თვალში. ქალაქის მოვლა-პატრონობა და რეკონსტრუქცია უნდა ჩატარდეს დიდი არქიტექტურული ტაქტით. ყოველად დაუშვებელია აქ შეუფერებელი ტიპობრივი პროექტების გამოყენება ქალაქის სხვადასხვა უბნებში ჩასაშენებლად, რაც, სამწუხაროდ, უკვე მოხდა და ამის მაგალითი — საქმად გვაქვს. საჭიროა დამუშავდეს სპეციალური ოთხ-ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლების თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ტიპები ისეთი ქალაქებისათვის, როგორიცაა თელავი. აქვე არ შეიძლება კმაყოფილების გრძობით არ აღვინიშნოთ ისეთი ახალი ნაგებობანი, რომლებმაც დაამშვენეს და გააღამაზეს ჩვენი ქალაქი. მათ შორისაა მუსიკალური სასწავლებლის შენობა, 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე, სასტუმრო „კახეთი“, რომელიც არა მარტო ქალაქის ლანდშაფტში ჩაიწერა, არა-

მედ კახეთის დიდი უბნის მოხდენილ დომინანტად იქცა. მზ. ფურცლებზე რომ აღინიშნოს ვთქვათ. ვფიქრობ, ასეთივე მნიშვნელობის იქნება სულ მალე სახელმწიფო თეატრის მონუმენტურ შენობასაც.

მშენებლობის ხარისხი

მშენებლობის ხარისხი — ეს ის პრობლემაა პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით აღელვებს არქიტექტორებს. არც არის განსაკვირვებელი, რომ მრავალი გამოცხადების სიტყვაში იგრძნობოდა დიდი შემოვიტება და სურათები ამ ურთულესი საკითხის გადაწყვეტისათვის გამოსვლილი საპროექტო ინსტიტუტის „საკლექტორების პროექტის“ მოავანმა არქიტექტორმა პანბატან მინაქაძემ მოიყვანა მშენებლობის ხარისხის დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი. მან თქვა: არავისთვის დასამად არ არის, რომ ამ ბოლო ხანებში მკვეთრად დაეცა მშენებლობის ხარისხის დონე. ცუდ ხარისხს მრავალი მაზეზი აქვს: ეს არის არაკვალიფიციური პროექტორება, მუსულდული სამშენებლო საშუალებება, არაკვალიფიციური მუშაებელი და სხვა.


მე მინდა თქვენი ყურადღება შევანერო ერთ ასპექტზე, რომელსაც ხარისხის დაქვეითებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც საპროექტო ორგანიზაციებში თითქოს არავისთვის უნდა აღდგება არ ეტყვიან. მშენებლობაში მაქვს არქიტექტურულ და ინჟინრული შემოქმედებითი აზრავების დაბალი დონე.

უკანასკნელ ხანებში გამოცხადებული იყო მრავალი სხვადასხვა რანგის კონკურსი. საკონკურსო პროექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში ჩაიდებელი არქიტექტურული ან ინჟინრული აზრი გაცილებით უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე იმავე არქიტექტორებისა და ინჟინრების მიერ საპროექტო ორგანიზაციაში დამუშავებულ პროექტებში. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მიზეზები უნდა ვეძიოთ არა ავტორების კვალიფიკაციაში, ნიჭსა ან პოტენციალში, არამედ საპროექტო საქმის ორგანიზაციაში.

საპროექტო ორგანიზაციაში მომუშავე არქიტექტორები გრძნობენ, რომ პროექტორებაში შემოქმედებითი აზრავების წილი განუწყვეტილად კლებულობს. ამ მხრივ, საქმის გაუმჯობესების მაგიერ, ნებით თუ უნებლიედ, იქმნება იმის პირობები, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება იქონს. საპროექტო ორგანიზაციებში არქიტექტორებისა და კონსტრუქტორებისათვის აზრავების პროცესისათვის განუკუთვნილი დრო ან მინიმუმამდე დაეცანილი, ან საერთოდ არ არსებობს.

მეორე მიზეზი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მოჰყავს მ. ბაბუნს: ჩვენი პირველი ამოცანაა — ხელი შევუწყოთ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას. მშენებლობის მიერ ხეროთომძვარათა ჩანაფიქრის განხორციელებას. მტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაგებობე-

ილია კაპარასიძის მუზეუმი ყვარლში. არქიტექტორები ვ. ჭობრბანაძე, ქ. კობახიძე.



ბის ბედი მშენებელთა ხელშია, არქიტექტორმა უნდა შეუთანხმოს მას პროექტში მიღებული არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებანი, კონსტრუქციები, შეძლების თუ არა მის განხორციელებას — ამას უკვე მშენებელი განაგებს.


მშენებლობის ხარისხს გადამწყვეტია მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ზეგრი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ იქცევა მშენებლობის ცული ხარისხი კარგი პროექტებისა და ჩანაფიქრების მიუხედავად. საქართველოში დავიკავოთ მეცნიერი პოზიცია, დროა ვიყოთ ბოლომდე პრინციპული და უკომპრომიზო.

რა თქმა უნდა, მშენებლებს აქვთ თავიანთი სიძნელეები, თავიანთი პრობლემები, მაგრამ თუ ვერ მოვაქვით მშენებლობის მაღალ ხარისხს, არც არქიტექტურა გვექნება, — ამ სატყვის სრული მნიშვნელობით.

ცნობილია, რომ საავტომობილო ქარხანაში, სანამ კონვეიერზე გაუშვებდნენ ახალი ტიპის მანქანას, მას წინ უძღვდნენ ყუფილობითი ექსპერიმენტული შემოწმება, სწავლულებისა და მუშახალხის შემოქმედებითი შრომა. რატომ არ შეიძლება იმავე მიდგომათი უზრუნველყოფა აშენება ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლებისა?

ტარების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამასთანავე, დასაწყისად, რომ არქიტექტორთა გარკვეული ნაწილი საქმოდ სექტატურად ფიქვდება კონსერვაცია. იშვიათებენ იმ აზრს, რომ დღემდე მსოფლიოში გამარჯვებული პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია რეალიზებული ნატურაში. ყველასათვის ნათელია, რომ არქიტექტორთა უმრავლესობა სამართლიანად მიისწრაფვის რეალურად ხორცშესხმული ობიექტისაკენ. ჩვენში, სამწუხაროდ, ზერიანი მოძღვრების ავტორიანობა ფასდება განხორციელებული პროექტების დანიშნულებითა და რეალობით. ხშირ შემთხვევაში, პროექტივად კრიტიკაში სათანადო ადგალი არ ეძიება ან ნაგებობა მატყველდ ღირსებას. ცხადია, არქიტექტურა ნიშნავს შენებას, მაგრამ ისიც სინამდვილეა, რომ არქიტექტურული ხელოვნების ხარისხი დამოკიდებული არ არის მხოლოდ რეალობაზე. პროექტში წარმოდგენილდ ჩანალი იდეები, იმის მიუხედავად, ეს პროექტი ნატურაში ხორციელდება თუ არა, ინარჩუნებს თავის სასიკეთლო ძალებს, არ იკარგება ხელოვნების ინტერესში. ამ ასპექტში საქმარისა გავიხსენოთ ლეონიდოვის შემოქმედება...

საქართველო კონსერვების ორგანიზების სრულყოფა, საამისოდ კი



გუდანი. საზოგადოებრივი ცენტრი.

ამ რთული ხატობის კიდევ ერთ ასპექტს გაუხეხა ხაზი ჯონდო ჯინალამში, რომელმაც თქვა, რომ როდესაც ვლადარაკობ მშენებლობისა და არქიტექტურის ხარისხზე, ალბათ, ვლადარაკობთ არა ცალკეულ შენობების ხარისხზე, არამედ კომპლექსებსა და საცხოვრებელ მასივებზე. და როდესაც, სრულად სამართლიანად, ვადასაზრდებთ არქიტექტორსა და მშენებელს. გვაიწოდებთ ძალიან მნიშვნელოვანი როლი დამკვეთისა. მე ვფიქრობ, რომ სასუბისმგებლობა მშენებლობის ხარისხზე უნდა დეკარის დამკვეთს. დამკვეთი ხომ სახელმწიფოს წარმომადგენელია, მას მინადეს თანხა ხალხისთვის ხარისხიანი საცხოვრებლის ასაშენებლად. როდესაც დამკვეთი ფულს იხილს უხარისხო პროდუქციით, ნუთუ არ უნდა იყოს სასუბისმგებელი? უნდა ავახლოდოთ დამკვეთის როლი, მაგრამ ამისთვის უნდა ავამართლოთ თვით დამკვეთის კვალიფიკაცია. არ ვაგაფრტყვებ სიტყვას იმაზე, თუ როგორ დიდი მნიშვნელობა ეკისრება მთელი კომპლექსის ხარისხს. ხატევა მხოლოდ, რა დაუდევარ, გულგრილი დამოკიდებულებას ვიჩინო ხალხისადმი, როდესაც ვსახლებთ კეთილმოწყობილ ბინებში, კვარტლებში და ა. შ. და როგორ მოქმედებებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაზე!

არქიტექტურული კონსერვაცია

რესპუბლიკაში ჩატარებული კონსერვების შესახებ შინაარსიანი ინფორმაცია გააკეთა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა ოთარ ნახუშიძემ. მან აღნიშნა კონსერვების ჩა-

გაცილებით ფართო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. განსაკუთრებული სფეროებით უნდა მოვეყოლოთ თურის წევრების შეარჩევას. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ რესპუბლიკის გარეთ მოღვაწე ზურათომოდვანიც. თუ კონსერვების ჩატარების კარგი ორგანიზაცია თითოეული არქიტექტორის ზრუნვის საგანი გახდება, მაშინ შედეგად არ დაუყოვნებს. კარგ შედეგს კი დიდი ხანია მოიღობს ჩვენგან რესპუბლიკის საზოგადოება. აქ ლამაზია იმ ინტერესებზე, რომლებიც ყოველთვის განსაზღვრავს და დღესაც განსაზღვრავს ერის პოტიციას, მის ბედსა და მომავალს, და რასაც გვაავლებს სოციალისტური საზოგადოების ქარ კიდევ ბოლომდე ვაყოფიერებელი უიორტეხობანი.

არქიტექტორი გიული ბეჰალიანი: თითქმის არცერთი კონსერვების შედეგის განხილვა და ანალიზი არ ჩატარებულა თუ რატომ, რისთვის მიენიჭა ამა თუ იმ პროექტს უიორტეხობა მეორესთან შედარებით? რა საიხლოთ საიხლოდება იგი და რას შესძენს იგი არქიტექტურას? ხშირად ხდება, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთის არქიტექტურული კონსერვების პრაქტიკაში, როდესაც თურის გარკვეული მომარჩებებით (პროექტის ტექნიკური სირთულედ და სხვა) ყოველთვის საუკეთესო პროექტებს ვერ ანიჭებს პრიორიტეტს, მაგრამ არქიტექტურული პრესის ფორკლებზე აღნიშნავენ იმ დადებით, საინტერესო მიგნებებს, რაც ამ პროექტებს აქვთ. ხშირ შემთხვევაში, ასეთი პროექტები მეტ იდურ სარტლის იდეიან შემდგომ შემოქმედებით პროცესში. საკონსერვაციო პროექტების ანალიზის ასეთი პრაქტიკა ჩვენში რატომღაც ინიცირებულია. საქართველო არქიტექტორთა კავშირის

გამგომამ ეს შემდგომში გაითავალისწინოს. აქ ლაპარაკი იყო ზოგიერთი შენობაზე, როგორც უხაზო, ცოცხლოვანი. ეს მხოლოდ ახლო წარსულის მაგალითები რომ იყოს, შეიძლება შევეგუოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მღვსაც ვხედავთ ასეთი „წაწარმოებების“ ადგილად და სწრაფად ახაზებული ობიექტების ნიღაბქვეშ წახალისების მაგალითებს, როგორც კონკრეტულად, ასევე პროექტების დამატებითებულ ინტანსიტებს, მაშინ როდესაც ბევრი საინტერესო ძიება, გეგმარების მხრივ და სივრცობრივ-მთავრობითი ახლებურად ვადაწვევადი პროექტები... ქალაქადღე რჩება. ასეთი პრაქტიკა უნდა ვერ წავეყენდნ და არქიტექტურული აზრის განვითარებასაც ხელს უშლის, უკაც წყნება.

პრინციპა და პრეკატბანდა

მთარ ნახსენარშილი: კონკურსების ნორმალურ ჩატარებას და, საერთოდ, არქიტექტურის განვითარებას რესპუბლიკაში ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჩვენში დღემდე სათანადო სიმძალეზე არ დგას არქიტექტურული კრიტიკა, რომლის ამოცანაა ობიექტურად


მეცნიერებაზე დღეს არქიტექტორ-მეცნიერთა მნიშვნელოვანი კატეგორია მუშავს, ამას ვერ ვიტყვით არქიტექტურის თეორიაზე. არქიტექტურის თეორიის სფერო კი იდეოლოგიური ფრინტის სახასუბისგებელი უნაინა და მისი უფურაღებოდ მიტოვება ხზოლოდ ზიანს მოუტანს ჩვენს არქიტექტურულ პრაქტიკას.

აქ მე მინდა გამოვეყო არქიტექტურული კრიტიკის და პუბლიცისტის საკითხი, რომელიც თითქმის იმავე დღეა და მხოლოდ არქიტექტურაში ჩაუხდებიან უფრინტისტების ამპარადა მიტოვებული, რომელიც არასრულფასოვანად დაწერილი სტატიების ვიდეო, რომ ამ თუ მი ავტორს „თანამედროვე სტილით, მინასა და ბეტონში“ აუტია შერობა.

აქაც მხოლოდ რამდენიმე ავტორის ჩამოთვლა შეგვიძლია, მათ შორისაა პროფ. ნ. მაგალიფიძე და დოც. ვ. დავითიანი, რომლებიც პერიოდულად, საკავშირო თუ რესპუბლიკური ფურნალ-გაზეთებში ფურკლებზე აშუქებენ ქართული საბჭოთა არქიტექტურის მონაპოვრებსა და ამოცანებს.

ამის მიზეზი კი ვახლავთ ის, რომ არა გვაქვს კადრები, რომლებიც იმუშავებენ არქიტექტურის თეორიაში და კრიტიკაში. ეს მსლდა-

ბერეში, საცხოვრებელი სახლები, არქიტექტურები და, მორბედაქი, ა. მარლიფილი, ლ. მუკლიფილი, ა. კერცნიფილი, ზ. ლონდაქი.



შეუღოს პრაქტიკა, გამოკლდის მისი დადებითი და უარყოფითი მარტები, შეადაროს სხვა არსებულ პროგრესულ მაგალითებს. ამ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს „სუენა არწუნენების“ გაუგებარი ანონი. ნაჯლის ნიითებას ხზორად იღებენ პირად შეურაცხყოფად, რაც არქიტექტურული პროექტორისთვის მომავლდენდებლია. არქიტექტურული შემოქმედება არის ძიების უწყვეტი პროცესი. პროექტი არა ნაგებობა და პროცესის გარკვეული ეტაპია და არა მხოლოდ შუაგაქ.


მთლილ ბეგლიბი: რესპუბლიკის არქიტექტურულ პრაქტიკაში ამ მხნს განსაკლბობაში ბევრი კარგი თუ ცუდი წაწარმოები შეიქმნა. მაგრამ არის თუ არა გაანალიზებული, გამოტანილი პროფესიული და-სკენები მთელი ამ პერიოდის არქიტექტურაში მიმდინარე პროცესზე? როგორ, რა მიმართულებით უნდა წარმართოს შემოქმედებითი პროცესი, საბჭოთა თუ არა ეროვნული სახის ძიება თანავედროვე არქიტექტურაში და როგორ და რა გზებით? ეს საკითხი მხოლოდ დგას დღეს წესბრტეში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ანალიზი ითქმის არ ჩატარებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 40-იანი წლების დასაწყისში პროფ. ი. ციციფილისა და დოც. გ. ჩიგავიძის ერთადერთი სტატიის და უკანასკნელ წლებში ისტორიული კითხვის რეკონსტრუქციის პრობლემისაში მიმდინარე პროც. თ. კერცნიფილისა და ს. კონურაშვილის ცალკეულ შრომებს.

თუ ჩვენში არქიტექტურულ მეცნიერებას (ლაპარაკი არქიტექტურის ისტორიაზე და გამოყენებით, ტიპოლოგიურ არქიტექტურულ

წეობის ცალკე სფეროა და სპეციალურ და ღრმა განათლებას მოითხოვს. შეთავსებით ამ დარგში მუშაობა თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც საჭიროა ჩვენში უმაღლესმა სასწავლებლებმა იფიქრონ ამ კადრების მოზადების საკითხზე და, რა თქმა უნდა, იგი არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობის ზრუნვის საგნადც უნდა იქცეს.

ისე არ გამოვით, თითქმის არქიტექტურის პროფესიონალი თეორეტიკოსებისა და კრიტიკოსთა უმარისობა არის მოავარი მიზეზი ჩვენი არქიტექტურის ნიშუების ხზორად უხაზურობისა. თუ პრაქტიკა არ გვივარგა, ცალკე თეორია ვერაფერს შესძლებს. არქიტექტურა, ცხადია, არ ამოიწურება თეორიული მეთოდით — იგი ხელავენება, რასაც ხზორად ვიწვევით, შემოქმედებითი მეთოდების ძიება კი არქიტექტურის თეორიის ძირითადი მიზანია უნდა იყოს უხაზურობის თავიდან აცილების გზაზე.

საშუბარია, რომ რესპუბლიკის არქიტექტურთა კავშირის არ განიხილა ბეგლითი ორგანო, სადაც პროფესიულ დონეზე იქნება გაშუქებული ჩვენი არქიტექტურის მიღწევები და ჩავარდნები. მართალია, პერიოდული გამოცემების — უფრნალ „საბჭოთა ბელავენების“, „ნაწალიების“, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციათა მისევერების უარი არასდღეს უთქვამთ და, შეიძლება ითქვას, ხალხითაც ბეგადივე არქიტექტურთა სტატებს, მაგრამ მათ გამოცემებს ხომ თავიერი სპეციფიკა აქვს, სადაც სპეციალური, პროფესიული სტატიებისა და შრომების დაბეჭდვა შეუძლებელია. ამიტომაც, სასურველია ჩვენს კავშირის ჰქონდეს სპეციალური ფურნალი,



ბალნეოლოგიური საბაზისონის პროექტი ნოქალაქეში. არქიტექტორები ვ. დავითაია, გ. კვიციანიშვილი, თ. კლდიაშვილი.

ყოველ შემთხვევაში გაზეთი მაინც გასაგებია, ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. მაგრამ თუ რესპუბლიკის პარტული ხელშეწყობის და მთავრობა დავეხმარება, ამათ ქართული საბჭოთა არქიტექტორის განვითარებისათვის კიდევ ერთ სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

არქიტექტურული კალამები

იპსენი ჩხინკალი: ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხია კადრების მომზადება არქიტექტურის დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში არქიტექტურული კადრების აღზრდის დიდი და კარგი ტრადიცია არსებობს. არქიტექტურის ფაკულტეტების მოღვაწეობის შედეგი საკავშირო მასშტაბით კარგ დონეზე დაგა, კურსდამთავრებულნი აქტიურად მოღვაწეობენ რესპუბლიკის და მის გარეთ საპროექტო და საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებში.

საუბრადღემო საკითხია საპროექტო ინსტიტუტებში ახალგაზრდა არქიტექტორებთან მუშაობა. უმაღლეს სასწავლებელს არ შეუძლია მოკვდეს ჩამოყალიბებული არქიტექტორი. ფაქტობრივად არქიტექტორი უნდა ჩამოყალიბდეს საპროექტო ინსტიტუტში. ამას სჭირდება გარკვეული დრო და, რაც მთავარია, გარკვეული მეთოდური მუშაობა.

ამ ბოლო წლებში ზოგიერთი საპროექტო ინსტიტუტში („თბილისკალკატორი“ და „საქკალკატორი“) კარგი ტრადიცია იკადრებს ფესვს, — ტარდება კონკურსები ცალკეული ობიექტებზე, ავტორის უფლებების მოსაპოვებლად. ასეთ კონკურსებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ახალგაზრდა არქიტექტორების შემოქმედებითი უნარის გამოყენებისათვის, არამედ, საერთოდ, საპროექტო ინსტიტუტებში შემოქმედებითი „დაბაბუღების“, ამ სიტყვის კარგი გაგებით. შესაქმნელად. კონკურსის გამოფინების შემოქმედებითი ატმოსფეროს. ხაგრძნობლად აჩვენებს მის დონეს.

ქართველ არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრებზე საინტერესოდ და შინაარსიანად ისაუბრა საპროექტო ინსტიტუტის „საქკალკატორის“ საპროექტის“ სახელისონს ხელშეწყობელმა მღვინე კილაძემ:

ჩვენი ახალგაზრდა არქიტექტორები აქტიურად მოღვაწეობენ არქიტექტურის სხვადასხვა სფეროში. საბაჟო მათი მონაწილეობა ეკონომის ისეთ დიდ შემწეობაზე, როგორც არის ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, ენგურისის მშენებლობა და სხვა. მათ მიერ დასრულებული პროექტები საერთო აღიარებას იმსახურებენ. ამას ადასტურებს ის

დიდი გამარჯვებები, რაც წელად ხვდით მათ საერთაშორისო საკონკურსო თუ რესპუბლიკურ კონკურსებზე და დოკუმენტებზე. დღეს არ არსებობს დარგი ჩვენი შემოქმედებისა, სადაც არ იღვრდეს ახალგაზრდა არქიტექტორი. ეს იქნება ქალაქგეგმარება, ტიპური პროექტების შექმნა თუ ინდივიდუალური პროექტირება. ისინი ასევე გულმოდგინედ მონაწილეობენ სოფლების დამშენებაში და კულტურის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციაში. ახალგაზრდა არქიტექტორები უშუალო მონაწილეობას იღებენ ისეთი პასუხისაგები პროექტების დამუშავებაში, როგორც არის ქალაქ თბილისის ცენტრი, ისეთი ქალაქების ცენტრების დეტალური დაგეგმარების პროექტირებაში, როგორც არის ქუთაისი, ბათუმი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უმაღლესი არქიტექტურული სასწავლებლების სტუდენტთა სადაბლოში ნაშუაგვრების საკავშირო და თვალთვლებაში გამარჯვებანი, რაც უდავოდ მეტყველებს ჩვენი არქიტექტურული სკოლის მაღალ დონეზე.

საგვხობთ ნათელია, რომ სამამულო არქიტექტურის ზრდა — ეს არის მოქმედ კადრების ზრდის უწყვეტი პროცესი. ახალი ცვლა, ახალგაზრდა არქიტექტორების წახალისება, გამოცდილება, ოსტატობის სრულყოფას. ამასთან ერთად, მას თან მოჰყვება შემოქმედებითი წყურვილი ახლის ძიებისა, რაც სათუთ მოპოვებას მოითხოვს, ახალგაზრდაებს, ისევე, როგორც გამოცდილ არქიტექტორებს აქვს უამრავი საინტერესო იდეა, რასაც უნდა დაეხმოს უნდა შექმნას. სპირა ხშირად ჩატარდეს კონკურსები, რაც შემოქმედებითი შეტირების ერთ-ერთი საშუალებანია. სწორედ აქ აქვდეს ახალგაზრდათა თავის დიდ პოტენციალს.

სოციალისტური არქიტექტურა განუყოფლად ვითარდება რეალისმის გზით, ტექნიკურ პროგრესზე დამყარებით. ამ გზით მიდის ჩვენი ახალგაზრდობა და სწორედ შემოქმედების ამ სტილით სიბრძნეობა მათ იდეოლოგიური წერილობა, რის ქმედითი საშუალებაც პროექტული კრიტიკა უნდა იყოს. საშუაბაროდ ამ სფეროში ცუდად არის საქმე. არ არიან ახალგაზრდა რეკონსტრუქციები, რომელიც აქტიურად ჩაერთოდენ არქიტექტურული პრაქტიკის განვითარებაში.

საქიროა ახალგაზრდა არქიტექტორთა ნაშუაგვრების მოსულარე-ჯაცია, პროპაგანდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემდგომ პროფესიული ზრდისათვის. საშუაბაროდ, ამ მიმართულებით თითქმის არაფერი კეთდება. აუცილებელია, რომ ახალგაზრდა არქიტექტორის ნაშუაგვრის გაცნობის ფართო საზოგადოება, ვინაიან ეს თეოტგამოყვებელი, ძიების და პროფესიონალური მრწამსის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებანია. არქიტექტორი პროფესიონალურად



შედარებთ გვიან წიფლებსა, ამას განაპირობებს არქიტექტურის სპეციატა. რაიო, ტელევიზია და ბანკა უნდა ემსახურებოდეს იმ დღე საქმეს, რომელსა ახალგაზრდა შემოქმედის ფორმებმა შექმნა. თუ დამწევი არქიტექტორი დაწმუნებული იქნება იმაში, რომ მისი ნაწარმოები არ დარტყმა ჩრდილს, სადმე ბნელ თაობაზე და გაშუქებული იქნება პრეტსა, ან რაილით, ეს მას სტიმულს მისცემს. საქართველოს ახალგაზრდა არქიტექტორთა შემოქმედების VIII რესპუბლიკის დავიდეგებაში, რომელიც საქართველოს კომკავშირის 60 წლის მიძღვება, მონაწილეობა მიიღო ის-ზე მეტმა ახალგაზრდა ბურთომოდერნიზმის მართლაც ზეიმი იყო ახალგაზრდობისა. დათვალეიტებამ ნათელი, რომ ახალი თაობა სწორ გზაზე დგას და ჩვენი არქიტექტურის მომავალი სიძველე ბელში გადადის.

ქუთაისის კადრების შესახებ ილახარაჯა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბიძინა მთლ-ღამიამ მოგვახსენება, — თქვა მან — ქუთაისის რეკონსტრუქციის ნაბიჯებით მაიაიქვს რესპუბლიკის ქალაქთა შორის, მაიაიქვს თავისი სოციალურ-კულტურული და ინდუსტრიული მიღწევებით. გაშენდა მრავალ ახალი საცხოვრებელი კვარტალი და მაგისტრალი. ქალაქი იბრჭვს რევატორი მოვლენების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის და ეს ბრძოლა მიმდგრადობს არქიტექტურის დონორტუდელ-ამ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ქალაქში არ აშენებულ არც ერთი ისეთი ობიექტი, რომელიც გვერდში აიძულებდა დასაბუთ-ული თეატრის, ადმინისტრაციული სახლების და სასტუმრო „ქუთაისის“ მონაწილეობა შეიზღებინა. ამბობოჯ, ჩვენი არქიტექტურის შემადგა-ნი, რაც აღწერს თანამედროვე ქუთაისის არქიტექტურის მიზნობ-ლივთ.

ქალაქს აქლია საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების ობიექტები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაწილობრივ გადაი-დგა აქ შრივი ნაბიჯი, დაპროექტდა აქ პროექტირების სტადიოში სა-სტუმროები, ფოსტისა და ადმინისტრაციული სახლები, შედგება შრი-ვისა და დიდების მემორიალი, დატკიცებულია ქალაქის გენერალური გეგმა და სხვა. აქ ობიექტების დაპროექტებაში ნაზღვენი არიან არ-ქიტექტურის ოსტატები — მეტრეველი, დავითია, კლანდარისვი, ლი, შიქაქ და სხვანი, რომელთა მიმართ მაღალის მიტო არა გვე-თქმის-რა. მაგარა, ამასთან ერთად, კარგი იქნებოდა, რომ თითოეულ მათგანს ამოუცხვინებოდა გვერდში ჩვენ ქალაქში მომზადდა ახალგაზრდა არქიტექტორი, საავტორო უფლებებით, თორემ ასე წინ ვერ წავა ახალგაზრდების დოსტატების საქმე, და ვერც საქართველოს არქი-ტექტორთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია გაიზრდება.

არქიტექტორების სტიმულირება

მხსნებნ ღამიძინიამ: არქიტექტურული პროექტირება მრავალ-პლანიანი და ბნელად სამართავი საქმეა. აქ ბევრია როგორც სუბიექტორი, ისე ობიექტორი წინააღმდეგობები. მე მინდა დავხვა დამპრო-ექტებულთა მატრიალური და მარტლური სტიმულირების საკითხი, რამეთუ ეს პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს საქმიანობაზე და მთ მოუვარებლად საპროექტო საქმეში თვისებრივი წარმატებების მი-ღწევაზე ლაპარაკი კი უღმეტია.

ღღეს არქიტექტურა ერთადერთი შემოქმედებითი პროფესიებია-დან, სადაც ხელგონის შრომის ანაზღაურება ღებმა რეკლამენტრ რებულს „სამუშაო დღის“ ფარგლებში, საშტატო განაკვეთების წესით და არა მონიარებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავითარი მნიშვნე-ლობა არა აქვს შრომით აქტივობას და შემოქმედებით პოტენციალს იგი ვერ ანსხვავებს კეთილსინდისიერს არაკეთილსინდისიერისაგან. პროფესიონალს არპროფესიონალისაგან, ოსტატს ხელგონისაგან.

ეს რომ ანევა, იქიდანაც ჩანს, რომ ბევრისათვის არქიტექტურა ცხოვრების მიზნიდან ჩვეულებრივ საშახურად იქცა. ამაზე მეტყვე-ლებს ის დიდი განთხოვაც, არქიტექტურადაც გაქცევა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს პრაქტიკაში.

ბურთომოდერნის დოსტატების გზა რთული, ხანგრძლივია და ისიც იმ აუცილებელი პირობის შემოხვევაში შესაძლებელი, რო-დესაც ადამიანს მის უპირველეს და სათავეანებელ კერპად თავისი პროფესია გაუხდება. მხოლოდ ასე აღწევდნენ ფერმონალურ შედე-გებს ჩვენი წინაარბები, მხოლოდ ასე შეიქმნა დიდი არქიტექტურა.

ისეთ პირობებში კი, როდესაც ბურთომოდერნიზმი იმდენად უნდა ათს უფროსა, რათა ოფიციალური „სამუშაო დღის“ შედეგს „ახალი სამუშაო დღე“ დაიწყო, უმეტესად და არსებითად არა არქიტექტურ-ულად, სასურველი კვალიფიკაციის მიღწევა შეუძლებელია. სწორად ესაა საშუალო, დიფლტანტურ-კომპლიალტორი პროექტების მოძლე-ობის მიზეზი. დროა საპროექტო საქმე დადგეს ჩანსად, ლოკატურ, სოციალურ და მორალურ საფუძველზე, სადაც დაყლილი იქნება ნი-ციალიზმის პრინციპი — თითოეული უნარის მიხედვით, და პრაქტი-კულად რეალურებლი იქნება კონსტიტუციით შექმნილებული შრომის უფლება ვართო და შეუზღუდედარ ატრებში. საქიროა ყურადღება მიე-ცეს ბურთომოდერნიზმის შემოქმედებითი შრომის ანაზღაურების მე ვსარგებლობა იმით, რომ აქ ესწრება ამჟ. ორლოვა. საკავშირო არქიტექტორთა კავშირმა განსაკუთრებულ ყურადღება უნდა დაუთ-მოს აქ საკითხს და აქციოს იგი ერთ-ერთი აქტუალურ საკითხად საკავ-შირო საულობაზე.

ჩემის აზრით, არავითარი ობიექტური წინააღმდეგობა არ უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ პროექტირების აზრის, ძირითადი კონსეცუციის ჩამოყალიბების, ანუ ესისუბრო პროექტის სტადია ანა-ზღაურდეს მონიარობა.


საქიროა კარგად დავუფიქრდეთ, უღმეტად ზომ არ გავერთთ აურაძლებული და შეზღუდვებით? ზომ არ ჩავდევართ ცოდვას ჩვენი-ვე მიზნების, ჩვენივე საქმის მიმართ? ფიქრობთ დროა, ნიქს, კვა-ლიფიკაციის, გამოცდილების მეტი ასაუზრე მიიქცეს, ეს ხომ გინვი-რებულია, სახეღმწიფოებრივია.

იგივე საკითხზე ილახარაჯა საპროექტო ინსტიტუტის „თბილქა-ლაპროექტის“ სახელგონის მოთავაზმა არქიტექტორმა მთინა ქა-ლანდარისვიშიმა, რომელსაც აღნიშნა: შემოქმედება — ეს ხომ უაღრესად ინდივიდუალური მოვლენაა. ექვი არ მებაზრება, რომ სულ მალე დადგება დრო, როდესაც არქიტექტორს შეუცვეთავნ საფიქრო პროექტს და პროექტს სათანადო შემოქმედებით სიტუაციაში შეი-ქმნება. ჩვენ ზომ საუყუნებისათვის ვაწვებთ.

ივანე ჩხეკელიმა, ვახტანგ დავითიამ და სხვებმა შემოიტანეს წი-ნადებება, რათა დაწესდეს რესპუბლიკის სახალხო არქიტექტორის წილდება.

მასალა დასამტევიად მოამზადა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ მ. მგალოზლი-შვილმა.

„გამარჯების“ მონუმენტი გორში. მოქანდაკე ვ. ამბ-შეთალი, არქიტექტორი ვ. დავითია.





საგარეოს კულტურის
სახლის შენობა

საბაკაჯოს სახალხო თეატრის 100 წლისთავი

ასი წელი შეუსრულდა მ. ჭიაურელის სახელობის საგარეოს სახალხო თეატრს. ეს იუბილე დაემთხვა საგარეოს კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს — გაიხსნა საგარეოს ახალი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სარაიონო კულტურის სახლი, რომლის დარბაზი, სცენა და სარეპეტიციო ოთახები დიდად შეუწყობს ხელს საგარეოს სახალხო თეატრის შემოქმედებით დონის ამაღლებას, მსახიობების დაოსტატებასა და მთელი რაიონის კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლას. შენობა, რომლის არქიტექტორები არიან ლ. ჰაჭიბეილი და გ. ჩხენკელი, თავისი ინტერიერთა და მხატვრული გაფორმებით რაიონული ცენტრის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობაა.

სწორედ ამ სახლში გაიმართა საგარეოს სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გა-

ხსნა საგარეოს რაიონის კულტურის განყოფილების გამგე რ. მარტაშვილმა.

საგარეოს რაიონის მეორე მდივანმა ამხ. ნ. გურჯიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საგარეოს სახალხო თეატრი 100 წლისაა“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საგარეოს სახალხო თეატრის დარბაზისა და განვითარების ისტორია. საგარეოს სახალხო თეატრი 1875 წელს ჩამოაყალიბა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ცხევაძემ. პირველი წარმოდგენა გაიმართა 1876 წლის 6 იანვარს. ახალჩამოყალიბებულმა დასმა მაყურებელს უჩვენა ალ. ცხევაძის „ბედნიერი ჭორწილი“ და გიორგი ერისთავის „მუნწი“. ასე ჩაეყარა საფუძველი საგარეოს სახალხო თეატრს.

საგარეოს სახალხო თეატრისათვის დიდი მოვლენა ყოფილა 1897 წელს დაიტი ერისთავის „სამშობლოს“ დადგმა. სპექტაკ-

ლში მონაწილეობა მიუღია იოსებ იმედა-
შვილს.

სახალხო თეატრისთვის, რომელსაც „სა-
გარეგოს თეატრალური საზოგადოებაც“ კი
ჰყავდა არჩეული, ყველაზე მწვავე პრობლე-
მა იყო თეატრისათვის შესაფერისი შენობის
აგება. ამ საშვილოშვილო საქმეს საგარეგოს
მოწინავე ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში,
მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობაც
აჰყავდა და საგარეგოს ერთ-ერთ შესანიშნავ
უბანში, „ხატის კაკლებს“ რომ ემხოლდნენ, და-
იწყო თეატრისათვის საკვალური შენობის
აგება. ამ საქმეში საგარეგოელებს დიდი და-
ხმარება გაუწვია რკინიგზის მშენებლობის სა-
გარეგოს უბნის ინჟინერმა ნიკოლოზ ლევა-
ევამ და 1874 წლისათვის თეატრის შენობა
უკვე მზად იყო. ამიერიდან საგარეგოს ჰქონ-
და საკუთარი თეატრი — კულტურის ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. სწორედ ამ თე-
ატრში დაიდა 1917 წელს „სიმე-სიმამრი“
დიდმა ქართველმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ.

თეატრის ახალი ხანა დაიწყო საქართვე-
ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბის შემდეგ. საგარეგოს დრამატულ კოლექ-
ტივს სათავეში ჩაუდგა მსახიობი და რეჟი-
სორი ალექსანდრე ბურთიკაშვილი. სეზონი
გაიხსნა ი. გედევანიშვილის პეისით „მსხვერ-
პლი“.

ოციან წლებში დასის ავტორიტეტი იმ-
დენად დიდი იყო, რომ საგარეგოს სახალხო
თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობას იღ-
ებდნენ ნუცა ჩხეიძე, შალვა დადიანი, ალექ-
სანდრე იმედაშვილი და სხვა გამოჩენილი
მსახიობები.

ოცდაათიან წლებში, განსაკუთრებით მას
შემდეგ, რაც თეატრს სათავეში ჩაუდგა მი-

ხილ იარაღი, საგარეგოს შემოქმედებითაა
კოლექტივმა მართლაც დიდ წარმატებას
აღწია. ეს პერიოდი თეატრის ისტორიისათვის
მართლაც რომ ღირსშესანიშნავია.

დიდმა სამამულო ომმა თეატრს სწორედ
გაფურჩქვნის პერიოდში მოუსწრო. სამშობ-
ლოს დამცველთა რიგებში ჩაღვნიან საგარე-
გოს სახალხო თეატრის რეჟისორები და მსა-
ხიობები: რეზო მაღალაშვილი, სანდრო ჩი-
ტლაძე, დავით და მიხეილ მჭედლიშვილე-
ბი, გიორგი ჭიაურელი, ალექსი თედიაშვილი,
ნიკოლოზ ურდულაშვილი, ილია ბუხიაშვი-
ლი, ბიძინა მჭედლიშვილი, შალვა თედიაშვი-
ლი, ალექსი ნურაძე, ხოლო ქალებიდან
ეთერ თედიაშვილი. მათგან ბრძოლა-
ში დაეცნენ ბიძინა მჭედლიშვილი, ალექსი
თედიაშვილი, დავით და მიხეილ მჭედლიშვი-
ლები, ნიკოლოზ ურდულაშვილი, სანდრო
ჩიტლაძე და რეზო მაღალაშვილი. მიუხე-
დავად ამისა, თეატრის თავისი აქტუალური
მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. სწორედ ომის
დროს დაიდა კიდევ ერთხელ დავით ერის-
თავის „სამშობლო“.

1956-1958 წლებში თეატრში მუშაობა
დაიწყო რეჟისორმა ვახტანგ ფურცელაძემ.
1959 წელს სცენის მოყვარულთა მიერ დღე-
გმული სპექტაკლისათვის „მკაცრი ქალიშვი-
ლები“ დასს სახალხო თეატრის წოდება მიე-
ნიჭა.

უკანასკნელ წლებში აღსანიშნავია რეს-
პუბლიკის დამსახურებული არტისტის ლერი
ბაქსაშვილის მიერ დღეგმული ორი პეისა:
გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭარქა“ და ნო-
დარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“. სა-
ხალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალი-

სცენა სპექტაკლიდან
„კაცია-აღამიანი“!



ერებზე ამ სპექტაკლმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ე. იაკოშვილმა მიულოცა საგარეჯოელებს ახალი კულტურის სახლის გახსნა, ილაპარაკა იმ სიმღელებზე, რაც ხელს უშლიდა მშენებლობის უფრო სწრაფად და-თავრებას და მაღლობა გადაუხადა ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალი კულტურული კერის მშენებლობაში. განსაკუთრებით აღნიშნა ის დიდი ღვაწლი, რაც ამ საქმეში მიუძღვის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივანს ამხ. მედეა მეზერიშვილს.

თეატრს მიესალმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე. მან მოიგონა ის წლები. როცა საგარეჯოში საგასტროლოდ ჩადიოდნენ თბილისის სახელმძღვანელო თეატრები, მოიგონა აქ ხორავას გამოსვლა ძველი თეატრის პატარა სცენაზე. დიდი მაღლობა გადაუხადა ყველას, ვინც საგარეჯოელ თეატრმოყვარეებს ახალი კულტურის სახლი აჩუქა. ასეთ სცენაზე, უთხრა მან საგარეჯოს თეატრალური კოლექტივის წარმომადგენლებს, უცეთ უნდა ითამაშოთ; კიდევ უფრო მეტად დაოსტატდეთ. ამას იქით თქვენთან მეტი ხალისით ჩამოვლენ სხვადასხვა პროფესიული თეატრალური კოლექტივებიც, რადგან ასეთ სცენაზე თამაში ყველა მსახიობისათვის სასიამოვნო და სასიხარულოა.

საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოცეკვავეთა ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტი ანზორ ნიკოლაიშვილი, შეასრულა ცეკვა „ქართული“.

საგარეჯოს სახალხო თეატრს მიესალმნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები თამარ თეთრაძე, სოფიკო ჭიაურელი, ტარიელ საყვარელიძე და ირაკლი უჩანიშვილი. ამავე თეატრის ყოფილი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი, საგარეჯოს სახალხო თეატრის ვეტერანი თეიმურაზ ბედიასვილი.

საზეიმო საღამოს პროგრამა მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს კულტურის სახლთან არსებულმა საბავშვო თეატრმა, საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, გორის მესამე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა და ბიჭუნათა გუნდმა, საგარეჯოს მუსიკალურ სკოლასთან არსებულმა გოგონათა ანსამბლმა, ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლმა, ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა. თვით საგარეჯოს სახალხო თეატრმა წარმოადგინა სცენები სპექტაკლებიდან „კაცია-ადამიანი!“ და „საბრაღდებო დასკენა“. საღამოს წარმატებით ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი საგარეჯოს რაიონის ხალხური სიმღერების ანსამბლმა „გარეჯმა“.

კულტურის სახლის დარბაზი





სცენა სპექტაკლიდან „მოკვეთილა“.

ქართული თეატრის დღე

კოტე ნინიკაშვილი

ქართული თეატრის ტრადიციული დღე წელს დღეშეთში ჩატარდა. ეს განაპირობა რამდენიმე ფაქტმა. ჯერ ერთი, დღეშეთი განახლებული ქართული თეატრის ფუძემდებლის, გიორგი ერისთავის მშობლიური კუთხეა, მეორეც, აქ დაიბადა ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის მამამთავარი ვასო აბაშიძე და, გარდა ამისა, მიმდინარე წელს შესრულდა დღეშეთის სახალხო თეატრის დაარსების 100 წლისთავი. ორდღიანი ზეიმი, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწეს სოფელ ოძისში, გიორგი ერისთავისა და ცნობილი დრამატურგის, დავით ერისთავის მშობლიურ კუთხეში დაიწყო. მათი მემორიალური სახლ-მუზეუმის ეზოში, მრავალსაკუნოვანი მუხის ქვეშ გამართულ ნიტინგზე თავი მოიყარეს თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ქართველმა სცენის ოსტატებმა—სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა და ალექსიძემ, ზ. ანჯაფარიძემ, ო. მეღვინეთუხუცესმა, გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ს. ჭიაურელმა, თ. არჩვაძემ, ტ. საყვარელიძემ, ი. ტრაიბოლსკიმ, კ. მახარაძემ, გ. ბერეკაშვილმა, ნ. მგალობლიშვილმა, ი. უჩანეიშვილმა, ე. ყიფშიძემ, ვ. ნინუამ, ზ. ლაფერაძემ... დღე-

შეთის რაიონის პარტიულმა მუშაკებმა, რაიონის მშრომელებმა... მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის დღეშეთის რაიონის პირველმა მდივანმა პამლეტ კერესელიძემ. სიტყვები წარმოთქვეს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ალექსიძემ, რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა ოთარ ევაძემ, ერისთავების სახლ-მუზეუმის დირექტორმა გიორგი ბასილაშვილმა და ოძისის საშუალო სკოლის მოსწავლემ ხათუნა პავლიაშვილმა. შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა ერისთავების ეზოში საფუძველი ჩაუყარეს გიორგი ერისთავის ბიუსტს.

დღის მეორე ნახევარში ქართული თეატრის დღესასწაულმა დღეშეთში გადაინაცლა. ქართული თეატრის დღის მონაწილეების შესახვედრად დღეშეთის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც მორთული იყო ტრანსპარანტებითა და ფერადი პლაკატებით, გამოვიდა რაიონის თითქმის მთელი მოსახლეობა.

საზეიმო საღამო სერაიონო კულტურის სახლში შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის დღეშეთის პირველმა მდივანმა პ. კერესელიძემ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დ. ალექსიძემ. მოხსენება თემაზე „ქართული თეატრის განვითარების



გზა“ გაავითა შრომფესორმა ვასილ კიკნაძემ. დ. ალექსიძემ გამოაქვეყნა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილება უკანასკნელი ორი თეატრალური სეზონის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო თეატრალური და თეორიული ნაშრომისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ თანამედროვეობის ამსახველ სექტაკაში საუკეთესო რეჟისორული, აქტიორული (მაჰაჯაიცი, ჭალის), ახალგაზრდა შემსრულებლის, მხატვრის ნამუშევრისათვის და საუკეთესო კრიტიკული სტატიის, რეჟენზისისათვის ყოველწლიური (1979-1980 წლების სეზონი) კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა კონკურსის ეიურის თავმჯდომარემ ოთარ ეგაძემ.

საზეიმო საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების უფროსი ალექსანდრე შალუტაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, დუშეთის რაიონის მკვიდრი იაკობ ტრიპოლსკი, მოლდავეთის სსრ სახალხო არტისტი ვიქტორ გერლაკი და გუდამაყრელი კოლმეურნე თეორ წიკლაური.

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა სცენები: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სექტაკლებიდან: „პრემიერა“ (მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ელენე ყიფშიძე, იაკობ ტრიპოლსკი, რუსხ. დამსახურებული არტისტი გურანდა გაბუნია და მსახიობი ნანა ჩიქვინიძე) და „რეფორმატორი“ (მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქე-

თევან კიკნაძე და მსახიობი ასმით ტყაბლაძე). რუსთავის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა სცენა სექტაკალიდან „ვალი“ (მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ია ხობუა, ლერი მიშველიძე, გემალ მახაიშვილი, მსახიობი სპარტაკ კიკნაძე). საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ წაიკითხა უშანგი ჩხეიძის ლექსი „დურუჯს“. ქართული პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ზანდა იოსელიანმა და ამირან ტაყიძემ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნათლა მკერველიძემ შეასრულა ლელას არია რ. ლალიძის ოპერადან „ლელა“, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რევაზ კვაბაძემ კომპოზიტორ შალვა აბთივაძის ვოკალური ციკლი ვეა-ფშაველას პოეზიაზე, როიალთან იყო ავტორი. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მევიოლინე ირინე იაშვილი და პიანისტმა მელა ფანაშვილი შეასრულეს ა. მაჭავარიანისა და რ. ლალიძის ნაწარმოებები. პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა გიორგი ოსუფაშვილმა, გიორგი გამურაშვილმა და გიორგი სიფრაშვილმა წარმოადგინეს პანტომიმური ნოევლები „დღეს ფეხბურთია“ და „ძალისნები“. საღამო მიჰყავდა მხატვრული ქოთხის ოსტატს თათია ხაინდრავას, რომელმაც წაიკითხა აგრეთვე ვეა-ფშაველას და ანა კალანდაძის ლექსები. საღამოზე გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიონის გადაწყვეტილება დუშეთის ერთ-ერთი ქუჩისათვის ქართული თეატრის დღის სახელის მიკეთვნების შესახებ.

15 იანვარს ქართული თეატრის დღის მონაწილეები შეხვდნენ რაიონის მშრომლებს. გულობილი შეხვედრები მოეწყო ქინვალპე-



სის მშენებლებთან, დუშეთის სასაბურთო მეურნეობის მშრომელებთან, პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებთან, რომლებმაც თავიანთი ხელით მოქსოვილ-მოჩითული წინდებით დაასაჩუქრეს სტუმრები. თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მსაფურცელებთან რუსული თეატრების მსახიობებმა დუშეთის რაიონის მშრომელებისათვის საშუალო კონცერტი გამართეს.

სალამოს კი დუშეთის სარაიონო კულტურის სახლში კვლავ გაგრძელდა ზეიმი. აღინიშნა დუშეთის სახალხო თეატრის დაარსების 100 წლისთავი.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰ. კერესელიძემ. დუშეთის სახალხო თეატრის განვლილი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ირაკლი გოგოლაურმა. მოგონებებით გამოვიდნენ და მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ გურაბანიძემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მარიამ თაბორიძემ, დუშეთის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა მიმლი როსტიაშვილმა, საგარეჯოს რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ რამინ მარტიაშვილმა, დუშეთის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ მაია ჯავახიშვილმა, დრამატურგმა გიორგი ხუჩაშვილმა, თეატრმცოდნე ია თუხარაძემ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სახელით დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივის მეთაურმა იაკობ ტრიპოლსკიმ და ტარიელ საყვარელიძემ, საქართველოს სა-

სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის სახელით — მალვინა ახვლედიანი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტდარწესებულებათა განყოფილების გამგემ აბესალომ კალანდარიშვილმა კულტურის სამინისტროს სიგელები გადასცა დუშეთის სახალხო თეატრის ძველი და ახალი თაობის სცენისმოყვარეებს და თეატრის რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნუგზარ გაჩავას. დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სცენისმოყვარე ნიკოლოზ სეთურიძემ.

საზეიმო საღამოს ცენტრულ განყოფილებაში დუშეთის სახალხო თეატრმა წარმოადგინა სცენები სპექტაკლებიდან: „ლალი, სიყვარული და სხვები“, „მოკვეთილი“, „შთამომავლობა“. სასკოლო სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ცაბუნია“ (შექმნილი კ. ლორთქიფანიძის მოთხრობის მიხედვით). საღამოში მონაწილეობდნენ: დუშეთის სარაიონო კულტურის სახლისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მხატვრული თეათროქმედებითი კოლექტივები.

დუშეთის სარაიონო კულტურის სახლის ფოიეში საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმმა ქართული თეატრის დღისა და დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოვენა მოაწყო. 14 იანვარს გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთდროული გაზეთი „ქართული თეატრის დღე“.

14 და 15 იანვარს ქართული თეატრის დღისა და დუშეთის სახალხო თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი დუშეთში ნამდვილ სახალხო ღღესასწაულად იქცა.



ხელი საყავეში შესასვლელიდან

ქველი თბილისის სახეცვლილება

თენგიზ კვიციანი

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი წარდგინილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე. ჩვენი საზოგადოება შოთა ყავლაშვილს იცნობს, როგორც თბილისში აშენებულ მნიშვნელოვან ნაგებობათა ავტორს. ცნობილია ისიც, თუ რამდენ დროს და ძალს ანდომებს იგი მის მიერ (თუ კოლეგებთან ერთად) შექმნილი პროექტის ქეასა და ბეტონში განხორციელებას. არქიტექტორის შემოქმედებით ასაარეზი ფართოა, ინტერესები — მრავალმხრივი: სექტაკლების გაფორმება, მცირე არქიტექტურული ფორმები, სხვადასხვა დაწესებულებების ინტერიერები, ხიდები, ტიპობრივი თუ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სპორტული ნაგებობები, დიდი საზოგადოებრივი შენობები, ადმინისტრაციული სახლები... სამი ათეული წლის მანძილზე შექმნილი პროექტების და აგებული შენობების ნუსხა მეტად ვრცელია. და მაინც, მის აღრინდელ შემოქმედებით ინტერესებს თუ ვაგივალისწინებთ, ძნელი საფიქრალი იყო, რომ შოთა ყავლაშვილი ესოდენ აქტიურად დაინტერეს-

დებოდა ქალაქის ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის პრობლემებით. მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, მხატვრულ ძიებათა თვისებურებანი თითქოს მხოლოდ ახალი უბნებით დაინტერესებაზე მიგვიითებდა. ის გარემოება, რომ შოთა ყავლაშვილი ბოლო წლებში მოვიდა ძველი თბილისის რეკონსტრუქციის ფართომასშტაბურ ამოცანებზე, იმაზე მიუთითებს, რომ მას არ უმეტუნა შემოქმედებითა ალლომ, დანახა ისტორიულ უბანში მიმალული მხატვრული და არქიტექტურულ-კომპოზიციური შესაძლებლობები. და კიდევ, ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის იდეა მრავალი წლის წინათ დაიბადა სახელოსნოში, რომელსაც შოთა ყავლაშვილი ხელმძღვანელობს. მაგრამ იმ დროს არც საზოგადოებრივი აზრი, არც მატერიალური და ტექნიკური შესაძლებლობები ამ იდეის განხორციელების საშუალებას არ იძლეოდნენ. ის, რომ დღეს ბარათაშვილის ქუჩა განახლებული სახით წარმოგვიდგა, შოთა ყავლაშვილის კიდევ ერთ თვისებასაც უნდა მივაწეროთ — ავტორის აშკარად გამოკვეთილ ორგანიზაციულ ნიჭს.

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის



კიბალიჩის აღმართის რეკონსტრუირებული განაშენიანების ფრაგმენტი

მაგალითი სცილდება ლოკალურ კომპოზიციურ და მხატვრულ მნიშვნელობას. იგი პირველი ფართომასშტაბიანი მაგალითია ძველი უბნის რეკონსტრუქციისა თბილისში და, ამდენად, საბ.ბს იძლევა საერთო ხასიათის დასკვნების და რეკომენდაციების გამოსატანად. ამ ქუჩის გარდაქმნის შედეგებმა, პირველყოფლისა, ყველა ჩვენთაგანს — სპეციალისტს, ადმინისტრაციულ პირს, მოქალაქეს ნათლად დაგვანახა თუ რაოდენ ამდიდრებს მთლიანად ქალაქის მხატვრულ სახეს ძველი უბნების ფრაგმენტები. ამავე დროს, ჩატარებული სამუშაოს ანალიზი იმითაც არის საგულახში, რომ ბევრად დაგვეხმარება მომავალში მეთოდურად და მეცნიერულად უფრო მიზანდასახულად წარმართოთ სხვა უბნების რეკონსტრუქცია.

სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ არაერთხელ აღინიშნებოდა (ეუბნა „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზეც), რომ ჩვენ მეტად ჩამოვრჩებით ზოგიერთ სხვა რესპუბლიკას ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის საქმეში. მოკლე დროში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, სპეცია-

ლისტები, ძველის ქომაგები ეყაყოფილებით აღნიშნავენ ბოლო წლებში აშკარად გამოკვეთილ ძვრებს ისტორიის, კულტურის, არქიტექტურის ძეგლთა დაცვის დარგში. ამჟამად შექმნილ ატმოსფეროში ვაკვირებითაც კი გვახსენდება ის „ბრძოლები“, რომელთა გადახდა იყო ხოლმე საჭირო ამა თუ იმ ძეგლის ხელყოფისაგან დასაცავად. რესპუბლიკის და თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ისტორიული ძეგლების დაცვას და აღდგენის საქმეს. არ შეიძლება არ შეინიშნოს ფართო საზოგადოების მზარდი ინტერესი თბილისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქციისადმი. დღეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები ძველი თბილისის სხვადასხვა უბანში წარმოებს. საზოგადოების დაინტერესების ამგვარ გაღვივებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ბარათაშვილის ქუჩის გარდაქმნამაც.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე ქალაქის ჩრდილოეთი კედელი (აწინდელი ბარათაშვილის ქუჩის ხაზზე) გამაგრებული იყო კოშკებისა და ბურჯების სისტემით. დიღმის კარის გარდა,

რომელიც დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლების თავშეყრის ადგილზე მდებარეობდა (დღევანდელი ვერცხლის ქუჩის დასაწყისი), ამ ხაზზე ერთმანეთის სიახლოვეს ჩანენებია ორი კარბჭე: „ქვემო კარი ხიდი“ (იგივე „წყლის კარი“) და „მეიდნის კარი ხიდი“. „ქვემო კარი“ ოდნავ სიღრმეში იყო ამ ადგილისგან, სადაც აღუშვათელის ქუჩა ერწყმის ბარათაშვილის ქუჩას, ხოლო „მეიდნის კარი“ მდებარეობდა დღევანდელი ჩახრუხაძის და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ცნობილია, რომ ბევრ შემთხვევაში ქალაქის კარი სახელწოდებას იღებულობდა იმ ქალაქის, დასახლებების ან რაიმე ნიშნით გამოყოფილი ადგილისგან, რომლებსიცნავ მიემართებოდა გზა ამ კარიბჭედან (მაგალითად: ვანის კარი, კოჯრის კარი, დიღმის კარი), ზოგჯერ დასახლებდა აღნიშნავდა კარიბჭის ახლოს მდებარე ქალაქის ან გარეუბნის ნაწილს. „მეიდნის კარიდან“ გზა გადადიოდა ხევზე გადებულ ხიდზე, კეთდა დღევანდელი კოლმურწუნობის მოედნის ტერიტორიას (ჰქ ვანისუბნის სასაფლაო იყო) და მიემართებოდა ვრცელი მოედნისკენ, სადაც ასპარეზი (ყაბახი) იყო. ამ ადგილს ვახუშტი მაგრატიორნი ასე აღნიშნავს: „მეიდანნი არუ ასპარეზი“. ერეკლე მეორის ზეობის ხანაში ვენერგულუ ზომები იქნა მიღებული თბილისის ფორტიფიკაციული სისტემის გარდასაქმნელად და გასაძლიერებლად. როგორც კვლევა ადასტურებს, ვაჩნდა ახალი ბურჯები, ზოგიერთი კი მოშალეს. დღეს ბარათაშვილის ქუჩის ერთ ნაწილში („მეიდნის კარის“ სიახლოვეს) ორმაგ კედელს შეამჩნევთ. სიღრმეში ახლად ამოყვანილი კედელი, როგორც ჩანს, გალავნის ძველ ხაზს გასდევს, ხოლო მის წინ შემონახული კედლის ნაშთები ერეკლეს დროს წარმოებულ გადაკეთებას მოწმობს. ეტყობა ძველი კედელი იმდენად დაზიანებული იყო, რომ არჩიეს მის წინ ახალი კედლი ამოყვანათ. ამიტომ აქვს შას ერთი შეხედვით უჩვეულო მოხაუთლობა.

XVIII საუკუნეშივე გააღმქმეს „ქვემო კარი“, ხოლო ვახუშტისეულ „მეიდნის კარს“ უკვე „მუხრანის კარს“ უწოდებდნენ. მის სიახლოვეს მუხრან-ბატონის სასახლე მდებარეობდა და ამან განაპირობა უბნის და კარიბჭის სახელწოდებაც, ისევე როგორც ე. წ. „მუხრანის ხიდის ბორისა“ (დღევანდელ ბარათაშვილის ხიდის ხაზზე) და „მუხრანის ხიდისა“. ქალაქის გალავნის ჩრდილოეთი კედელი მიყვებოდა ხევის პირს, რომელსაც ავანანთ ხევი ერქვა. ხევი სოლოლაკში იწყებოდა (აწინდელი კარივანს ქუჩის გასწვრივ), ირიბად სერავდა დღევანდელ ლენინის მოედნის ტერიტორიას, სადაც მას სოლოლა

კის ქედდან, დღევანდელი დადიანის ქუჩის გასწვრივ მდებარე ხევიც უერთდებოდა, გრძელდებოდა ამაჰინდელი პეშკინის ქუჩის გაყოლებით, შემდეგ მკვეთრად უხვევდა აღმოსავლეთისკენ და მტკვრისკენ მიემართებოდა ბარათაშვილის ქუჩის ხაზზე. ამგვარად, თბილისის გალავნის ამ ნაწილის კონფიგურაცია ბევრად განსაზღვრა ხეების არსებობამ.

უკვე XIX საუკუნეში ხევი ავღრის კამარით გადახურეს და მის ხაზზე ვაჩნდა მუხრანის ქუჩა. კოლქტორის ფრაგმენტზე გამოჩნდა მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობისას და იგი თავისებურ მხატვრულ ელემენტტად გამოიყენეს. მუხრანის ქუჩას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ცენტრის დასაკავშირებლად ავღაბართან, იგი მტკვართან წყლებოდა, მის ღერძზე კი ბორანი მოქმედებდა (ამ ადგილზე პირველი ლითონის ხიდი მხოლოდ 1911 წელს ააგეს). გასული საუკუნის 20-იან წლებში გალავანი ააფეთქეს. ავღრის და ქვის სამშენებლო მასალად იყენებდნენ. მკატრუმა ვანაშენიანებამ შოთაშთა გალავნის ნარჩენები და წაშლია თბილისის შუასაუკუნოვანი საზღვარი.

დროთა განმავლობაში თბილისის მარცხენა ნაპირის განაშენიანება სულ მცტად ფართოვდებოდა. ვიწრო ხიდი (ამასთან ტრამვაის საზოთ გადატვირთული) და ასეთვე ქუჩა ძლიეს ატარებდა ტრანსპორტის მზარდ ნაკადებს. 1965 წელს ძველი ხიდი ორიართსიანი ხილით შეიცვალა (იხიეთ გ. ქარცივაძის, აბქიტექტორები: შ. ყავლაშვილი და ვ. ქურთიშვილი). დადგა ბარათაშვილის (ყოფილი მუხრანის) ქუჩის ვერცხი, მით უმეტეს, რომ იგი მნიშვნელოვანი მაგისტრალის ელემენტტად იქცა. ამასთან, ბარათაშვილის ქუჩა ნთავრდება კოლმურწუნობის მოედანზე, სადაც თავმოყრილია სასურსათო მაზარი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლანტი და სხვა საეაქრო დაწესებულებები. ამორტიხებული მოშენების ხარჯზე ქუჩა ერთიორად გაფართოვდა. ძველი სახლების მონგრევისთან ერთად თანდათან გამოჩნდა ძველი გალავნის კედლების, კოშკების, ბურჯების ფრაგმენტები. მართალია, ჩვენ ადრეც ვვხვდებით აქ ანდლის ნაშთების არსებობას და გრაფიკული ანალიზის მეშვეობით ზუსტად განსაზღვრეთ კედლის ხაზი, კოშკების და ბურჯების მოსალოდნელი ადგილმდებარეობა, მაგრამ ქოატური დანაშენებისა და მინაშენებისაგან ვაშენდამდე შეუძლებელი იყო ამ ფრაგმენტების შემორჩენილი ზომების განსაზღვრა.

ავტორმა, რესტავლიკის დამასხურებულმა არქიტექტორმა შოთა ყავლაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება აღედგინა ქუჩის ფორმტზე


გამოსული კედლისა და კოშკების ნაწილი და გალავნის კედელზე შეიკედელი თუ მიბჯენი-
ნი გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლე-
ბი. ავტორი არ ისახავდა ამოცანას აღედგინა
ერთი განსაზღვრული ეპოქის სურათი. ქა-
ლაქის გალავნის ფრაგმენტები ენაცვლებიან
გასული საუკუნის თბილისის დამახასიათე-
ბელ აივანიან სახლებს. ამ მხრივ ავტორის პო-
ზიცია მართებულად მივყავართ. ქუჩამ გარკ-
ვეული შინაარსი მიიღო, იგი მკვეთრად გ-
მიპოკოფს ქალაქის შესაფუთვოვან ბირთვს
და მისი ერთი მხარის მოშენება თბილისის
ისტორიული ნაწილის თავისებურ „საკვიზი-
ტო ბარათად“ მოგვევლინა.

გალავნის შემორჩენილი ფრაგმენტები
სხვადასხვა სიმაღლეზე იყო ამოსული. ავ-
ტორმა გადაწყვიტა ამ ნაწილის მთელ
სიმაღლეზე აღედგინა. კედლები, კოშკები და
ბურჯები ამოყვანილია ტრადიციული წყე-
ბით — ბრტყელი აგურებით მოჩარჩოებული
ქვის კვადრებით. კედელს ქონგურები აგვირ-
გეინებს. ავტორი შეეცადა მაყურებლისთვის
მიენიშნა ძველი (ისტორიული ღირებულების
ქვინე) და ახალი წყობის საზღვარი ბეტონის
შოლის გაყვანით. შესაძლოა საჭირო იყო ამ
ზღვარის მეტად ენერგიული ხაზგასმა. ამა-
სთან, ახლად ამოყვანილია ქალაქის კედელი
იმ ხაზზე, სადაც, ალბათ, იგი გადიოდა
ერეკლეს დროს ჩატარებულ რეკონსტრუქცი-
აში. კედლის წინ აღმოჩენილი ერეკლეს-
ლოინდელი კედლის ფრაგმენტები კი კონ-
სერვირებულია. ზოგიერთ ადგილებზე ახალ
წყობაში „სარკმლებია“ დატოვებული ძვე-
ლი წყობის გამოსაჩენად. ნახევრად წაქ-
რილი თალითაა მინიშნებული „მეიდნის“
(გვიან — „მუხრანის“) კარის ადგილსამყო-
ფელი. როგორც აღვნიშნეთ, კედელი ადგილ-
ადგილ წყდება გასული საუკუნისათვის დამა-
ხასიათებელი საცხოვრებელი სახლებით. ზოგ
მათგანს კვლავ საცხოვრებელი ფუნქცია
დარჩა, სხვანი ადაპტირებული არიან სხვა-
დასხვა საზოგადოებრივი დანიშნულებათ-
ვის (სავაიოფენო დარბაზი, რესტორანი,
მართონეტების თეატრი). მხატვრულად, მო-
ცულობით, ფერით განსხვავებულ სახლებს
აერთიანებს ფორტიფიკაციული ნაგებობის
თემა. საციხე კედლის მშლავრი წყობის ფონ-
ზე გამოიყოფა ხის აივნები, მოხდენილი ბა-
ლაისნიებითა და აყურული ტემპანებით,
რაც განაშენიანების მთელ ფრონტს ღინა-
მიკურობას სძენს, თუმცა, განსაზღვრულად,
დეკორაციულ შთაბეჭდილებასაც ქმნის.

გალავნის მიღმა, საცხოვრებელი სახლების
ქვეშ, თალეებითა და კამარებით გადახურული
ადგილ ზომის დარბაზები აღმოჩნდა. ძველი სა-
რდადები არქიტექტორმა ჩინებულად გამოი-
ყენა. ერთ მათგანში (ვერცხლის ქუჩის სიახ-



ძველთბილისური აივნების მოტივები ბარათშელის ქუჩაზე.




ლოვე) საქონივე განთავსდა, მეორეში — საყვე, მესამეში — სუფენიერების მალაზია. საქონივეს არქიტექტურის თანავტორია ახალგაზრდა სპეციალისტი ვ. რეხელაძე. ამ სათავსების (ეროვნული რესტორნის ჩათვლით) არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნა ავტორის შემოქმედებითი წარმატებაა. ზედნიშვნითაა მოფიქრებული ყოველი დეტალი: ავეჯი, ქორიანდლები, ქალები, ჭურჭელი. გამოყენებულია ხე, ლითონი, კერამიკა. ტყავი ერთი დეტალი უფიქროდ ცალკე აღნიშვნის ღირსია: ვეგლისხმობ ტყავზე დეტალის თბილისის ვახუშტისეულ გეგმას. იმეტიტურად არის ჩართული ინტერიერებში გალავნის შემორჩენილი ფრაგმენტები. ორგანულად არის შერწყმული ტრადიციული ფორმები და ორნამენტი თანამედროვე მოთხოვნებთან, მოფიქრებულია ეფექტური განათება.

დასაწყისში აღენიშნე, რომ ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის ფაქტი სცილდება ქალაქის ერთ-ერთი კუთხის გარდაქმნის ფაქტს და ზოგიერთ პრობლემურ საკითხს წამოჭრის. ამ საკითხებზე სპეციალისტთა აზრის სხვადასხვაობა არსებობს. წერილის ჩართობი და მიზანი არ იძლევა ამ პრობლემების ფართო განხილვას, ნაგარე ზოგიერთ მათგანზე, ალბათ, ყურადღების გამახვილება საჭიროა.

რესტავრაციის, ადაპტაციის თუ რეგენერაციის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა მიხანსეწიონილად სცნობს ძეგლის იმეკარ აღდგენას, რომ მინიმუმამდე შევსულდით ცდომილებები და ადრე არსებული გადაეეთება. ძეგლს ჩამოაცილიან ხოლმე გვიანდროინდელ დამზინეებებს და ასწორებენ დანიანებულ ადგილებს, მაგრამ სხვადასხვა დროის მოწმეთ, მათ შორის გვიანდელ დანაშრეგებს (თუ მათ ისტორიული ან მხატვრული ღირებულება გააჩნათ) შემოინახვენ. წესადაა ალიარებული, რომ დაკარგულის აღდგენას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ზედმიწევნით უტყუარი ცნობები მოგვემოვევა აღრიდელი ფორმების შესახებ. ამასთან აღდგენასას არ ხდება ძეგლის ფალსიფიკაცია და აღდგენილი ფორმები სრულდება ხოლმე განსხვავებული მასალით, რათა ადვილი გასარჩევი იყოს ძველი, ისტორიული ღირებულების მქონე და ახალი შრეები. ასეთი მავალითები ბევრია ჩვენშიაც და საზღვარგარეთაც (სამარყანდში, მოსკოვში, ზალორსკში, თბილისში — საჩინო, ბოლნისში და ა. შ.). მაგრამ არის ხოლმე შემთხვევებიც, როდესაც ძველის იმიტაცია გამართლებულია და ზოგჯერ — აუცილებელიც. ეს მაშინ, როდესაც საზრუნავს წარმოადგენს ანსამბლის მთლიანობის აღდგენა დაკარგული რგოლის

აღდგენის გზით. მაგალითად, XVIII საუკუნის დასასრულის ამ მიზნით აღდგენის მოსკოვის კრემლის კედლის დანგრეული ნაწილები მდინარის მხრიდან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კედლებისა და კოშკების ფორმა ზუსტად იყო ფიქსირებული დანგრევამდე. ზემოთ ლაპარაკი იყო ცალკეულ ძეგლებზე. ქალაქის განაშენიანებაში ეს პრობლემა გაცილებით რთულია და მრავალმხრივი. მით უმეტეს ჩვენს დროში, როდესაც ძეგლის ცნება ესოდენ გაფართოვდა. ლაპარაკი ე. წ. ქალაქმშენებლურ ძეგლზე. ქალაქში აგებული ძეგლი, თუმცა მას თავისთავად ისტორიული ღირებულება გააჩნია, ქალაქის სისტემის ნაწილია და იგი სრულყოფილად ელენე ვარემოცასთან გარკვეული დამოკიდებულების დაცეისას. ძეგლის ბედს ზოგჯერ განსაზღვრავს არა მარტო მასზე, მიმართული ღონისძიებები, არამედ მის გარემოცვაზეც. თუკი ჩვენ შევეცდომე ძეგლის ფონს, მის მასშტაბს, შეიცვლება ძეგლის მხატვრული სახეც. ამგვარად, აქ საუბარია საერთო ფონის არა დეტალურ აღდგენაზე, არამედ მასშტაბის, საერთო ხასიათის, კოლორიტის შემონახვაზე. განაშენიანების ელემენტები, ცალკეულე განხილული, შესაძლოა, არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ღირებულებას, მაგრამ ერთიანობაში, თანანამასშტაბებობაში, კოლორიტში გადმოგვეცემენ გარკვეული დროის განუმეორებელ სურათს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გა-

სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზად გადაკეთებული შენობა



ნაშენიანების ორგანიზმში ახალი დეტალების შეტანაც იმგვარად, რომ მით არ შელახონ ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქ-თმშენებლური ქსოვილი, მისი მასშტაბი.


ძველი უბნების რეკონსტრუქციის ამოცანებში მეტად რთულია და მრავალ წინააღმდეგობას მოიცავენ. აქ შეუძლებელია ერთიანი რეცეპტების გამოთქმა. ნებისმიერ მტკიცებას, შესაძლოა, სწინააღმდეგო დაუპირისპირო. აქ იშვიათია გამოინაჯისის გარეშე არსებული წესები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას თავისებური მიდგომა სჭირდება. განსხვავებული ამოცანები წამოიჭრა თუნდაც ბარათაშვილის, კიბაჩიჩის, თუ შარდენის ქუჩების რეკონსტრუქციისას. ყოველი შემთხვევა ზედმიწევნით შესწავლას და სიფრთხილეს მოითხოვს.


ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის შედეგების განხილვისას სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ზოგიერთი მეთოდური ხასიათის ასპექტი. პირველყოფისა, გალავნის კედლის წყობის ხასიათი. შესაძლოა უფრო მისაღები იქნებოდა აღდგენილი ნაწილების განსხვავებული წყობით ამოყვანა, რათა უფრო მკაფიოდ გამოყოფილიყო ძველი და ახალი, ისტორიული ფასეულობის მქონე და თანამედროვე. ისე, როგორც ეს თვით ავტორს ჰქონდა განზრახული პროექტით (პროექტში ახალი წყობა აგურით იყო ნაგულისხმევი). უადგილოდ არის გამოყენებული სამი შეკიდული მამოყელი (ასაღედ,

ღერო). ამგვარი ფორმის არსებობის თბილისის გალავანზე მეტად პრობლემატურია (სალოდეს ფორმა გადმოტანილია უბიხას რეკონსტრუირებული კომპლექსიდან). ამასთან, ისინი ზღმეტ დეკორაციულობას ანიჭებენ კედელს. გაუგებარია მუხრანის კარის ადგილის მინიშნება ნახევრად ამოყვანილი თაღის მეშვეობით, — თითქოსდა ნანგრევები შეეჭვნით. უფრო მართებული იქნებოდა ან თაღის დამთავრება, ან (მეტად მიზანშეწონილი) — ადგილის მინიშნება სრულიად თანამედროვე ფორმით, მასზე მოთავსებული სათანადო წარწერით. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიმეორო წინადადება, რომ აზრს არ იქნება მოკლებული აღინაშნოს თბილისის გალავნის სხვა კარიბჭეების ადგილმდებარეობაც.

საუბარი ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციაზე სრული არ იქნებოდა, რომ არ გვეხსენებინა ამავე ქუჩაზე მოწყობილი მიწისქვეშა გადასასველი. ბოლო დროს თბილისში რამდენიმე ახალი მიწისქვეშა გადასასვლელი გაკეთდა. ყოველი მათგანი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, და მაინც, ბარათაშვილის ქუჩაზე მოწყობილი გადასასვლელი მკვეთრად გამოირჩევა ზომებით და განმტობებით, და არა მარტო ზომებით, გადასასვლელს სრულიად გარკვეული იდეური შინაარსი აქვს. მისი არქიტექტურა ერთიან „სცენარს“ ემსახურება. როდესაც მიწისქვეშა ხარო, მულამ გრანობით ძველი ქალაქის სიახ-

საყავე, ინტერიერი






ხედი მიწისქვეშა გადასასვლელიდან

ლოვეს. გადასასვლელია მხატვრული სახე ხომ ძველ თბილისს მიემდვნა. იგი ბარათაშვილის ქუჩის მოშენებასთან ერთად კომპლექსშია. ინტერიერის არქიტექტურაში ჩართულია ძველი კოლექტორის ფრაგმენტები, გადასასვლელის კედლებზე განათებით აქცენტირებულია ძველი ფოტოები და გრაფიურები, გადასასვლელის ლერძზე მოქცეული ნანგრევები რომანტიკულ განწყობას ქმნიან. აღსანიშნა-

მიწისქვეშა გადასასვლელი



ვია, რომ ღრმად მოფიქრებულია ცენტრული ნაწილის მოხაზულობა და მასშტაბი. მართალია, რუსთაველის პრემიაზე ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციას წარდგინალი, მაგრამ შეუძლებელია არ შევეხოთ მდინარის მარცხენა ნაპირზე, ბარათაშვილის ქუჩის უკან განლაგებული ფერდობის განაშენიანების რეკონსტრუქციასაც, რადგან ქალაქის ცენტრში წარმოიქმნა ახალი ანსამბლი, რომელიც დიდ სივრცეს მოიცავს და მხატვრულად აერთიანებს მტკვრის ორობეც ნაპირს ამ უბანზე, კიბალჩიხის აღმართის მოშენება ბატონობს გარემოზე, აღიქმება როგორც ბარათაშვილის ქუჩიდან და ხილვადან, ასევე თბილისის ცენტრალური ნაწილის მრავალი წერტილიდან. ამ-თ მას არა ლოკალური, არამედ საერთო საქალაქო ელერადობა აქვს.

ეს უბანი ძირითადად გასულ საუკუნეში განაშენიანდა. ადრე იგი ქალაქის გარეუბანს წარმოადგენდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ჩულღუთისა და გარეუბანბარს შორის. (ადრე სოფელი ჩულღუთი მტკვრის ნაპირზე მდებარეობდა და მას ავჭალის გზა ჰყოფდა შუაზე). ამ უბანში ვახუშტი ბაგრატიონს 161-ით საყდარი აქვს აღნიშნული და მის გარშემო მოშენება არ ჩანს. როგორც ჩანს, საყდარს ქალაქგარეთა მონასტრის დანიშნულება ჰქონდა. გვიანდელ ეგვიპტეზე მცირე გზა ნაჩვენებია, რომელიც გარეუბანბარში იწყებოდა, ჩამოყვებოდა აწინდელ კიბალჩიხის დაშლას და დღევანდელ სანაპიროს ტრასაზე გამავალ ძველ ავჭალის გზას უერთდებოდა. ხევის პირას ცალკე მდგარი ეკლესია კი გალავნით იყო შემოზღუდული. ამ უბანში დასახლება არ არის ნაჩვენები 1828 წლის გეგმაზეც. როგორც ჩანს, ამ ძნელდ ასათვისებელი ადგილის მოშენება გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც თბილისმა შეუჩერებლად იწყო ზრდა მტკვრის აუცილებით. გასული საუკუნის ფოტოებზე აღბეჭდილია ეს უბანი. ფერდობი დაფარულია აივნისანი სახლებით, რამდენიმე სახლი ბანიანია. ამგვარად, პრინციპული გადაწყვეტა ავტორისა, როდესაც იგი ხაზს უსვამს აივნების თემას, არ ეწინააღმდეგება ამ ადგილის მოშენების ისტორიულ ხასიათს. მაგრამ კიბალჩიხის ქუჩის მოშენების რეკონსტრუქცია ცალკე საუბრის თემაა. გვიწოდება ხაზი გავეყვას იმ გარემოებისადმი, რომ ქალაქმა მიიღო მასშტაბური ანსამბლი, სადაც გაერთიანებულია დიდი სივრცეები. ანსამბლს, თბილისისათვის დამახასიათებელი კონტრასტული რელიეფის გამო, მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ქალაქის თეითმყოფელი მხატვრული სახის გადიდრებაში.



ლიანა ელიავა

გამოჩინილი საბჭოთა რეჟისორი მიხეილ რომი კინოსამყაროსათვის ცნობილია, როგორც განახლების უშრეტეი ენერგიით აღსავსე რეჟისორი. მისი ყოველი ფილმი ძველის უარყოფა და ახლის ძიებაა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ნამდვილი მხატვრულ სრულყოფას მან თავის ბოლო ფილმებში „ერთი წლის ცხრა დღე“ და „ჩვეულებრივი ფაშოზიმი“ მიაღწია.

უკვე აღიარებულ ოსტატს, საბჭოთა კინოლენინიანის შემქმნელს, თითქმის მშვიდად და უდრტინველად უნდა განეკრძო დადაფხული შემოქმედებითი გზა, მაგრამ რომისთვის, როგორც ხელოვანისთვის, უცხო იყო თვითმკაფიოების გრანობა, მიღწეულით ტკიბობა.

„ყველაზე საშინელი ჩემთვის ერთ ადგილას გაყინება, — ამბობდა მ. რომი, — ... სამოცი წლის ასაკში არც ისე ადვილია საკუთარი თავის გარდაქმნა, მაგრამ ჩემს წინ ყოველთვის დგას ტოლსტოის მაგალითი, რომელმაც სიცოცხლის მიწურულს, ღრმად მოხუცმა შესძლო დაეწერა მხატვრული ექსპრესიით, მწერლური სიზუსტითა და ენების სიძლიერით გასაოცრად ახალგაზრდა, მიუწვდომელი ნაწარმოები „პაჟი მურატი...“¹

¹ მ. რომი, ლექცია წაკითხული უმაღლეს სასცენარო კურსებზე, „საუბრები კინოზე“, გვ. 301, 1964 წ.

ფილმში „ერთი წლის ცხრა დღე“ რომმა ძირფესვიანად გადაატრიალა თავისი მხატვრული არსენალი: მკაცრად შეკრული დრამატურების ნაცვლად დედამამატიათა, სიღრმითი მიზანსცენების ნაცვლად თავისუფალი, მოძრავი კამერა, მოულოდნელი მონტაჟური გადასვლები, მოუწესრიგებელი, დოკუმენტური კომპოზიციები, მსახიობთა თამაშის მანერაც უფრო ბუნებრივი, არა პრიმიტიულად ერთხაზოვანი, არამედ გართულებული უამრავი ქვეცნობიერი ნიუანსებით.

ცნობილია კურიოზული და, ამავე დროს, ღრმად ნიშანდობლივი ფაქტი. ერთმა უცხოელმა კინომცოდნემ, რომელმაც არ იცოდა რომის ასაკი, სამოცი წლის მიხეილ რომი ამ ფილმით ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა რიგებში ჩაირცხა.

რომი კი ამ ნამუშევარსაც უყურებდა, როგორც მხოლოდ ნაბიჯს იმ ხელოვნებისაკენ, რომლის გულისთვისაც ღირს გარჯა და ცხოვრება.

და აი, რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა სრულიად უნიკალური ფილმი „ჩვეულებრივი ფაშოზიმი“. როგორც ხელოვნების ყველა ნამდვილ ქმნილებას, მასაც მომავალი, ალბათ, უფრო მეტს მიუზღავს, ვინემ აწყმომ არგუნა.

ამ ფილმში რომი დოკუმენტური კადრების მეშვეობით არა მხოლოდ აღადგენს დროს, ატმოსფეროს, ადამიანებს, არამედ

ფსიქოლოგიური სიღრმით, სარკასტული და უნდობლობით იკვლევს და აშოშვლებს ფაშისძის ძირებს, ასოციაციური აზროვნებით ავლენს პარალელს თანამედროვეობასთან და ჩვეულებრივი ფაშისძის საშინელ ხატს ქმნის.

ქრონიკალური კადრების შერჩევა, მათი მინტაჟი ახალგადაღებულ კადრებთან, ფილმის მუსიკა და კომენტარები, კონტრაპუნქტი ხმასა და გამოსახულებას შორის—ყველაფერი ეს ისეთი მძალაოსტატობითაა შესრულებული, რომ უნებურად იშლება ზღვარი დოკუმენტურსა და მხატვრულ კინოს შორის, უფრო მეტად, ფართოვდება საერთოდ კინო-აზროვნების თვალსაწიერი.

რეკისურა რომის შემოქმედების მხოლოდ ერთი სახეა. არანაკლებ საინტერესოა მისი, როგორც კინოს თეორეტიკოსის, მემკვიდრეობაც; მისი „საუბრები კინოზე“ ყველა რეკისორის სამაგიდო წიგნია.

რომი — პუდაგოგი, რეკისორთა მომავალი თოპების აღმზრდელი ასევე ამოუწურავი თემაა. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ის ეყოფოდა სახელად, რომ საბჭოთა კინოს აღმოუჩინა და აღუზარდა ისეთი თვითმყოფელ რეკისორებს, როგორც არიან: ჩუხრაი, შუქმინი, ტარკოვსკი, კონჩალოვსკი, მიხალკოვი და მრავალი სხვა.

ჩემი უფროსი ქართველი კოლეგების რეზო სპაძისა და ლერი სიხარულძის კვალად, მეც მხვდა წილად ბედნიერება მისი მოწაფე ეყოფილიყავი.

როგორც ადამიანი, რომი იყო ჩვეულებრივი, „სულისშემძვრელად ჩვეულებრივი. როგორც ბუნება“ (ბ. პასტერნაკი.) მასთან ვერ გრძობდით ვერც ასაკობრივ ზღვარს, ვერც ეროვნულ ბარიერს, ვერც ცოდნისა და გამოცდილების უფსკრულს, შეგიძრს რომ აშორებდეს ოსტატისაგან. მის სიტყვას არასოდეს არ ჰქონია განაჩენის ძალა, არავის არაფერს არ ახვევდა თავს, პირიქით, ცდილობდა ავტორის ტალღაზე მიმართულიყო, მიეღო მისი თამაშის წესები, თავისი სიმართლე მულად სხვისი სიმართლით შეემოწმებინა.

ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას, როგორც საკავშირო კინმატორაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის მხატვრული კინოს სახელმწიფოს ოსტატს და კინოსტუდია „მოსფილმის“ ერთ-ერთი გაერთიანების მხატვრულ ხელმძღვანელს, უხდებოდა ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და მსოფლმხედველობის ადამიანებთან.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შემთხვევა საკუთარი პრაქტიკიდან:

საკურსო ფილმისათვის მწერალ რეზო ჰეი-

შვილის მოთხრობა „ბოზიანეთი“ შევჩარიე. მასში, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი არ ხდება, მაგრამ რომმა განსკვირბა, რომ არჩეული მასალა ცხოვრებაზე დაკვირვების, საინტერესო ეროვნული ხასიათების შექმნის საშუალებას იძლეოდა, თანაც, ყველაფერ ამას საფუძვლად ედო კეთილშობილური იდეა — როგორ ამაღლებს ადამიანს ცხოვრების პროზაულ ყოველდღიურობაზე ხელოვნება და სიყვარული.

მიუხედავად დანარჩენი პედაგოგების წინააღმდეგობისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ უფრო მომგებიანი ფაშულის მქონე ნაწარმოები უნდა შეეზარებინა, რომმა მხარი დამიჭირა და გზა დამილოცა.

არ დამაინტერესებდა სიტყვები, რომლითაც მან დაგვიმოდარა სადილობო სცენარის არჩევანის წინ:

„კლასიკური დრამატურგია გნებათ? — კეთილი და პატიოსანი.

დედრამატუზაცია გირჩევნიათ? — ესეც საინტერესოა. ხელოვნებაში არსებობს ორი გზა: რა და როგორ. მე პირადად როგორს ვანიჭებ უპირატესობას, თქვენი კი თქვენი საქმე თავად უკეთ მოგვსენებთ.“

თუ დააკვირდებით, რომისებური აზროვნების, მასალასაში რომისებური, დილოგური მიდგომის მარცვალს უშუალოდ იზოვით მის საუკეთესო მოწაფეთა ფილმებში. გარდა ამისა, ყოველ მათგანს გამახვილებული აქვს ფორმის, სტილის გონიობა. როგორ, რა ხერხებით თქვენს სათქმელი, მათთვის არასდროს არ არის უფულებელყოფილი. ამიტომაც გამოირჩევიან ისინი უფერული კინემატოგრაფიული მასიდან საუკეთესო ხელწერით.

გარდა ლექციებისა, ჩვენ სხვადასხვა დროს გვეკონდა საშუალება მოგვესმინა ფირზე ჩაწერილი რომის მოთხრობები, მისი შემოქმედებითი ნიჭის კიდევ ერთი გამოზრწყინება.

დაკვირვების, ანალიზის, იუმორის, სიბრძნის ფეიერვერტა თითოეული მათგანი. რომის მრავალი გამოთქმა თავისი სისხარტის გამო მორაულ აფორიზმად იქცა. მაგალითისათვის რამდენიმეც კმარა:

„გზა რეკისურისაკენ მოფენილა გაუბედავად ადამიანთა გეგმებით“...

„უნდა დანებარო ნიჭიერს, უნიჭო თვითონაც გაიკვლევს გზას“...

რომის მადლიერ მოწაფეებს, მის თანამოაზრეებსა და მიმდევრებს საბჭოთა თუ საზღვარგარეთის კინოში არასოდეს დაავიწყდებათ საბჭოთა კინოს ამ უკეთილშობილესი რაინდის სახე, რომლის სიტყვა და საქმე, ცხოვრება და შემოქმედება ყოველთვის იყო ცოცხალი მაგალითი ხელოვნების ჰუმარტი საშისახურისა.

ნიგნის მხატვარი

მარინე კერესელიძე

შპრშან გამოცემლობა „საბჭოთა სპორტველომ“ გამოსცა შექსპირის სონეტების კრებული, რომელიც ნიგნის თაროებზე გამოჩენისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამ გამოცემისადმი ყურადღება და ინტერესი, სონეტების რევაზ თაბუკაშვილისეულ ჩინებულ თარგმანთან ერთად, უთუოდ განაპირობა გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებულმა მხატვრულმა გაფორმებამაც, რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერ გრაფიკოსს დეა ჯაბუას ეკუთვნის.

ათიოდ ნელია, რაც დეა ჯაბუა ნიგნის გრაფიკაში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე გაფორმებული აქვს ორმოცზე მეტი ნიგნი. მათ შორისაა „ათას ერთი ლამე“, პოლონური პოეზიის კრებული „ხე და ვარსკვლავები“, პამელა ტრავერსის „მერი პოპინისი“, სპარსული ზღაპრები, მ. ქვლივიძის „ლექსები“, ფოლკნერის „დათვი“, ძმები გრიმების ზღაპრების კრებული „თორმეტი ძმა“, ა. ტოლსტოის „ოქროს გასაღები, ანუ ლურჯი ნიღბის თავგადასავალი“, იანოვსკის რომანი „მხედრები“, კუპრინის „საოცარი ექიმი“, აქსაკოვის „აღმსიერი ყვავილი“, პუშკინის „რუსლან და ლუდმილა“ და სხვა. ამ ნამუშევრებით დეა ჯაბუა სწორედ იმ ტიპის მხატვრად მოგვევლინა, ასე რომ სჭირდება თანამედროვე ნიგნის ხელოვნებას, რომელიც ამკვიდრება და ამკვიდრებს საკუთარ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს, მიისწრაფვის გაფორმების ყველა კომპონენტის ერთიანობისაკენ.

ნიგნი მთლიანი და რთული ორგანიზმია, რომელიც იქმნება მისი შემადგენელი ელემენტების აზრობრივი და ფუნქციონალური კავშირით. სირთულით მას არქიტექტურულ ნაგებობასაც კი ადარებენ. მისი ფასადი — ყდაა, იგი ლამაზია და, ამასთანავე, ბევრის თქმაც შეუძლია „შენობის“ ხასიათსა და დანიშნულებაზე. ნიგნის გადაშლისას ჩვენ თითქოს კარს ვაღებთ და შევდივართ ამ „შენობაში“, ვმოდრობთ მის დარბაზებში, დერეფნებსა და კიბეებზე, ვემორჩილებით მათ რიტმს, მათ გააზრებულ სტრუქტურას, ზოგჯერ წამით ვჩერდებით და ვტკბებით დარბაზთა მორთულობით... ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნიგნი ის კი არ არის, რომელშიც მხატვარი მხოლოდ თავისი ნამუშევრების გამოფენას „მოაწყობს“. ნამდვილად მაღალმხატვრულ ნიგნს მხატვარი ასოთამაწყობებთან, მხატვარ-პოლიგრაფისტებთან, ამკინძველებთან შემოქმედებით კავშირში უნდა ქმნიდეს — ნიგნის ხელოვნებისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულებით მოჰკიდა დეა ჯაბუამ ხელი გრაფიკის ამ რთულსა და საინტერესო დარგს და ყოველ მის მიერ გაფორმებულ გამოცემას ასეთი დამოკიდებულების კვალი ამჩნევია.

პირველი, რაც დეა ჯაბუას ნამუშევრების ნახვისას გვხვდება თვალში, ეს არის



„ათას ერთი ლამე“. თავსართი
სარკმელი
ბუ

პროფესიონალიზმი, სხვადასხვა გრაფიკული მასალის ოსტატური ფლობა, მაღალი გემოვნება და სახვითი კულტურა. როგორც ნიგნის გაფორმებაში, ისე მის დაზგურ ფურცლებში ყოველთვის იგრძნობა ფართო ერუდიციის შემოქმედი.

უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეთიკურ და ესთეტიკურ ატმოსფეროს, რომელშიც დეა ჯაბუა ყალიბდებოდა როგორც პიროვნება და შემოქმედი. დაოსტატების გზაზე მას რამდენიმე პედაგოგი ჰყავდა. ერთ-ერთი, უპირველეს ყოვლისა, დეა იყო, ცნობილი ფერმწერი ნელი ჩიქოვანი. სახლში გამეფებულმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ, დედის მეგობართან წრემ ღრმა კვალი დატოვა მომავალი მხატვრის ცნობიერებაში და განაპირობა კიდევ პროფესიის არჩევანი.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებში დეა ჯაბუასათვის მეტად ძვირფასი იყო ის გაკვეთილები, რომლებიც ახალგაზრდა მხატვარმა შესანიშნავი გრაფიკოსისა და ადამიანისაგან — ლადო გრიგოლისაგან მიიღო.

ლადო გრიგოლია ღრმად და ფაქიზად გრძნობდა ნიგნის, მისი თითოეული ასოს ტექტონიკას და ცდილობდა ეს გრძნობა თავისი მოწაფეებისათვის ჩაენერგა. ლ. გრიგოლის კლასში გატარებული წლები დიდი სკოლა იყო მომავალი ნიგნის გრაფიკოსისათვის.

ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს



(1966 წელს) დეა ჯაბუამ მონაწილეობა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საიუბილეო გამოცემის მხატვრულ გაფორმებაში (გაგო ოჩიაურის ხელმძღვანელობით). მას ეკუთვნის ამ გამოცემის ყდა, ფორზაცი, კონტრტიტული და საზედაო ასოები.

დეა ჯაბუას პირველი სერიოზული ნამუშევარია „ათას ერთი ღამის“ რვატომეულის მხატვრული გაფორმება, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დაკვეთით შეასრულა 1968 წელს და რომელიც, ფაქტიურად, მის სადიპლომო ნამუშაოს ნარმოადგენს. უკვე ამ ნამუშევარში გამოჩნდა ახალგაზრდა მხატვრის მიდრეკილება ლიტერატურული ნაწარმოების არა დანერვილებითი სიუჟეტური ილუსტრირებისაკენ, არამედ გაფორმების ორნამენტულ-თხრობითი სისტემის შექმნისაკენ. მხატვარი ცდილობს ძალზე კონცენტრირებულ შინაარსით გააფეროს წიგნის მორთულობის ცალკეული ელემენტები. „ათას ერთი ღამის“ მორთულობას შეადგენს ფერადი ყდა (ყოველ ახალ ტომში ფერი იცვლება). მასზე ოქროსფრადა ამოტვიფრული ნაწარმოების მთავარი გმირის — შაჰრზადის ფიგურა, რომელსაც ცალი ხელი მთვარისათვის აუფარებია, თითქოს გზას უღობავსო იმ ღამეს, რომელმაც მისი აღსასრული უნდა მოახლოვოს. შაჰრზადის, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გამოსახულებები, ერთ კომპაქტურ კომპოზიციაში გაერთიანებულნი, ქმნიან ერთ-

გვარ დეკორატიულ ჩარჩოს, რომელიც სამ სტრიქონად ნაწარმოების სათაურით ჩანერილი. ამგვარად, ყდაზე გამოსახული კომპოზიცია, დეკორატიულ-გამაფორმებელ ფუნქციასთან ერთად, გარკვეული აზრობრივი ფუნქციის მატარებელიცაა: იგი თითქოს ამზადებს მკითხველს იმ საოცარი ამბების მოსასმენად, რომელსაც შაჰრზადი, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, შაჰრიარს მოუყვება. დეკორატიული ხასიათისაა „ათას ერთი ღამის“ ფორზაცი (შავ ფონზე მიმოხრეული ოქროსფერი ვარსკვლავები და მთვარე), რომელსაც მკითხველი ერთგვარ ფონადაც აღიქვამს, ჯადოსნური ზღაპრები რომ ამოიხრდება.

„ათას ერთი ღამის“ თითოეულ ამბავს ერთვის თავსართი (შავ-თეთრი ლინოგრაფიურა), რომელშიც მხატვარი ლაკონურად ასახავს რომელიმე ძირითად მოვლენას სიუჟეტის განვითარებაში.

ამ ნაწარმოების მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობისა და ჯაბუასათვის ამოსავალს აღმოსავლური მინიატურა წარმოადგენდა, მაგრამ მხატვარი სამუზეუმო სტილიზაციის გზას კი არ დაადა, არამედ შემოქმედებითად მიუდგა წარსულის ტრადიციას, შეეცადა შეენარჩუნებინა მუსლიმანური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პირობითი პლასტიკის ელემენტები სივრცისადმი დამოკიდებულება, და, რაც მთავარია, კომპოზიციის ხალიჩისებური ორნამენტულობა, რასაც ცალკეული შტრი-

ა. ტოლსტოის „ბურატინოს თავადანავალი“. ილუსტრაცია.
 „მოლა ბაპული და ფრანკიტანის ელნი“. ილუსტრაცია





პ. ტრავერსის „მერი პოპინსი“. გარეკანი
შექაპირის „სონეტები“
შექაპირის „სონეტები“. ვაშლილი გვერ-
დები



ხების თუ ლექების ურთიერთგანლაგებით
აღწევს. ფრონტისპისებში კომპოზიციების
დეკორატიულობას ეხმარება ფერი.

„ათას ერთი ღამის“ თავსართებში დეა
ჯაბუა, როგორც თანამედროვე გრაფიკულ-
ხელოვნების კატეგორიებით მოაზროვნე
მხატვარი, შემოქმედებითად იყენებს შვე-
თეთრი ლინოგრაფიურის სპეციფიკურ თა-
ვისებურებებს, მის გამომსახველობით შე-
საძლებლობებს, დასახულ სტილისტურ-
ტექნოლოგიურ ამოცანებს უმოჩინებს
მათ.

„ათას ერთი ღამის“ თავსართები, ყდას-
თან, ფორზატთან, ფრონტისპისთან და ტი-
ტულთან ფუნქციონალურ და აზრობრივ
კავშირში, ქმნიან სტილურად ერთიან გრა-
ფიკულ ანსამბლს, რომლის ყოველი ელემ-
ენტი ლიტერატურული ტექსტის პლასტი-
კურ ნაკითხვას ემთხვევა.

დეა ჯაბუას, როგორც წიგნის მხატვრის,
შემდგომი ზრდისა და დახელოვნებისთვის
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის
პოლიგრაფიული ინსტიტუტის ასპირანტუ-
რაში სწავლის წლებს. აქ იგი ცნობილი
საბჭოთა გრაფიკოსისა და წიგნის მხატვ-
რის ა. გონჩაროვის ხელმძღვანელობით
ბეწდა თავის ოსტატობას.

ა. გონჩაროვი თავის შემოქმედებით და
პედაგოგიურ მოღვაწეობაში თანმიმდევ-
რულად იცავდა და ამკვირებდა თავიანი
მასწავლებლის, გამოჩენილი გრაფიკოსისა
და წიგნის გაფორმების ხელოვნებაში
ახალი გზების გამკვალავის — ვ. ფაფორს-
კის დებულებებს წიგნის ერთიანი მხატვ-
რული სახის შესახებ. ამ უაღრესად განა-
თლებულ ადამიანთან ურთიერთობამ ბევ-



რი რამ მოუტანა ახალგაზრდა მხატვარს. ფავორკის სკოლის თეორიული სისტემა დაუდო მან საფუძვლად თავის შემდგომ შემოქმედებით ძიებებს ნიგნის გაფორმების დარგში, შეეცადა ამ სისტემის შემოქმედებითად ათვისებას.

მაკეტის ფორმატსა და გამომსახველობითი საშუალებებს ახალგაზრდა გრაფიკოსი ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული თავისებურებიდან გამომდინარე ირჩევს, ამასთანავე ითვალისწინებს თვით გამოცემის ტიპს და მკითხველთა წრეს. ამის შესაბამისად, ნიგნის მხატვრული გაფორმების სისტემა და ჯაბუასთან ხან განვითარებულია (თითქმის ყველა ელემენტზე შეიცვალა), ხან მხოლოდ თავსართ-ბოლოსართებით იფარგლება, ხანაც სიმძიმის ცენტრი ყდის ან სუპერის სახვით მხარზე გადააქვს, ხან კიდევ ამ ელემენტების მხოლოდ დეკორატიული დამუშავებით ემყოფილდება.

ბევრს და წარმატებით მუშაობს და საბავშვო ნიგნის სფეროში. მხატვრის მიერ გაფორმებულ გამოცემათა უმრავლესობა სწორედ გამოცემილია „ნაკადულზე“ მოდის. ამ გამოცემათა შორის გამოყოფილი ტრავერსის „მერი პოპინსის“, სპარსული ზღაპრების კრებულს „მოლა ბაპულელი და ფრანგისტანის ელჩი“ (1973), ძმები გრიმების ზღაპრების კრებულს „თორმეტი ძმა“ (1974). ამ ნამუშევრებში და ჯაბუა განვითარებს „ათას ერთ ღამეში“ მიღებულ მხატვრულ პრინციპებს, კერძოდ, უპირატესობას ანიჭებს ორნამენტულ-თხრობითი ილუსტრირების სისტემას, ამასთანავე ამ სისტემის ფარგლებში ყოველი ნაწარმოებისათვის პოულობს მისი შინაარსისა და მხატვრული თავისებურებების შესატყვის გრაფიკულ გახადებას.

„მერი პოპინსის“ ყდის გაფორმებისას მხატვარმა ზედმიწევნითი ერთგულება გამოიჩინა ტექსტის მიმართ და თვით ნაწარმოებმა უკარნახა შესანიშნავი პირობით-დეკორატიული გადაწყვეტა. სათაურისათვის გამოყენებულია ნიგნის ერთ-ერთ თავში აღწერილი უზარმაზარი წითელი ბუშტი, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია „მერი პოპინსი“. აქვეა გამოსახული ნიგნის მთავარი გმირების — ჯადოსნური გაღია მერი პოპინსისა და მისი პატარა აღსაზრდელების „გჯოფუფი პორტრეტი“. ამ ნაწარმოების გაფორმებისას, პირველი გვერდებიდანვე მხატვარი ცდილობს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს პატარა მკითხველებს, ამასთანავე იმ პირობითობის ფარგლებში, რომელსაც ძალზე რეალური, მაგრამ ამასთანავე დაუჯერებლო-

ბამდე უცნაური მოვლენებით შეზავებული ამბავი კარნახობს.

ტიტული და კონტრტიტული ამ ნაწარმოებში გააზრებულია როგორც ერთიანი სივრცე. ნახატი თავისუფლად ნაწილდება გაშლილ გვერდებზე, მას სულაც არ ზღუდავს გვერდებს შორის არსებული ზღვარი — აქ გამოხატულია მერი პოპინსისა და ბავშვების უცნაური სეირნობა საპაერო ბუშტებით. კომპოზიციის ძირითად ნაწილს (მოსწრენი) მხატვარი კონტრტიტულზე განალაგებს. ეს ეპიზოდი მართლაც რომ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა კონტრტიტულისათვის, რომლის კომპოზიციამაც, მხატვრის ჩანაფიქრით, მოთხრობის პერსონაჟები უნდა გააცნოს მკითხველებს (ტექსტის მიხედვით, ყოველ ბუშტსაც ხომ მისი პატრონის სახელი აწერია). კომპოზიციის მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივა მიმართული, ნახატი (ამ შემთხვევაში ბუშტი, რომელიც მერი პოპინსს უჭირავს ხელში) კვეთს კონტრტიტულის ზღვარს და ტიტულზე გადადის. ამგვარად, ტიტულზე სათაური იმავე ფორმით მეორდება, როგორც თავი ყდაზეა წარმოდგენილი, ოღონდ ამ შემთხვევაში უკვე შეაფიქრებელი ვარიანტით. ამგვარი კომპოზიციური განლაგება ერთგვარად მიმართულებას აძლევს ნიგნის მოძრაობას, თანდათან შეყავს მკითხველი ნაწარმოების სამყაროში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი შუცტიტული და თავსართები (ტუში, კალამი, ფხვავი), რომელთა შესრულების ნატივს კალიგრაფიულობამდე მისული ტექნიკა, მსუბუქი, გამჭვირვალე ნახატი, შავ სილუეტებთან კავშირში ქმნის თითოეული ფურცლის დეკორატიულ გამომსახველობას. ყურადღებას იქცევს პერსონაჟთა რამდენიმე მეტყველი შტრიხით, მეტყველი დეტალითა თუ სახსიათო პოზით დახასიათების უნარი.

„მერი პოპინსთან“ ქრონოლოგიურად ახლოს დგას სპარსული ზღაპრების კრებული „მოლა ბაპულელი და ფრანგისტანის ელჩი“ და ძმები გრიმების ზღაპრები, რომელთა მხატვრული გაფორმების სისტემაში ადვილად შეიკნობთ დეკორატიული ხელწერას „მაგრამ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, გამომსახველობითი ხერხების ძიებისას მხატვარი იმ ხალხთა მხატვრული ტრადიციებიდან გამომდინარეობდა, რომელთა ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც ნაწარმოებები შეადგენენ. ამაზე მეტყველებს სათაურების შრიფტი, ილუსტრაციების ხასიათი, ატრიბუტიები.

პატარა მკითხველებისათვის შესრულებულ ნამუშევრებს შორის განსაკუთრე-

ბული აღნიშვნის ღირსია ა. ტოლსტოის „ოქროს გასაღები, ანუ ბურატინოს თავ-გადასავალი“ გაფორმება. სამწუნხაროდ, ნიგინ უნაკლო როლია ბუქდვისა და ქალბაღის ხარისხის თვალსაზრისით (ამ მხრივ ზემოთ დასახელებული წიგნებაც სცოდავენ).

უკვე წიგნის ყდის მხატვრული გაფორმება (ფერად კუბოკრულ ფონზე გამოსახული ოქროსფერი გასაღები) თავიდანვე შპირდება მკითხველს, რომ მის წინაშე რაღაც ზღაპრული თეატრალური სანახაობა გაიმართება. მხატვარმა სხვადასხვა ფორმატის დიდი თუ მცირე ნახატები უხვად გაფანტა ტექსტში. ეს ილუსტრაციები მნიშვნელოვან სიუჟეტურ მომენტებსაც ასახავენ და უმნიშვნელო მოვლენებსაც, წარმოგიდგენენ მოქმედი პერსონაჟების პორტრეტებს და მეორეხარისხისად დეტალებს.

კალმით შესრულებული მყარი ნახატი, ზოგჯერ კი სილუეტი, შეფერადებულია ფერადი ფანქრით. ფერს აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გარკვეული ფუნქციური დანიშნულება აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიგრაფიული წარმოების სამწუხარო გულგრილობისა და დაუდევრობის გამო ცისფერთიან მალენის ნახატზე ყვიცილი თმა აქვს, ხოლო სარკმელში, სადაც სიუჟეტის განვითარების თანახმად შეუი უნდა ენთოს, ბნელა...

მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას დეა ჯაბუამ ხელი მოჰკიდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საკითხების თეორიულ შესწავლას. ამ თემაზე მუშაობის, ძველ ხელნაწერთა მინიატურებისა თუ კაზმულობის დაწვრილებითი შესწავლის და, საერთოდ, თანამედროვე წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე, მის არქიტექტონიკაზე სერიოზული ფიქრისა და საკითხთა თეორიული გააზრების შედეგი იყო სწორედ შექსპირის „სონეტების“ გაფორმება, ასეთი წარმატება რომ მოუტანა მხატვარს.

ამ სამუშაოს წინ უძღოდა დაძაბული ძიება და ფიქრი გაფორმების შესაძლებელ ვარიანტებზე. მხატვარი ეძებდა ისეთ გადაწყვეტას, რომელიც მხატვრული ტაქტით, უპრეტენზიოდ გადმოსცემდა ინგლისური ალორძინების ეპოქის, შექსპირის პოეზიის სულს და, რაც მთავარია, მისაღები იქნებოდა ინგლისელი მკითხველისათვის. შექსპირის პოეტურ ქმნილებათა შესატყვისი პლასტიკური გადაწყვეტის ძიებისას მხატვარმა შეისწავლა სონეტების დღემდე არსებული ყველა გამოცემა. ბოლოს არჩევანი შეჩერდა XIX საუკუნის სახელო-

ვანი ინგლისელი მხატვრის, გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების შესანიშნავი ოსტატის — უილიამ მორისის მიერ შექმნილი ორნამენტის ტიპზე, რომელსაც ვახის, ხვიარა მცენარეთა ღეროებისა და აკანთის ფოთლიანი დეკორატიული წნუ-ლი ედო საფუძველად. ეს ორნამენტი ამჟომბდა ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ მორისისეულ გამოცემას.

ქართული ხელნაწერი წიგნისათვის დამახასიათებელი მცენარეული ბორცვირისა და მორისის ორნამენტის საფუძველზე მხატვარმა შექმნა სონეტების თავისუფალი ორნამენტული არშია, რომელიც აკომპანემენტად გასდევს მთელ წიგნს და რომელიც, მის სხვა კონსტრუქციულ ელემენტებთან ერთად (მუქი წითელი სუვერი შექსპირის შავ-თეთრი პორტრეტით, ტიტული და კონტრტიტული), ქმნის ერთიან მხატვრულ ორგანიზმს. გრაფიკოსის ჩანაფიქრით ეს უნდა ყოფილიყო წიგნი, რომელსაც ვერ ნაკითხავ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. მის საკითხავად საჭიროა განსაკუთრებული პირობები, რათა კაცს ჰქონდეს საკუთარ თავში ჩაღრმავების საშუალება.

შექსპირის „სონეტების“ ამ გამოცემის წიგნის ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად აღიარება, თვით ილუსტრატორის საინტერესო მიგნებებთან ერთად, განაპირობა მისი პოლიგრაფიული ხორცშესხმის მაღალმა დონემ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ტექნიკა კი არ კარნახობს წიგნის მხატვრულ სახეს, არამედ ზუსტად და პოლიგრაფიული პროცესის საჭირო თანმიმდევრობით სრულდება მხატვრის ჩანაფიქრი, მიღწეულია ილუსტრაციისა და მისი პოლიგრაფიული ხორცშესხმის ორგანული ერთიანობა.

დეა ჯაბუა ნამდვილი წიგნის მხატვარია, რომელიც აზროვნებს წიგნის კატეგორიებით. მის მიერ ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის შესრულებული გრაფიკული ფურცლების ნახვა ყოველთვის სასიამოვნო და საინტერესოა საგამოყენო დარბაზების კედლებზე, მაგრამ ჭეშმარიტ აზრს ისინი მაშინ იძენენ, როდესაც ხვდებიან წიგნის სივრცეში, სადაც ყოველი გვერდი გზიბლავს სიუჟეტური და პლასტიკური გამომსახველობით. ამის საუკეთესო დადასტურებაა მხატვრის მიერ გაფორმებული წიგნები.

ირაკლი გამრეკელი

გზის დასაწყისი

ცისანა კუხიანიძე

დღეს, როდესაც ირ. გამრეკელი აღიარებულია ქართული საბჭოთა თეატრალური მხატვრობის ფუძემდებლად და ზრფორმატორად, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. ძალზე ახალგაზრდამ მიადწია პროფესიონალობის და მერე კი საქვეყნო აღიარებას.

ირ. გამრეკელმა მოსკოვი პირველად იხილა 1927 წელს, რეჟისორ დ. ანთაძესთან ერთად, როდესაც უკვე შექმნილი ჰქონდა: „სალომეა“, „ლონდა“, „მალსტრეში“, „შვიგელმენში“, „ჰამლეტი“ და სხვ. მისმა დეკორაციებმა მსოფლიოს მრავალი თეატრის დიდი სპეციალისტი მოხიბლა. ვერა მოური რობერტის „თეატრის ისტორიაში“, მსოფლიოს გამოჩენილ სცენოგრაფთა გვერდით, საპატიო ადგილი უჭირავს ირ. გამრეკელს.

როგორც ცნობილია, ირ. გამრეკელის პირველი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვება კოტე მარჯანიშვილის სახელს უკავშირდება, მაგრამ მარჯანიშვილთან შეხვედრას წინ უსწრებდა მხატვრის უაღრესად დაძაბული, რთული და წინააღმდეგობრივი ძიებები, პერიოდი, რომელიც ირ. გამრეკელის დაზღვრულ შემოქმედებაში ეპოქის პოლიტიკულმა სირთულემ და მხატვრული ცხოვრების მრავალფეროვნებამ განსაზღვრა.

როგორც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს. ირ. გამრეკელი პირველ ვაჟთა გიმნაზისთან არსებულ სამხატვრო წრეში დადიოდა, სადაც პროფესორი სოლოვიოვი ასწავლიდა. იგი ამ წრის მეცადინეობებს ესწრებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლის დროსაც.

ირ. გამრეკელის პირველი სერიოზული განაცხადი ხელოვნებაში უნდა ეივარდულით 1919 წლიდან, როდესაც მისი ნამუშევრები გამოფენებზე გამოჩნდა. ამჟამად ეს ნაწარმოებები ძირითადად თავმოყრილია ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმში, თუმც მცირერიცხოვანია, მაგრამ ზედმიწევნით საინტერესო. მათში უკვე ვხვდებით სემინარიის წლებში შესრულებული ნამუშევრებისაგან რადიკალურად განსხვავებულ მხატვრულ მიდგომას. პირველ ყოვლისა, საყურადღებოა იმით, რომ მხატვრული გზების ძიების შეტყვევლ სურათს წარმოგივლდნენ. გარდა ამისა, მათში ათიანი-ოცინი წლების საქართველოში სხვადასხვა მიმდინარეობათა გამოძახილიცაა.

ოცინი წლების საქართველოს შემოქმედებითა ცხოვრებამ რთული და საინტერესო სახე მიიღო, რაც გამოვლინდა მის წინააღმდეგობრივ ხასიათში. იდეურ თვალსაზრისითა ბრძოლამ განაპირობა საპირისპირო მიმდინარეობათა წარმოშობა, მხატვრულ მრწამსთა შეჯახება, რაც მკაფიოდ აისახა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ცვალი დატოვეს, ერთი მხრივ, „ცისფერყანწველებმა“ და „აკადემისტებმა“, ხოლო, მეორე მხრივ, მემარცხენე „ფუტურისტებმა“ და „პროლეტკულტელთა“ შემოქმედებითმა ჯგუფებმა. ეს ჯგუფები, ოცინი წლების დასასრულის სახვით ხელოვნებაში „რემესად“ ჩამოყალიბდა, ხოლო უფრო გვიან „სარმად“. თუ ქართულ ლიტერატურაში ადრე გაჩნდა დაჯგუფებანი, სახვით ხელოვნებაში არ იყო ასეთი მკვეთრი გამოყვანა, თუმცა ქართველ მხატვართა საზოგადოება, რომელიც 1916 წლის მაისში შეიქმნა, ძალიან ჭრული იყო თავისი შემადგენლობით. საზოგადოებაში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა მხატვრული თვალსაზრისის მხატვრები: ლ. გუ-

იბეჭდება შემოკლებით.



დაიშვილა და მ. თოიძე, დ. კაჯაბაძე და დ. გველდინი, მ. გოლირიძე და ქ. მაღალაშვილი, ე. ახვლედიანი და სხვები. გარკვეულ მხატვრულ ჰორიზონზე მდგომი მხატვრები მიეკვლინა იყვნენ შესაბამის ლიტერატურულ ჯგუფებთან და მათა დროის ქვეშ იბრძოდნენ.

ი. გამრეკელი 1924 წლამდე არც ერთ მხატვრულ ჯგუფს არ ეკუთვნოდა. 1919-1924 წლებში მის მიერ შესრულებულ ნაწარმოებში ვხვდებით ექსპრესიონისტულ კუბისტურ და კუმბო-ფუტურისტულ ხასიათის ნამუშევრებს. ზოგი მათგანი დათარიღებულია ავტორის მიერ, უმრავლესობას კი თარიღი არ ახს. ამ ხანის ნამუშევართა პერიოდისაკია მხატვრობითი ეყრდნობა ირ. გამრეკელის თანამედროვე ჯგუფების, მწერლების, მეგობრებისა და მეუღლის ელ. გამრეკელის მოგონებებს. ვინაიდან ეს ორმანდათამდე ნამუშევარი შეიძლება წლის განმავლობაშია შესრულებული, ისინი მხატვრული თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია, რთულდება იმის გარკვევა, თუ რომელ მიმდინარეობას უფრო ადვილ შეეფიცა მხატვარი და რა სტილით. ჩვენ შევეცადეთ ნაწარმოებები დავეჯგუფოთ იმ მიმდინარეობათა მიხედვით. ერთი რამ ცხადია. გარკვეულ პერიოდში მხატვარი თავისი სულიერი განცდების გამოსახატავად საუკეთესო გზად მიიჩნია აღნიშნულ მიმდინარეობათა მხატვრული პრინციპები. ამას ხელი შეუწყო ირ. გამრეკელის შემოქმედებითა მიღრეკილებამ დეკორატიულობისაკენ და კონკრეტული შინაარსის მატარებელი ფორმების განხორციელებისაკენ.

ირ. გამრეკელის მოქალაქეობრივ-შემოქმედებითი სულისკვეთება უკვე შემზადებული იყო 1918-20 წლები-სათვის. თავისი ქვეყნის გალერკვეული მდგომარეობით გამოწვეული სევდიანი განწყობა და არსებული წინააღმდეგ პროტესტი სემინარის წლებიდანვე მოპყვებით და მხატვრის სულს, რაც მაშინვე გამოვიჩინა, როგორც კი შემოქმედებითი თავისუფლება მოიპოვა.

სულიერი მდღეობა და მფოთება მის ნაწარმოებებში „სალომეა“, „აბელი და კენი“, „უიწმინდობა“, „გოდება“, „სამი ფიგურა“. „ქალი ფორთოხლებით“, „ორბული“, „შხის ჩასვლა“ და სხვ (ზოგიერთი სურათის სახელწოდება პირობითია, შერჩეულია მხატვრის მეუღლის ელენე გამრეკელისა და მეგობრების, ერ. ვანძიძისა და შ. ალახაშვილის მიერ). ისინი შესრულებულია ახალაზარა მხატვრის მიერ, საკუთარი შემოქმედებით სახის ძიების პერიოდში, ამიტომ დასახლებულ ნაწარმოებთა შორის ვხვდებით მეტ-ნაკლებ მხატვრული დონის ნაწარმოებებს. წინდა ესთეტიკური ამოცანების ძიებას და ზოგჯერ შემოქმედებით ექსპერიმენტებსაც.

ნაწარმოებთა დიდი ნაწილი ძიდნება ადამიანს, რომელსაც უმეტესად არ განაჩნია ეროვნული და ეპოქალური ნიშნები, ნამუშევართა ერთი რიგი კი მისი თანამედროვე ქალაქის ევროპული ყიდის ადამიანებს გამოსახავს („კაფეში“, „ორკესტრი“, „ექვინანობა“ და სხვ). აქნად შეგვიძლია დავასკენათ, რომ ირ. გამრეკელის შემოქმედებაში ყოველთვის არ ვხვდებით ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ თვისებას — ადგილის, დროის, ისტორიულობისა და ეროვნულობის უტყულებლობას. ირ. გამრეკელი ექსპრესიონისტულ მხატვრულ ხერხს მისდევს, როცა გადმოგვეცემს არა კონკრე-

ტული ადამიანის, არამედ, ზოგადად, ადამიანის სულიერ განწყობას, გრძნობათა კიდეებს.

ამ ნაწარმოებთა ნახატი უმეტესად კონტრულთა, ხაზი ტხილი, ფორმები კუთხოვანი, ზოგჯერ გლვეცი. პერსონაჟებს ახასიათებთ სახეთა ფანტატიურ გროტესკულობა. დაგრძელებული, გაზვიადებული პროპორციები, დამწვებებული სხეულები; სევდიანი, კემშით ანთებული, ზოგჯერ სულის შემქველი ცარიელი თვალნი, ხოლო დახუტულ თვალთა უკან შევიგრძნობთ მათ შინაგან ძირწოლასა და ტყეივს. მაყურებლის წინაშე იშლება გამოთვალი მდგომარეობით წარმომართი მძიმე ატმოსფერო, რაც ექსპრესიონიზმისათვისა ნიშანდობლივი. ამ ჯგუფის ნახატებს აერთიანებთ ექსპრესიონისტული მხატვრული პრინციპებიდან გამომდინარე სტილისტური ნიშან-თვისებებიც: დინამიზმი, როგორც დრამატუზმის გაძლიერების ერთ-ერთი ხერხი. სიმრტყობობა, საგნის ფაქტურისა და ფერის პირობითობა, მათი დამორჩილება იდისსამდე, აგრეთვე ნატურალიზმის საპირისპიროდ საპვირა და ხაზობრივი ვერსტიკულის დარღვევა. მხატვარი შეგნებულად ანგრევს ფორმებს გრძნობათა სიმძიმის გამოქქებისათვის. ექსპრესიონისტები ხომ „სულის პრინციპად“ გამოდინარეობენ. გელოვნების ერთადერთი ქეშპარიტ გზად და ასახვის მავთვი ფორმად ისინი თვლიან ადამიანის სუბიექტურ წარმოდგენებსა და განცდებს. ამ თვისებებთან ერთად, ირ. გამრეკელის ნაწარმოებებში ვვხვდება რელიგიური თემაც, რაც კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ექსპრესიონიზმისა.

„კენი და აბელი“ ავტორის მიერ დათარიღებულია 1921 წლით (სურათის სახელწოდება შ. ალახაშვილის მოგონების მიხედვითაა აღდგენილი). ნაწარმოების რელიგიურ სიუჟეტს სხვა არაფერი მიანიშნებს. სურათის მიხედვით ანწლია გავიგოთ იზიარებს თუ არა ირ. გამრეკელი ძაბოლი ფილოსოფიური დრამის „კენის“ ავტორისეულ კონცეფციას, სადაც კენი პირველი ადამიანი, რომელიც იბრძვის ნონური მორჩილების წინააღმდეგ. შესაძლებელია რელიგიური თემა ნაწარმოებში გამოყვებულია მათა უშულდით გამოწვეული ტრაგედიის ზოგადი არსის გადმოსაცემად. კაცის კვლის შემზარავ სურათში ჩაქსოვილია სახრტი და მწიწლი მობრახობის მომხიბვლელობა. მითიურ ძმებს ტანისამოსი აცვივთ, მაგრამ არც შიშვლები არიან. შაეი კონტრით მოხაზული მათი ფიგურები ორი ძირითადი ფერთაა გადმოცემული: კენი შაეი, აბელი — ტერაკოტის ფერთა. ორივე ფიგურა სქემატურია, ფორმების მოდელირების გარეშე, მაგრამ დიდი არტისტუზიშითაა აღბეჭდილი მკველულობის დაძაბული მომენტი. გამზავებული ბძოლა გადმოცემულია ტხილ ხაზთა მამფრი დინამიკით და ფერთა კონტრასტების საშუალებით. ღია ყვითელ ფონზე იშვიათი მხატვრული სიტყადითაა გამოკვეთილი აბელის ძირს გაწოლილი და კენის ხანჯალშემართული ფიგურა, წითლად ანთებული თვალებით. მხატვარი კენის თვალებს არც ელნიშნავს, მათ ადგილზე მხოლოდ დწვეების სიწილესთან შეერთებული წითლი ლაქებია, ექნებ, დახშული გონების თვალის მისანწმუნება. წახნაგოვან ფორმათა მიუხედავად, ფიგურები გამოირჩევიან



ბლასტიკურობით, ხოლო მილიანად სურათი დიდ მხატვრულ ეფექტს ახდენს.

ამავე პერიოდის ნაწარმოებებს უნდა მივაკუთვნოთ „თემდობა“. უკიდურესი სასოწარკვეთი სოციალ-სურათი მტრისაო ქალის სასიათა ვადმოცემული. კონტრასტულ ფერთა ლაკონიზმში ადვილად იკითხება მკერდზე უსიოცნლოდ ჩამოყვანილი, ნერვიული კონვერსიით ამოთხოვნილი ხელის მტკვანი, რომელიც სურათის კომპოზიციურ და აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს. ვერ ვხედავთ მკლავებით დაფარულ ქალის სახეს, მაგრამ მისი სხეულის მოხაზულობა, ხელის მტკვანთან ერთად, ადამიანის სულიერი ძრწოლის ცხად სურათს გვაგრძნობინებს. ქალის ვანიცდებს ამდაგვრებს პათოლოგიურად გრძელი მკლავები, რომელთა პარალელური ხაზები, ხელის მტკვანებთან ერთად, ასეთვე გრძელ მწკნავ ფოთლების ფერაშებს იმერებებს და მათთან ერთობლივ რიტმულ კავშირს ქმნის. ქალის დაფარულ სახეში ნაველისხმევე უიმედობა ხელის მტკვანთა გამოსახული. ნაწილობრივ ბაგის მოხაზულობიდანაც ჩანს მძიმე ვანიცი კვალი.

დროის სკედიან განწყობას გამოხატავს აგრეთვე ნახატი „ქალი ფორობლობით“. მაკედონთან ზის ქალი. ჩვენ ვერ ვხედავთ სკამს, ვერ ვხედავთ ქალის მთლიან ტორსს, მაგრამ ქალის აპარპროპოციული მკლავებისა და მხრების რაკურსით სრული შობაბეჭდილება იქმნება, რომ ფიგურა ვერდნობა ოდნე წამოყრავებულ გრცხილ სკამს. მის ფართო თვალბეჭ მხატვარს თვითი სიბიბიბილე ჩაუხატავს. ჩვენს წინაშეა გამოფიქტული, გრძნობებისაგან დაცილილი სული, რომელიც მხატვარს აწუხებს და ამ წუხილს იგი მყურებელს უზიარებს. დრო, ეპოქა მინიშნებლია ქალის თმის ვარცხნილობითა და სიბიბიბით. ნაწარმოების მხატვრულ ეფექტს ქმნის დეკორატიული ელემენტების ლაკონიზმი, ფერთა კონტრასტული და მოცულობითი ფორმების სიბრტყობრივ ფორმებთან დაპირისპირება. თუ ქალის ფიგურა სიბრტყობრივით გამოირჩევა, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის სულიერ სინაირს, წვენსავე ფორობლობით ვადამოცემულია მოცულობითად. ასრობროვ-სახეებით გადაწყვეტის ამ ორ სავირისპირო ხეჩხს აერთიანებს ნახატის მსხვილი, სურათ კონტრასტი, ხაზთა მოქნილი რიტმი, რაც აცხოველებს სურათის დეკორატიულ მხარეს.

ორ. გამრეკელის აღინდელ ნამუშევართა შორის არის მყორული განწყობით შეფერილი ნაწარმოებებიც. ასეთია 1920 წელს შესრულებული „ორკესტრი“. თვით ფონზე გამოსახულია შავ ფრავებში გამოწყობილი დიარეობისა და ორკესტრის არტიტა დაბეწილი ფიგურები. მუსიკის ტაქტს აყოლილი მათი სხეულები მყურებელზე ემოციურად ზემოქმედებენ. აქრომატულ ფერთა კონტრასტი და ნახატის სისადევი, სქემატურ ფიგურათა გეომეტრიული, კუბოხეიანი ფორმები მუსიკალური ტაქტის სიზუსტესა და ბეგურათა სწინდებს ეხამება. მკერდ შობის ნაწარმოებია „ორკესტრი“ გამორჩევა ცოცხალი მუსიკალური ვანიცი. მიუხედავად იმისა, რომ ორკესტრის ზოგიერთი წევრი სხეულის ნაწილი ჩამოჭრილი აქვს, ხოლო ზოგიერთი უთავიდაც არის გამოსახული, არა მხოლოდ ჩარჩოს ვარეთ, არამედ სურათის ცენტრშიც, მხატვარი ორკესტრს შინაგანად და-


მაკერებელ მთლიანობაში წარმოავიდეგენს. კადრის ვარეთ ფიგურების ჩამოჭრა და ჩარჩოს ვარეთ სურათის „გადღვერა“ გრეკვეულ მხატვრულ მიზანს, ენახატურება. მხატვარი ოროდ ფიგურით წარმოავიდეგებს ორკესტრთან მთავალირიცივან ანსამბლს. თვით ქალადღე სამკუხუბედნად გაფანტულ შავ ლოკალურ ფერებს ფორმთა რიტმის მუშევრით მუსიკალური რიტმის სფეროში შევყვართ და სრულ შობაბეჭდილებას გვიქმნის მთავონებელ მუსიკოსთა რეალურ საყვაროზე.

ორ. გამრეკელის ექსპრესიონისტულ ნაწარმოებებში შეიძლება გამოვყოთ ერთი მკვერთად გამოვლილი მხატვრული მიდგომა. იური ხასიათბა დეკორატიული ელემენტების სიჭარბით, მეორე — სისადევით, სადაც ფუნჯის რადენინე მოხსნით მხატვარი მისთვის სასურველ ფორმებს აყალიბებს. ეს თვისება ზოგიერთ ნაწარმოებში მხატვარს ფიროსმანთან ახლოვებს. თუ ვავისხენებთ მხატვრის აზრსაც ფიროსმანის შესახებ ელ. ვასრეკელის მოვონებიდან, ადვილი მისახვედრი ექნება ორ. ვასრეკელის მხატვრულ ძიებებში ზოგიერთი მისწრაფება: „ირაკლი ხშირად ვაკვირვებულ, სიხარულით უეჭვრდა ფიროსმანის სურათებს და ამბობდა: „როგორი სისადევი აღწევს ასეთ ბრწყინვალე ეფექტს, ნამდვილად გვიხილვარია“.

ორ. გამრეკელის ნამუშევრების სიბრტყობრიობას და ექსპრესიულობას ძველი ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციებთან მივყავართ, თუმცა არსებობს მისი ნახატის მეორე, პირველისაგან სრულიად განსხვავებული წყაროც, ექსპრესიონისტების, კუბისტების და სურრეალისტების შემოქმედებითი პრინციპების გაზიარება რომ ეყარება. მათ ხომ სიბრტყობრივი ნახატის სიცხადე და გრძნობათა უშუალობა ოხიდავდათ პრიმიტიულ, ტომების ხელოვნებაში. კიდევ უფრო შორს წავიდნენ ფუტურისტები, რომლებიც დადაიზმს, როგორც თვითონ ამბობდნენ, „სხეულის ნაწილისათვის ატარებდნენ“. დადაისტებსა და ფუტურისტებს ხიბლავდათ ნახატის სიმარტივე და ბავშვური უშუალობა. ქართველი ფუტურისტები წერდნენ „დადამ აილი მრეცხის როლი, რომ თანამედროვე ფსიქია ვასწმინდოს ყველა სიმძიმისაგან, რომელიც აწევს ფსიქიკას რომანტიული საუკუნეებიდან... აქ არის ცდა ბავშვის ფსიქიკამდე დასვლის... ფსიქიკის გარდამტეხისათვის ესაქმობოთ დადას“.

ფუტურისმიმს ვავლენა ორ. გამრეკელთან უფრო მოვიანებით იჩენს თავს. მანამდე, როგორც აღინიშნეთ, იგი ექსპრესიონიზმის კავსს მიჰყვებოდა და ამ პერიოდში მრავალი სანინტერესო სურათიც შექმნა. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ნაწარმოები „წუხილი“, რომელიც გამოირჩევა ნახატის სისადევით და ფართო მონასმთა ვანიციონისტული ლაკონიზმით.

შერჩეული თემა აჭერადაც მხატვარს საშუალებას აძლევს გადმოსცეს ადამიანის სულის მრეცხვარება. სურათში დამსაბა თავისი სიღიბნით დომინირებს, მიუხედავად იმისა, რომ წინა პლანზე საკმაროდ დიდი მასშტაბითაა გამოსახული განმარტებულ ადამიანთა ორი შიშველი ფიგურა. ერთი მთავანი მიწაზე წევს სახით მყურებლისაგან. მისი გაშვებული სხეული თითქოს ვანგრძობა წუთისოველს. მეორე ადამიანის მოხრილი სხეული, წინ გადმოშლილი თმებით, ჩამავებულ



„69 ვარიაცია“

ვე 20-იანი წლების ქართული თეატრის ექსპრესიონისტულ მიდრეკილებებს.

საინტერესოა, რით მიიზიდა ექსპრესიონისტულ პოზიციებზე მდგომი ახალგაზრდა მხატვარი ო. უილიის „სალომეამ“, რომელიც დაწერილია სრულიად განსხვავებული მიდრეკილით, ესთეტიზმის მხატვრული პრინციპებით: ვფიქრობთ, პირველ რიგში ნაწარმოების იდეამ, რომელიც შესანიშნავად განმარტავს კ. მარკანიშვილმა: „...სალომეამ ვერ ხედავენ ვერც ახალ არქიტექტონიკას, ვერც იმ ღრმა ტრაგიკულ პროტესტს ადამიანის სულისა, რომელმაც მოისურვა ბედნიერება ქვეყანაზე, და არ მონდომა ცლა ზეცამდე“.

სალომეას სულიერი ტრაგედია ირ. გამრეკელმა თავის ნაწარმოებში უკიდურესობამდე აიყვანა. ქალის ვალაქარბეზულად დეფორმირებული სხეულის თითოეული ნაკვთი ენებიანად ცეკვავს. კიდურების საპირისპირო მუართულება ხაზს უსვამს ცეკვის ექსპრესიულობასა და ღინამიკას. მკაცრი პროტესტია გამოხატული სალომეას ანთებულ თვალებში, რომელიც მიმართულია ზეცისკენ, მთვარის წმინდა შუქისკენ. კლანდილი წითელი ხაზებია პორიზონტალურად კვეთს სურათს და ფერაქროთალ ზეცას გამოჰყოფს მცხუნვარე მიწისაგან. ამ ნაწარმოებში ირ. გამრეკელის პერსონაჟებისათვის დამახასიათებელი პასიური პროტესტი ერთგვარად იცვლება მებრძოლი ხასიათით, რაც, რა თქმა უნდა, ო. უილიის ნაწარმოებითაა განპირობებული. მაგრამ მხატვრის თანხმობაც არის ამავე დროს, რადგან მას შეეძლო უარი ეთქვა სალომეას მებრძოლ ბუნებაზე აღნიშნულ სურათში ისევე, როგორც უარი სთქვა ტრაგედიის მხატვრულ სტილზე, ესთეტიზმის პრინციპებზე. სალომეას პირისახის ყოველი ნაკვთი, განსაკუთრებით ბავისა და ნიკაპის მოხაზულობა, ქალის ამბოხებულ სულსა და ძლიერ ხასიათს გამოხატავს. აქ აღიარა სჩანს ის ჩუმე, პასიური სევდა, რომელსაც ენებადვით ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში.

ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმში, „სალომეას“ გარდა, დატოლია კიდევ სამი ნამუშევარი იმავე ტრაგიდიის მოტივებზე: „სალომეა იოქანანის თავით“, „სალომეა ლოცვის დროს“ და თეატრალური ესკიზი.

მიუხედავად იმისა, რომ ირ. გამრეკელის ილუსტრაციები ო. უილიის „სალომეასათვის“ გამოფენილი იყო თბილისში 1922 წელს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხატვარს ერთი მთავანი უფრო ადრეც ჰქონდა შესრულებული. როგორც მასხაიში ქს. აღენბა ისხენებს, გამოფენაზე კ. მარკანიშვილი მოხიბლულია ირ. გამრეკელის „აქეარელებით“ „სალომეასათვის“. შესაძლოა, ზეთის საღებავებით შესრულებული „მოცეკვავ სალომეა“ არც კი იყო მამინ გამოფენილი. ეს სურათი დაზგურ ფერწერაში მხატვრის ექსპრესიონისტული პერიოდის ბოლოს 1921 წლის დასასრულს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან ნაწარმოებში გადმოცემული განწყობის მიუხედავად, მასში გამაფრებელია ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ხერხი. იგი მხატვრის ერთგვარ სულიერ მზალყოფნას გვაშინებს იმ ახალი ვატანისათვის, რომელიც კუბო-ფუტურშიზმი წვრილებდა.

ეფექტობთ, „სალომეა იოქანანის თავით“ და „სალომეა ლოცვის დროს“ „მოცეკვავ სალომეას“ მომდევნო

მსხილტნიანი ხის მოხაზულობას იმეორებს, რომელსაც ქალის თმასავით გადმოწეწილი ყავისფერი მასით წითელი ცა დაუფარავს. ჩამავალი მზის სიწითლე აქა-იქ ეთვობს ბნელ გარემოში. „ნის ჩასვლაში“ მხატვარი თუმცა არ გვიჩვენებს მწუხარე ადამიანს, ზეენ მთელი სიუხალით ვგრძობთ ამ ნაღველს, პეიზაჟით რომ არის გა-მოხატული. სწორედ საღამოს მწუხარი და ბუნების მი-ნაგანი სევდა ამჟამურებს ადამიანის მოხრილ სხეულში გამოხატულ განწყობილებას.

ამ პერიოდის ნამუშევრებიდან განსაკუთრებულ ყუ-რადღებს იქცევენ ზეთის საღებავებით შესრულებული „სალომეა“, რომელიც ისაკარ უილიის ტრაგედიის „სა-ლომეას“ მიხედვითაა შექმნილი. იგი გამოირჩევა არა მხოლოდ ექსპრესიულობით, არამედ ერთგვარი ისტო-რიული მწრშენლობითაც. ცნობილია, 1922 წელს კოტე მარკანიშვილი ქართველ მხატვართა გამოფენაზე ისე მოიხიბლა ირ. გამრეკელის „სალომეათი“, რომ სასწრა-ფოდ მოძებნა სურათის ავტორი. მათი გაცნობის დღი-დანვე დაიწყო ის ერთობლივი შემოქმედებით შრომა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქართული საზ-ქოთა თეატრის, კერძოდ, რუსთაველის თეატრის ტრიუმ-ფალურ აღმასვლას. ეს ფაქტი გვაჯავლებს მეტი ყურად-ღება დაუთმოთ როგორც აღნიშნულ ნაწარმოებს, ასე-

ნამუშევრებია, რომელშიც უკვე შეინიშნება ფორმათა განმეორება დინამიკისა და რიტმის ვადლოგრების მიზნით, რაც ფუტურისტიზმის გავლენით აიხსნება. აღნიშნულ ილუსტრაციაში სალომეა დგას კერპის წინ. მლოცველ სალომეას მხურვალე ვერუბას შევიტყობთ თავდახრილი ქალის ნატივ პრითვილში, მის ბოზაში. სურათის ფონი დაფარულია წვრილი მონასტრისფერი თეთრი ზოლებით, რომლის ნიღმა ნაქრისფერ კერპთა სილუეტებში მოჩანს. ფორმათა რიტმული გამეორება კერპების სახით პირველად ამ სურათში გვხვდება. ეს ხერხი შემდგომ ვითარდება „აჩრდილთა სამყაროში“, რომელიც 1922 წელსაა შესრულებული. დეკორატიული და მცენარეული ელემენტების გადაჭარბებული ხასიათობა, კოლორისტული სიმდიდრე, რასაც ვხვდებით „სალომეაში ლოცვის დროს“, უკვე ნაცნობი ხერხია მხატვრის შემოქმედებაში („სამი დეფურა“). სალომეას შემოქმედებულ დეფორმირებულ სხეული ჰაეროვანაა და მინაგანი გზებით ანთია. ნახატის ექსპრესიული დეფორმაცია და მისტიკური გარემო ილუსტრაციას ექსპრესიონიზმის ტილოსტიკასთან აახლოებს. ნაწარმოებთა ამ გჯუფს ეკუთვნის „სალომეა იოქანანის თავით“, რომელიც გამოირჩევა ძლიერი ექსტაზით. სამხრეთულ მცენარეთა შორის დაჯიღულ ბროწეულთა წითელი წვეთები მოკვეთილი თავიდან გადმოდენილი სისხლს წვეთების რიტმს უერთდება. იოანეს ბავჯს დაწაფებული სალომეა ეთხოვება თავის სიყვარულს. მისი სპილენძისფერი, თხელი სხეულის პლასტიკურ მინახაზს აქაც იმეორებს ტანწვრილი ხე დაბლა დაშვებული დეკორატიული ფოთლებითა და ცრემლებით მოციმციმე ლერწმებით. ფარშევანჯის ბოლოსავით ჰრელი და ლამაზად გაშლილი სამოსი სალომეას წვრილი წელიდან მიწაზე ეშვება და თავისი მოხაზულობით სურათის ექსპრესიას ამძაფრებს. ქალის ცეცხლიან ნენბასა და ხასიათის სიმტიციეს მხატვარი სალომეას გიქულ დგომაში გადამოგვეცმს. მისი წაგრძელებული, ერთი შეხედვით სუსტრ სხეული ცრმწნობის ცეცხლს აფრქვევს და მასთან ერთად დეკორატიული ბალიც თითქმის გლოვისა და ნენბის წითელი ცრემლებით ციმციმებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხატვრის ადრინდელ ნამუშევართა შორის, ექსპრესიონისტული სურათების გვერდით, გვხვდება კუბისტური და ფუტურისტული ხასიათის ნაწარმოებები. ბევრი დაუთარიღებელია, მაგრამ სტილური ერთიანობა უფლებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ისინი კუბო-ფუტურისტულ ჯგუფს და შემოგვფარგლოთ ერთი ხანმოკლე, მაგრამ დაძაბული შემოქმედებითი ძიებებით სავსე პერიოდით (1922—1924 წლები). ირ. გამრეკელის დაზგურ შემოქმედებაში ხანმოკლეა როგორც ექსპრესიონიზმით გატაცება (1919—1921), ასევე კუბო-ფუტურისტული ძიებები, მაგრამ მათ შორის იგრძნობა გარკვეული ზღვარი, რაც უთუოდ შემოქმედებითი მრწამსის შეცვლასთან არის დაკავშირებული.

ირ. გამრეკელი კუბო-ფუტურისტიზმის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად ითვლება ქართულ ხელოვნებაში. მხატვრის დათარიღებული ნამუშევრებიდან ყველაზე ადრეულია 1922 წელს შესრულებული „მხატვარი მედიცინაში“, რომელშიც იგი უკვე ჩამოყალიბებული

კუბო-ფუტურისტი მხატვრის კონცეფციას ავლენს. სანიშნავია, რომ „მეზარტხენობა“, როგორც კუბისტურ-დეკადენტური ხელოვნების თავისებური გამოვლინება, გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა ჩვენში ჯერ კიდევ დ. კაკაბაძის საწარმოებლოში დაბრუნებამდე. ამ მხრივ, გარდა კ. ჯანაფიჩის ნამუშევრებისა, ყურადღებას იქცევენ ცნობილი თეატრალური მხატვრის ირ. გამრეკელის ადრინდელი ნამუშევრები და აგრეთვე კრიტიკული წერილები, რომლებიც ქართული ფუტურისტების ლიტერატურულ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული“.

ირაკლი გამრეკელს კუბისტურ ნაწარმოებებში მუდამ შენარჩუნებულია სინამდვილესთან საგნობრივი კავშირი. გარდა ამისა, მათში გვხვდება კიდევ ერთი დამახასიათებელი სახეობი ხერხი. სწორად კუბისტურ ნაწარმოებებში მხატვარი ჩაურთავს ხოლმე რეალისტურად დამუშავებულ საგნებს, ან რაიმე ელემენტს, ისე რომ სურათს უნარჩუნებს მხატვრულ მთლიანობას. ვ. კოტეტიშვილის აჩრეულ ნაწერებში“ ერთ-ერთი გამოვლენის შესახებ აღნიშნულია (წელი მითითებული არ არის): „...არც ის დარჩებოდა მნახველს შეუმჩნეველი, რომ „მეზარტხენობა“ მეტად მკორ მასშტაბით იყო წარმოდგენილი... მეზარტხენთა“ შორის ირ. გამრეკელი და მ. გოცირიძე ძველი ნაცნობები არიან. ირ. გამრეკელის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი „სტილი“ დაზრდულია. რეალისტური ავტოპორტრეტი და კუბის-

„აჩრდილთა სამყარო“





ტურად შესრულებული არსნა ერთმანეთს კონფლიქტში უღდავან. „მე და ცირკის“ ფერები კარგია. არის მათში ზავერდისებური ელვარება და სირბილე. „ლუეს“-ში არც ფერებია ახალი და ნახაზი სულ არ არის. ირ. გამრეკელი ნიჭიერი მხატვარია და უფრო მეტი სიფრთხილე მაიჩებს. „მემარტყენობის“ გზა მეტად ეიწროა და სახიფათოა“.

როგორც ჩანს, „რეალისტური ავტობიოგრაფია“ ე. კოტეხტოვლი „მე და ცირკის“ გულისხმობს, რადგან დღისათვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის ირ. გამრეკელის სხვა რეალისტური ავტობიოგრაფიები. „მე და ცირკის“ კუბისტურად გააზრებულ გარემოში ჩანატულია ავტორის რეალისტურად მოდელირებული სახე.

ნაწარმოებისთვის მოძებნილი მხატვრული ფორმა კარგად ხსნის რეალური სამყაროს მკაფიოდ გამოსახვის რთულ ამოცანას, რაც მოღწეულია სწორად რეალისტური და კუბისტური ხერხების დაპირისპირებით. აქ ადამიანის რთული და სათუთი ბუნება, მისი ფიზიკური ქსოვილის სინჯა, გლუვი ფორმები შეპირისპირებულია საციოკო ტექნიკის ხისტა და მკვეთრ ფორმებთან, მაგრამ სულერი სიმტკიცე, შინაგანი ძალა, რომელიც ავტორის შორსმჭვრეტელ თვალბეში კიაფობს, თითქოს თანამედროვე ტექნიკურ სახალხეთა ტოლბოლოვანია. სურათის სამი მეოთხედი უჭირავს გეომეტრიულ-აბსტრაქტულ სხეულებს, ურიოთრადამკვეთ პროექტირების სხივთა მოძრავ ნაკადებს, საციოკო კიბეებს, გზებს, რომელთა გადაკვეთის წერტილთა ნაწილი მხატვრის სახეზე იყრის თავს მარჯვენა ქვედა-კუთხეში. ეს შეტყვეული სახე წარმოგადგენს რკინისებრი ნებისყოფის ადამიანს, რომელსაც აქვს უნარი გონების თვალთვალმეტროს ტექნიკის ენოქა, შეფთვლის მას. სურათის ცენტრში, წითელი პერანგით, მწვანე გულისპარით და ლურჯი შარკით, გამოიღო ხელბეობა და ფეხებზე ჰაერში დასრიალებს ჯამბაზი. „მე და ცირკის“ ტექნიკური სიახლენი, ადამიანის ფიზიკური სისხარტე და ფანტაზია ერთმანეთს შერწყმია, მაგრამ ყველაზე მეტად მაყურებელს ხიბლავს აბსტრაქტულ და რეალურ საგანთა ერთობლობაში კონტრასტულ ფერთა ორგანობა, ფერადი მახვილების ორიგინალური კომბინაცია, ავტობიოგრაფიის მოთავსება სურათის ერთ კუთხეში საკუთარი პიროვნების გარემოსთან დაპირისპირების ერთგვარი ხერხითა მათ შორის სიახლოვისა და ჭიდილის გადმოსაცემად. აქ არის მხატვრის თვითმარტყევის მომენტისა და მის მიერ ობიექტური გარემოს შორიდან განჭურვების სანტრესუს გადაწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ მოელი საციოკო მექანიზმი და ჯამბაზის თოჯინისებრი ფიგურაც კი ავტორის სახეზე იყრის თავს და ერთმანეთშია გადახლართული, მინც მკვეთრია გარემოსა და მხატვრის დაპირისპირება, რასაც ავტორი აღწევს საკუთარი სულის წვდომის მომენტის გამოცალკევებით და რეალისტური ხერხების მოდერნისტულ, კუბისტურ ხერხებთან დაპირისპირებით.

„მე და ცირკის“ შესრულებულია 1923 წელს. იგი დაიბეჭდა ქართულ ფუტურისტულ ჟურნალ „H2SO4“-ში 1924 წ. (№ 1). აქვე დაიბეჭდა „მხატვარი მედიცინაში“, რომელიც მხატვრის პირველი ავტობიოგრაფიაა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1922 წელსაა შესრულებული.

ნაწარმოებში „მე და ცირკისაგან“ განსხვავებულია აზრობრივი და მხატვრული ამოცანება დასახველობა ირ. გამრეკელი გვევლინება დიდაქტივისის როლში. მხატვარს, როგორც მედიცინის წარმომადგენელსა და მოქალაქე აღვნიშნავს საზოგადოების ამორალური ცხოვრების მწარე შედეგები.

„მხატვარი მედიცინაში“ ცნობილია აგრეთვე მეორე სახელწოდებითაც: „ლუესი“; ჩვენთვის უცნობია რომელი სახელწოდება უფრო ადრეულისა, მაგრამ მეორე უფრო კონკრეტულ შინაარსს შეიცავს.

მხატვრის მუდმილი ელენე გამრეკელის მოვლინებით, ირ. გამრეკელი გატაცებული ყოფილა ქართული დერმატოლოგის ალ. ჯავრიშვილის ლექციებით და ერთხანს ფიქრობდა კიდევ მის კვლას გაყოლოდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ყოყმანი საბოლოოდ ხელგონების სასარგებლოდ გადაწყდა. სწორედ ამ წელს შესარულა ირ. გამრეკელმა „ლუესი“, რომელსაც მისი ახლობლები მიიჩნევენ მედიცინასთან მხატვრის დამშვიდობების გამოხატულებად. ნაწარმოების ხასიათი, მისი ორივე სახელწოდება და ახლობელთა მოკონება უღლებს გვაძლევს აღნიშნულ სურათში გავაერთიანოთ თემის შერჩევის ორი წყარო, ერთი მხრივ, ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია და მედიცინის წარმომადგენლის გულწრფელი შეშფოთება, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრის არახალბე გულწრფელი დამშვიდობება მედიცინასთან. გამოთხოვება ნაწარმოებში არ არის წარმოდგენილი კომპოზიციის, ან რომელიმე მხატვრული ხერხის საშუალებით. თვით ნაწარმოების მიძღვნა საზოგადოების თვისადმი წარმოადგენს მხატვრის ერთგვარ ხაზს, თუ გვხვდება, მობრუნებებსა საჭირო და სასაუხსიმგებლო პროფესიასთან განშორებისათვის.

სურათის ერთ მხარეს, შიშველი ქალის ფიგურასა, ხოლო მეორე მხარეს მამაკაცთა ერთიმეორეზე მიწყობილი შიშველ ფიგურათა რაკოსი ჩაწყობილია ავტორის პროფილი. კომპოზიციის ცენტრში უარის ნიშნად აღმართული ხელობა მხატვარი თითქოს პროტესტს უტყავდეს საზოგადოების მანიკერებასა და დაეაღესტას, რომელსაც ქალის ავადმყოფური ღიმილი და ღაღაჯა აღისფერი ლოყები გვაძენობს. შვე ფონზე გამოისახულია მხატვრის კუბისტური ავტობიოგრაფიები, ჩაცვნილი ყმებით, თვალის ბუდეები ჩაშავებულია. ასეთი ხერხით მხატვარი ჩამუქებული თვალის ბუდეებს მიღმა გახეხდებს და მის ირგვლივ ატობატულ საზოგადოებრივი მოკლენებს ჯერ კიდევ არსებულ მანიკერებზე დაგავიქრებს.

„ლუესი“-ში, თემის სირთულის მიუხედავად, მხატვარმა ორიგინალური გადაწყვეტით თავიდან აგვაცილა დიდაქტივის სიმრავლე.

საქიტავების დინჯი ფერადონება ხელს უწყობს ნაწარმოების საერთო განწყობის გადმოცემას. თბილი ყავისფერი და მწვანე ტონების სიმდიდრე თემის ხასიათს და პროტესტის სირთულეს ეხამება. აქა-იქ აღისფერ სავებავთა ფერადი მახვილები, აზრობრივი უწყნიკის გარდა, სურათს კოლორიტულად ამდიდრებს. იგი მოლოანდ კუბისტურად არის გადაწყვეტილი და გამოუხეხულია ფუტურისტისათვის დამახასიათებელი ფორმათა რიტმული გამეორება ან მხოლოდ დინამიკის გაძლიერების, არამედ აზრის ხაზგასასმელად. ფორმათა



სიმშრალის მიუხედავად, ირ. გამრეკელი ესთეტურ სიაზონებას გვანძუებს ფერისა და გეომეტრიული ფორმების ორიგინალური წყობით, ხაზების დინჯი დინჯით.

ყურნალში მხატვრის კიდევ შეიძენ ნაწარმოება მოთავსებული, რომლებიც გვაცნობს მის ფუტურისტულ პოზიციებს ხელოვნებაში, თუმცა ეს სურათები განსხვავდება ქართულ თანამოაზრე პოეტების „ზაფხური“ შემოქმედებისაგან. ამავე ყურნალში ქართული ფუტურისტები აღნიშნავენ: „...არსებებს შემოქმედება „ზაფხუ“, რომელიც არ ეძებს ახალ სიტყვებს, უმოთაგრესად ეყრდნობა მხატვრობას და ნიათვლის ვადალაგებას. პირველ შემთხვევაში იყო ხმის გრაფიკა, აქ არის სურათი გრაფიკით. შესაძლებელია კიდევ მესამე — „დაბრუნებული მოქმედება“ რიტმის. ჯამი გემოვნების ქმინი ადამიანისათვის ერთი და იგივეა. მე შევჩინებდი მეორე მაგალითზე. მხატვარ გამრეკელის სურათები „მე და ცირკი“, მე მოძრაობა მესმის და ეხებად ხმას. სივრცე გამაზნავს და მხატვარს შორის შემოკლებული, დაყვანილი ფორმების შენაერთამდე იგივეა, რაც „ზაფხუ“, რომელიც გრაფიკამდე მიდის“⁴³.

ირ. გამრეკელის მოდერნისტულ შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა კავშირი რეალურ სამყაროსთან, მასში არა მხოლოდ საგნათა გრაფიკული „ორკესტირება“, რომელსაც პოეტი ფუტურისტები აიგივებდნენ სიტყვების „ორკესტირებასთან“ ე. ი. ხმის გრაფიკასთან; არა მხოლოდ ფერებისა და ხაზების დინჯიკა და ჰარმონიული თანწყობილება, მისი ქმნილებები ყოველთვის შეიცავს მკაფიო აზრს, ადამიანურ განცდებსა და გრძობებს, ან მოძრაობის რომელიმე მომხიბვლელ მომენტს. ასეთია ირ. გამრეკელის „ექსტრაზა“. დაიქოლი ადამიანის ზეაღმართული ხელები სურათზე მოხაზული ჩარჩოს გარეთაა დასული, მხატვარს სურს ხაზი გაესვას მისი სულიერი ადტიკინების ძალასა და სიმაფრეს. ფუნჯის ორიოდ ფართო მონასმით ირ. გამრეკელი მხოლოდ მონიშნავს ფიგურას და უღრესად მარტივი ხერხით ქმნის ფოკიურ ნაწარმოებს.

მარტივი ხერხითაა შესრულებული „69 ვარაიაცა“, სადაც მხატვარი წარმოგვიდგენს ცეკვის მომენტს. თითის წვერებზე შემდგარი ქალის წარმომადგენელი ფიგურა პროფილშია გამოსახული. შეათმინე თავი უკან აქვს გადაწეული, პირისაქვს მკაფიო უფარავს. სხეულის პარალელურად რიტმულ ხაზთა კლებადი მწკრივი აძლიერებს სურათის დეკორატიულობას და ქალის ატყორცნილი ფიგურის სილამაზეს, ამავე დროს, კომპოზიციურად ასრულებს ნახატს.

სურათების ამავე გჯუფს მიეკუთვნება „ბაგრი კუკა“. უსახლვო სივრცეში ცენისა და მხედრის სწრაფვი მიზნანახაზობლობის, შემათების, ფოხიური სწრაფვის ზოგადი გამოხატვაა, ნაწარმოები, ამავე დროს, კონკრეტულიცაა. ბაგრი კუკი იყო ამერიკელი ზანჯი ჯამაზი, რომელიც იმ წლებში თბილისს ესტუმრა და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ცენისა და მხედრის რკინისებურ ძალას გეომეტრიული ფორმების სწრაზხოვნება განამტკიცებს, ხოლო სწრაფი ქოლვის შთაბეჭდილებას აძლიერებს სხეული ნაწილებად დაშლილი კიდურების წაგრძელება ქოლვის მიმართულეობით.

ყურნალში ყურადღებას აპყრობს აგრეთვე „პანაფიდე“, რომელშიც ტანმოვარჯიშე ადამიანს პლასტიკურ სხეულია გადმოცემული, მისი კუნთების ფოხიური მოწვენიერების ანალიტიკური აღწერით. შვილდღიით მორკალული სხეულის თითოეული ნაწილი დაშლილია გეომეტრიულ ნაკეთბად, რაც ერთ-ერთ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს, რათა მკვეთრად შევიგრძნოთ თითოეული კუნთის აღნაგობა, ფეთქვა და მოძრაობა. სხეული, რომელიც, ურთო შეხედვით, ნაწილებადაა დაშლილი, ორგანიზებულია ურთიერთგადამკვეთ ხაზთა სისტემით. ძალზე ვიწრო წელი და მკლავების პლასტიკურმა, დეკორატიულ რკლებთან ერთად, მოქნილი სხეულის სილამაზე შეგვავარძლებინებს.

ზემოთ განხილულ თითოეულ ნამუშევარში უღრესად სახიერად არის წარმოდგენილი გამოსახვის ფუტურისტული ხერხები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩანს მოძრაობის გადმოცემაში, აბსტრაქტულ ხაზთა და რეალურ ფორმათა კომბინაციასა და რიტმულობაში. მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა გამოიხატება კომპოზიციკათა ორიგინალობით და ხატვის მანერის თავისებურებით. იგი ფაქიზი გემოვნებით ახამებს ერთმანეთთან კონტურულ ნახატსა და ლოკალურ ფერთა მექ ლაქებს, სხეულის გეომეტრიული ფორმების ანალიტიკურად დაშლის ხერხებსა და ხაზობრივ რიტმს მოძრაობის შთაბეჭდილების გაზრდისათვის.

ყურნალ — „H₂SO₄“-ში დაბეჭდილი და ჩვენს მიერ განხილულ ნამუშევართა ერთი ნაწილი იხსება ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმში. „69 ვარაიაცა“ და „ექსტრაზა“ მწერალმა პ. ალხაზიშვილმა გამრეკელისეულ თავის პორტრეტთან ერთად საჩუქრად გადასცა სახლ-მუზეუმს.

შ. ალხაზიშვილის პორტრეტი გამოირჩევა მხატვრის უკუბო-ფუტურისტული პერიოდისათვის დამახასიათებელი თბილი კოლორისაგან განსხვავებული ფერებით. ირ. გამრეკელის ამ პერიოდის ხუთისა თუ წყლის საღებავებს პალეტრაში უნააგრესად თბილი ყავისფერი, წითელი, შავი, მწვანე, ცისფერი და ყვითელი ტონები ჰარბობს. შ. ალხაზიშვილის პორტრეტი კი ძირითადი ნაცრისფერია. შიგ ჩართულია მკვეთრი ყვითელი, მწვანე და მოწითალო ფერადი მხებუნები. პორტრეტი მრავალსართულიანი სახლები გაშენებული ევროპული ქალაქის პეიზაჟშია ჩახატული. მწერლის სახე ნაწილობრივ რეალისტურადაა მიდგომილი და, პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად, წარმოგვიდგენს მისი „ზაფხური“ გატაცებისათვის დამახასიათებელ პოზს. იგი თითქმის „უსმენს“ ქალაქის პეიზაჟში მიმოფანტულ მკვეთრ ფერებს, „სადაც მოძრაობა ემსობ და ხედვას ხმას“.

1923-24 წლებში ირ. გამრეკელის მხატვრული მსოფლმხედველობა და პოზიკა კარგად ჩანს იმავე ყურნალ „H₂SO₄“-ში მოთავსებულ მისსავე წერილში: „მოიღის ქალაქიდან უზარმაზარი სასახლები, ქუჩის შუხიერებელი მოძრაობა, თუქს ადამიანის დაქობილი მარღები. ყოველი წუთის მოულოდნელობა ნივის უკარგავს ძველ ფორმას და მისი გაგება ვანყენებულად სხვა ნივითაც წარმოუდგენელია.

იწყება დინამიულობა ახალი ნივისის ასავებად. ინგრევა ყვითობ, ფორმა ვადიდის ფორმაში, ერთი ფორმის ხაზი ამტყრებს მეორე ფორმის ხაზულობას, ხდე-



ბა ფერების შერევა და ჩნდება ნივთი ახალი ფორმით და ახალი ფერი.

თანამედროვე მხატვრობა ითხოვს ინენერას. ტექნიკა ანერვეს დროისა და სივრცის კანონებს. ნივთი, რომელიც ჰკარგავს შემთხვევით ფორმას (უკეთ ფორტოპიანო), გველენება ახალი გეგმებით და გარდელვალი შინაარსით. აქედან იწყება ნივთის ახალი შეგრძნობა.

თითქოს პარადოქსია, რომ ერთსა და იმავე დროს (1924 წელს), ირ. გამრეკელი ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართულებების ფუტურისტებისა და „დურუჯელთა“ ბანაკში აღმოჩნდა. ფუტურისტები ხელაღებით უარყოფდნენ თეატრსა და მის ძველ ტრადიციებს, იმ დროს, როდესაც დურუჯელები ძველ ტრადიციებს პატივს სცემდნენ და ითვალისწინებდნენ ახალი თეატრალური ფორმების ძიებისას. ქართველი ფუტურისტების ლიტერატურული ფრონტი გაიძახოდა: „ძველი თეატრი კვდება—რეცეპტი მოდის ციკოთ“.

ფეკრობით, თეატრის შეფასებაში ფუტურისტების არასწორი პოზიცია უსუსურად ეჩვენა მხატვარს იმ დიდურ შემოქმედებით მიხნებთან შედარებით, რომლის სენაკე „დურუჯი“ მისწრაფვოდა. სწორედ ამიტომაც ჩამოშორდა პირველ ბანაკს და შეეისისხობორცა, „ესხეულა“, როგორც თავად იტყოდა, „დურუჯს“.

ირ. გამრეკელის პოზიცია ნათლად ჩანს „დურუჯის“ მანიფესტთან დაკავშირებით, დურუჯელთა დეკლარაციის მის მიერ რუსთაველის თეატრისათვის შექმნილ ემბლემაშიც. როგორც ცნობილია, ამავე წელს შექმნა ირ. გამრეკელმა „ბაგრი კუკი“. იგი ახლოს დგას რუსთაველის თეატრის ემბლემასთან სტილითა და მხატვრული ხერხებით; როგორცაა: ფერის გამოყოფა გეომეტრიულ სიბრტყეებად, ნახატის პირობითობა, დეკორატიულობა. უკიდურესი ლაკონიზმი. მიუხედავად სტილითა და რანდენადემ კომპოზიციური სისახლოვისა, მათ შორის ორმა და არსებითი განსხვავებაა, რაც ემბლემაზე ასახული ცხენაკის მხატვრული სახეშია გამოვლენილი. რომანტიკული აღმავრენა იკითხება მის გაშლილ მკერდსა და რანდულ შემართებაში. ვადაზნეილი კორაუსი, ორმხრივ გაშლილი მკლავები და სივრცეში პირობონტალურად განფენილი ფლოქები ერთ მილოან, თამამ და შეურყვეველ რწმენას გამოხატავს. ემბლემაში ერთადერთი თეატრალური ატრიბუტია ცხენაკის ნიღბი. ჩარჩოს დეკორატიული ვადაწყვეტა მხატვრის ორიგინალური ფანტაზიის რაციონალურ ბუნებაზე მეტყველებს. ჩარჩოს რკალი წინ ვახსნილია, თითოეული გეომეტრიული ფორმის წამახვილებული წვერი გახსნილ რკალთან იყრის თავს. რაც ერთგვარად აღდღაბებს თეატრის თავისუფალ წინსწრაფვასა და შემოქმედებით მიხანსწრაფვას, ხოლო მისი მოზღვავებული ენერგია თითქოს ჩარჩოს გარეთაც იჭრება ცხენაკის ფლოქისა და დეკორატიული ელემენტების რკალს გარეთ გატანით.

ორივე ნაწარმოების, „ბაგრი კუკისა“ და „ცხენაკისა“ შედარება გვარწმუნებს იმაში, რომ ფუტურისტული „ნაუმიხაჯან“ ირ. გამრეკელი შორს იდგა მამხინაკ კი, როდესაც იგი მათთან თანამშრომლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სურათში, ისე, როგორც ბევრ სხვა ნაწარმოებში, იგი მიმართავს პირობითი ნახატის უკიდურესად სქემატურ ფორმებს. „ბაგრი-კუკიში“ თუ ფიზიკურ სისხარტესა და ტექნიკურ გამომოგონებლობას შეხარის მხატვარი, „ცხენაკიში“ იგი თეატრის მომავალს უმღერის. ამ ორი ნაწარმოებით ირ. გამრეკელმა ზღვარი გაავლო თეატრის სერიოზულ მისიასა და ცირკის მსუბუქ, ვასართობ, სანახაობით ბუნებას შორის, რაც ერთგვარი პასუხიც იყო იმ დროს თეატრის გარშემო ამტყდარ დაეხე. ცხენაკის სიმბოლური გამოხატულებით მხატვარმა თითქოს იწინასწარმეტყველა გმირულ-რომანტიკული მიმართულება, რომელიც რუსთაველის თეატრში მისივე შემოქმედებითი თანამონაწილეობით გამოიყვითა. ეს ემბლემა დღესაც უზებრებელია და კვლავ გამოხატავს ამ თეატრის შემოქმედებით მიხანსწრაფვას, კვლავაც მისი მეტყველი სიმბოლოა.

ირ. გამრეკელი ჯიუტად როდი მისდევდა რომელიმე შერჩეულ სახეით მანერას. პორტრეტულ ეანრში იგი ხშირად მოდელის ბუნებას შეურჩევედა ნახატის სტილს. ასეთია ქართველი პოეტის „ტრიცან ტამბისა“ პორტრეტი, რომელიც ს. კლიდიაშვილს უნახავს საქართველოს მხატვართა გამოფენაზე საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლებს დამყარებას პირველ წლებში. დაუთარილებული პორტრეტის შესრულების თარიღად უნდა ვუვარაუდოთ 1921-24 წლები, ს. კლიდიაშვილის მოგონებებისა და ჟურნალ „ხელოვნების დროშაში“ (1924 წ. № 1)

შალვა აღმაშენებლის პორტრეტი



მოთავსებული ტ. ტაბიძის ამავე პორტრეტის მიხედვით. პორტრეტი შესრულებულია თითქოს მხოლოდ ტიციან ტაბიძისათვის განკუთვნილი თავისებური მხატვრული ცნით. მისი მეოცნებე სახე ოდნავაა მოდილირებული; პირობითი ნახატის სისადავეში მხევალად არის გადმოცემული პოეტისა და მოქალაქის სათნო სახე. ს. კლიაშვილი გამოფენაზე ნახულ ამ ნამუშევრის ასე იგონებს: „შეეჩურდი და ვუცქერი. სურათი წარმოადგენს ჩემი მეგობარი პოეტის ტიციან ტაბიძის პორტრეტს. უცვადვე ისე მეჩვენა, რომ ტიციანის მთელი თავისებურება, როგორც პოეტის და ადამიანის, დაჭერილი და გადმოცემული ჰქონდა მხატვარს“⁴.

ირ. გამრეკელის პორტრეტულ ნამუშევრებს შორის ყურადღებას იპყრობს ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტები: „ნ. ი. ლენინი“, „კ. მარჯანიშვილი“, „ა. ხორავა“, „შ. ალხაიშვილი“ და სხვ. სამუშეაოდ, მათი ორიგინალები, გარდა შ. ალხაიშვილის პორტრეტისა, დაკარგულია. სახლ-მუზეუმში დაცულია ამ პორტრეტების ფოტოები და ლითოგრაფიული პირები. ყველა ეს ნაწარმოები, გარდა შ. ალხაიშვილის პორტრეტისა, კუბისტურად არის გადაწყვეტილი და მიეკუთვნება 1922-1924 წლებს. არა მხოლოდ სტილისტიკის მიხედვით, არამედ მოგონებებისა და სხვადასხვა ეურნალში მათი გამოქვეყნების თარიღითაც.

ირ. გამრეკელის შემოქმედების პირველი პერიოდურული შრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი მუშაობდა წიგნის გრაფიკაში, აფორმებდა სახალხო დღესასწაულებს, მან ვააფორმა თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების დროს, ხატავდა პლაკატებს და სხვ.

მის შემოქმედებაში ვხვდებით გროტესკულ პორტრეტებსაც. მხატვრის სახლ-მუზეუმში დაცულია ვლ. მაიაკოვსკის სამი პორტრეტი, რომელთა ასლები დღესაც ამუშვენებს პოეტის სახლ-მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას მისკოვში.

ირ. გამრეკელისა და ვლ. მაიაკოვსკის ხანმოკლე მეგობრობა ბევრ საინტერესო ეპიზოდს შეიცავს. მხატვარს პოეტზე მოგონებაც აქვს დაწერილი, სადაც მოგვიხსრობს მაიაკოვსკისა და ქართული „ლუფური“ ჯგუფის შეხვედრაზე თბილისში, მწერალთა კავშირში, გვიამბობს აგრეთვე კავშირს მასთან ერთად პიესის „მისტერია ბუფის“ დადგმაზე მსჯელობის შესახებ, ბილიარდის თამაშში შეჯიბრებაზე და სხვა.

მაიაკოვსკის სამივე პორტრეტი (რომელიც შესრულებულია 1924 წელს) გვიხილავს მხატვრის გულწრფელობითა და უშუალობით, უმთავრეს სახასიათო თავისებურებათა გადმოცემის მარტივი ხერხებით. სამივე პორტრეტში ვლ. მაიაკოვსკი სხვადასხვა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელ პოზაშია გამოხატული, თითოეულ მათგანში დიდი პოეტის მქუჩარე პოეზიის მებრძოლი სული შეიგრძნობა. სხეულის ფორმათა მუდმივობილიზაცია მუთითებს მხატვრის პოეტისადმი არა მხოლოდ თბილამოყიდებულებაზე, არამედ ხაზს უსვამს ვლ. მაიაკოვსკის უკომპრომიზო ხასიათსა და შემოქმედებითი ბუ-



ევინაზა

ნების მძლავრ შინაგან პოტენციასაც. ამ გრაფიკულ ნამუშევრებში ირ. გამრეკელი მხატვრული გამოხატვლობის ფუნქციას აკისრებს თეთრ ქაღალდზე შავი კონტურის მარტივ სიცხადეს. გრაფიკული პორტრეტები შესრულებულია ვლ. მაიაკოვსკის თბილისში ყოფნის დროს.

საწყის ეტაპზე სახვითი ხერხების ძიებები და მიცნებანი ირ. გამრეკელის შემდგომ შემოქმედებაში აისახა მის კონსტრუქციულ დეკორაციებსა და კონსტრუქციულ მდიდარმა დეკორატიულმა ფანტაზიამ, აზრის სახიერად გადმოცემის უნარმა, რაც მის გრაფიკულსა და ფერწერულ ნამუშევრებში გამოვლინდა, მხატვრის სცენურ ქმნილებებში სრულყოფილი ხორცეწესხმა ჰპოვა.

ქართულ თეატრში შემოქრილ ექსპრესიონისტულ ტალღას საინტერესო და მდიდარი ფანტაზიის ოსტატი შეხვდა ირ. გამრეკელის სახით. იგი კ. მარჯანიშვილის მიერ პირველი მიწვეული ქართველი მხატვარი იყო ჯერ თბილისის რუსულ თეატრში, ხოლო შემდეგ რუსთაველის თეატრში. დიდი რეჟისორის არჩევანი მიზანშეწონილი და, ამავე დროს, გაბედული ნაბიჯი იყო. გაბედულს ვამბობთ იმიტომ, რომ ირ. გამრეკელს არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა თეატრალურ სარბილზე, ხოლო რუსთაველის თეატრს მაშინ მველა სჭირდებოდა. ალბათ სცენურ ხელოვნებაში გაწაფული და ცნობილი

მხატვრის მიწვევა უფრო იოლი იქნებოდა რეჟისორისათვის, მაგრამ კ. მარჯანიშვილის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება სწორედ ქართული კადრის წარმოჩენა და მისი განვითარებისათვის დაუღალავი ბრძოლაა. რეჟისორის არჩევანი გამართლებულია მის მიერ ირ. გამარეკელის შემოქმედებითი პოტენციალის სწორად განსაზღვრით, მისი შემოქმედების ხასიათისა და რუსთაველის თეატრის იმ დროის მხატვრულ ძეგლათა ექსპერიმენტული ტენდენციების თანხვედრით.

1926 წლამდე ირ. გამარეკელის თეატრალურ მხატვრობაში მკვეთრად ჩანდა დაზგურ ფერწერაში მოიხმნილი და ჩამოყალიბებული მხატვრული ხერხები, რაც პიესის თემისადმი ექსპერიმონიზმისა და კუბიზმის ფორმალურ პრინციპთა შემოქმედებით დაქვემდებარებაში გამოიხატებოდა. შემდეგ წლებში მხატვრული გამომსახველობის ხერხები შეიცვალა და გამარეკელის თეატრის მიერ შემოქმედებითი გეზის შეცვლასთან ერთად.

ირ. გამარეკელის დეკორატიულმა ფანტაზიამ ფრთების გასაშლილად ფართო ასპარეზი იძოვა რუსთაველის თეატრში. თეატრმა კი თავისი სპეციფიკის, თეატრალური პირობითობისა და „დეკორატიული კონსტრუქტივიზმის“ განვითარებისათვის ნიჭიერი მხატვარი მოიპოვა მისი სახით. ირ. გამარეკელს მოდერნისტული მხატვრობის ხერხებსა და მათ კომბინირებულ ფორმებს იყენებდა აზრისა და განწყობის გადმოცემისათვის. მან ეს პირველზე სექტაციიდან დავეციტა. ჯერ კიდევ „ლიონდაში“, მიუხედავად იმისა, რომ ასტრეაქტულ კუბისტურ გარემოში გვაქცევს მხატვარი, შინაგანად გვაკავშირებს ქართულ მთებთან და მისი ხალხის ამაღლებულ იდეებთან.

მოდერნისტული ხელოვნების ჩარჩოების გაფართოება და ეროვნულ ფორმებთან დაკავშირება მხატვრის შემოქმედებით ალღოს და ნაწარმოების არსში მისი წვდომის ის დიდ უნარს, მაღალ ანტიკობას უნდა მივაწეროთ. ირ. გამარეკელმა თავისი შემოქმედებით საუფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოთა თეატრის ბრწყინვალე მომავალს. იგი რუსთაველის თეატრის და, საერთოდ, ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორთა თანავარსკვლავედში დგას, რადგან ახალი თეატრის შენების სიმძიმე ერთ-ერთმა პირველმა იტყვირთა და ერთგულად ზიდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

შენიშვნები:

¹ ქართული საბჭოთა ფერწერა. შემდგენელი და შესავალი წარჩოლის ავტორი — მამია დუღუჩავა, გამ. „ხელოვნება“, თბ. 1959 წ. გვ. 24.

² ვახტანგ კოტეშვილი — რჩეული ნაწერები, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967 წ. გვ. 188—189.

³ ტურნ. „H₂SO₄“ № 1, გვ. 22—23.

⁴ ი. გამარეკელი — კრებული, ს. კლიაშვილი, გამ. „ხელოვნება“, თბ., 1958 წ. გვ. 62.

ჩინოვების პიესათა გმირების პირველივე, თუნდაც შემთხვევითი, განვიხილთ თანავე იწყება მათთან ურთიერთობა, მეგობრობა, იწყება მათადმი სიყვარული. ისინი შენი ზნეობის, შეგრძნებებისა და განწყობილების შემდეგ თანამგზავრები ხდებიან. დასაწყისში, როგორც წესი, შენზე უფროსები არიან, შემდეგ — თანატოლები ვხვდებით, დღეს უკვე მე ვარ მრავალ მათგანზე უფროსი. დროთა განმავლობაში იცვლება ადამი, იქნე ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მაგრამ სიყვარული პროზორობების ოჯახისა, ძია ვანისა, სონიასა და ასტროვის, რანესკაისა და ყველასადმი, ვინც ცხოვრობს მუდმივად აყვავებულსა და იმპერალ „აღუბლის ბაღში“, სულ უფრო ღრმა, ნაზი და სევდიანი ხდება...

ხშირად დავეჭიქებულვარ: მაინც რა საიღუმლის შეიცავს ჩეხოვი და მისი დრამატურგია? რაში მდგომარეობს პირველქმნილი მშენიერება, მომაჯადოებელი ინდივიდუალობა მისი პიესებისა? ჩეხოვის პიესების ზოგიერთი გმირი ტურგენევისაზე ხომ ცხოვრობს, აქ ატარებს „ერთ თვეს სოფლად“, მისი თოლია კი დაფორნავს იბსენის „გაყვარული იხვის“ გუნდში. ჩეხოვის პიესებმა, დაწარბული ვერა კომისარევესკაისა სახელგანთქმული თოლიათი, თავისი „სიმშვიდისა და სისადვის“ წყალობით ლამის ააფეთქეს თეატრები. ჩეხოვისეული „მე“ შეიჭრა ვოკისა და ტენესი ულიამსის დრამატურგიაში, არბუზოვისა და ვამპილოვის საუტყუესო პიესებში. ჩეხოვის გმირები დღესაც აფორიაქებენ სამყაროს, მისი პიესები შეუწყვეტელ იდგება ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე.

ჩეხოვის გენიალობა მდგომარეობს იმ დღესა და სამყაროს წარმმართველ სისადვეში რომლის მწვერავლზე ასვლა ვერ შეძლო მრავალმა თავისი თუ ჩვენი დროისათვის მოდურმა დრამატურგმა, მწერალმა, კომპოზიტორმა, თეატრმა. ჩეხოვისთვის არ არის დამახასიათებელი თავზარდამცემი დარტყმები, სახეითობა, გაუცხოება, კეჟის სწავლება. იგი ჩვენი არსებას უხიბლავი ძაბვებით წარმართავს, უნიკუარტუბო ჩვენი ვულგუს „აზროვნების“ უნარს. არადა და ბედნიერებაა მოსმენა სასუთარი გულისთქმისა!

ყოველდღიურ ყოფიერებაში ჩეხოვი ხედავს მშენიერებას; ხედავს რალაცას ძალზე დახვეწილსა და ნამდილს. მისი პიესების სურნელება, განუმეორებელი და უაღრესად თავისებური, ავსებს ჩვენი სულსა და გონებას. გავცნობს ჩვენივე მეს მანამდე გაურკვეველ,

პიკველი „თელლიკ“!

გიორგი ჭირაქაძე

მანამდე შეუმჩნეველ თვისებებსა და შეგ-
 რძნებებს. მისი ენა გვაგონებს ჩაიკოვსკის მე-
 ლოდიების სიწმინდესა და ამოუწურავ სილა-
 მაზუს, მონესა და სეროვის, ბორისოვ -მუ-
 სატოვისა თუ თვით ჩეხოვისათვის საყვარელი
 ლევიტანის საოცარ პალიტრას...

დაბოლოს, ჩეხოვისეული პაუზა! — მეტ-
 ყველი, მრავლისმთქმელი, მრავლისმომცე-
 ელი... სწორედ იგი გვასწავლის საკუთარი ფი-
 ქრის გაგებას, უხილავის დანახვას, შეუსმენ-
 ელის მოსმენას. ჩეხოვის პაუზა მღერის და
 ხმოვანებს, რეზონირდება ჩვენს მიერ გასაი-
 ლუმლოებულ განცდასთან, გრძნობასთან.

ჩეხოვის დრამატურგიამ წარმოშვა ახალი,
 პრინციპულად ახალი თეატრი. ჩეხოვის
 დროისათვის სამყარო უკვე მრავალჯერ იყო
 დაპყრობილი სოფოკლესა და ესქილეს მიერ.
 კაცობრიობა გაოგნებული იყო შექსპირის გე-
 ნიის სიმძლავრისა და გაქანებისგან, მყურე-
 ბლებს კარგად იცნობდნენ ლოპე დე ვეგას,
 კორნელის, მოლიერისა და შილერის გმი-
 რებს, მთელი ხმით ეღერდა სიმბოლო იბსენის-
 სა. თეატრი აფორიკებდა და ამხიარულებდა
 მილიონობით ადამიანს. სცენური ხელოვნე-
 ბის ბრწყინვალე პლადები ანკვიფრებდნენ
 მყურებლებს ტრაგიკული გზნებით თუ სი-
 ცოცხლით საუკე იუმორით, გაუცხოების
 ოსტატობითაც. რეისორები და მსახიობები
 პიესებს ანსახიერებდნენ რეალურსა თუ მე-
 ტაფორულ, სიმბოლურ შტრიხებში. იდგე-
 მოლა სპექტაკლები — განადლიოზულიცა და
 კამერულიც, უკვე არსებობდა თეატრი სინთე-

ტური, თეატრი სანახაობითი, თვითული ეს
 მიმდინარეობა, თუკი მოხედება ტალანტის
 ხელში, დღესაც ახლებურად ეღერს, აღმოჩე-
 ნად მიგვაჩნია. აი, ასეთ ვითარებაში ჩეხოვმა,
 მისი პიესების საფუძველზე აღმოცენებულმა
 მოსკოვის სამხატვრო თეატრმა გადაშალა ახ-
 ალი ფურცელი, შექმნა ახალი ეტაპი, ახალი
 ეპოქა თეატრისა, რომელიც, მოჩვენებითი
 ძველმოდურობის მიუხედავად, განუმეორე-
 ბელია დღესაც. მხატვლთა სპექტაკლებში
 მთავარი გმირია ცხოვრება — უბრალო და
 ღიადი, მხიარული და ტრაგიკული, ცხოვრება
 — ერთიანი და ყოვლისმომცველი. აქ რეჟის-
 ორი არ მიისწრაფვის გაოგნებისა და განცვი-
 ფრებისაკენ, აქტივობები არ ტრამპსობენ თა-
 ვიანთი ოსტატობით. მთელი ანსამბლი ცხოვ-
 რობს, ცხოვრობს უბრალოდ, ცხოვრობს სა-
 დად... მხატვლთა ხელოვნების გამაოგნებელი
 ძალა სწორედ ამ უბრალოებასა და სისადავე-
 შია.

ამაშივეა ის უდიდესი სირთულეები, რომ-
 ლებიც ელობებიან თეატრს ჩეხოვის დრამა-
 ტურგიასთან მისავლელ გზებზე. ჩეხოვის პი-
 ესების ინტერპრეტაციის სიძნელეს ართულ-
 ებს მოდაც, მოდა მსახიობებზე, რეჟისორებ-
 ზე, სპექტაკლებზე, რომლებსაც ეტანება ასე-
 ვე მოღური მყურებელი.

დღეს დრამის სცენებზე აუცილებელია სი-
 მლერა და ცეკვა. მიუზიკლამ, მისმა ნაირსახე-
 ლებმა ფეხი მოიკიდეს თიქქის ყველა თეა-
 ტრში. სხვადასხვა ეპოქისა და სტილის გმირე-

ბი მოძრაობენ ერთნაირი რიტმულ-აკორდული მუსიკის ფონზე, მიკროფონებით ხელში, რითაც ემსგავსებიან ერთმანეთს, სხვადასხვა ქალაქისა და ქვეყნის მსახიობებს. ვიღაც მღერის უკეთ, ვიღაც უარესად ცეკვავს, სადღაც სცენა მაყურებელთა დარბაზს გადმოპყურებს ზევიდან, სადღაც გაერთიანებულია დარბაზთან (ან სულაც დარბაზიდან გატანილია), არც დეკორაციებია, ყველაფერი დაყვანილია განზოგადების მანიით შეპყრობილ ქონებაზე. პარაშუმს ჰიპი-სტენოგრაფია, ცეკვავს და მღერის ყველა — დონ კიხორი, გვალეი, შოუ, შექსპირი, ჩეხოვი, თვით ტოლსტოიცი. მღერის და ცეკვავს რეჟისორი, აქტიორი, მთელი დასი. ერთობა ყველა, გართობა ადვილიცაა, სასიამოვნოც... და თეატრის სტოვებს ცხოვრება, სტოვებს აზრი და გრანობა... თეატრის წინაშე მთელი სიმწვავეით დგება პრობლემა: როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ? როგორ ავალაბაჩაოთ უბრალოდ, ადამიანურად შექსპირი, ჩეხოვი, ტოლსტოი?

რუსთავის დრამატულმა თეატრმა, რომლის სცენაზე ახლახან შედგა ჩეხოვის „თოლისა“ პრემიერა, სცადა თავისი წვლილი შეეტანა ამ ამოცანის გადაწყვეტაში. „თოლია“ პრემიერის სკანდალური ჩავარდნა, შემდეგ უპარამპარო წარმოდგენა მხატვის სცენაზე, მერე კი ლამის ყოველწლიურად პრემიერებით თითქმის ყველა ქალაქში... საქართველოში კი მეტისმეტად ღარიბია ჩეხოვის პიესების ისტორიოგრაფია. „თოლია“ ქართულ სცენაზე პირველად შემოფრინდა მიხეილ ქელივის ნიუიორი თარგმანის წყალობით, თარგმანისა, რომელშიც მაქსიმალურად არის დაცული ჩეხოვის ენის მღერადობა, თანაზომიერება. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ რუსთავის თეატრის გადაწყვეტილება უარესად თამაში და გაბედულია.

სექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ შეისმინა ჩეხოვის თოლის ყვირილი და მოიშველია თავისი ნიუი და ცოდნა, რათა ეს ყვირილი გაეგოთ მსახიობებს, მაყურებლებსაც. მან ამ ყვირილში ზუსტად და მწვავედ იგრძნო მარტოობის სევდა, მარტოობას ტკივილი. რეჟისორმა განიზრახა ყოველი გმირი გამოეხატა ინდივიდუალური აკორდით, რომელთა საერთო ჟღერადობა რბობია, პასტელური, რითაც გვაგონდება რახმანინოვის კონცერტების პარტიტურები და სკრაიპინისეული პრელუდიების თავისებური, დაუმთავრებელი სევდა.

დიდი დახმარება აღმოუჩინა რეჟისორს სექტაკლის მხატვრობამ, რომლის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კელიმი. შეუცვლელი დაზგა და საოცრად ფერადოვანი უკანა ფარდა, რომელზედაც გამო-

ხატულია თავისი უსასრულობით მომხიბვლელი მომაჯადოებელი ტბა, სიმბოლური არყის ხეები, ხშირი ტყეშიც რომ ინარჩუნებენ თავიანთ სიმარტოვეს... ჩნდება სურვილი სინათლისეული ვარიაციების გაზრდისა, რაც უფრო მეტად გააძლიერებდა ტბის, ნაპირის გაწყობილების მღერადობას.

რეჟისორის წინაშე რთული ამოცანა იდგა. სექტაკლს გუნდური ელერადობა კი არ სჭირებოდა, არამედ ანსამბლური. ცნობილია, რომ ჩეხოვი გამარჯვებას აღწევს ვირტუოზული ანსამბლის მეშვეობით. ეს ძალზე რთული ამოცანაა ესოდენ ახალგაზრდა თეატრისათვის, რომელიც ითვლის თავისი არსებობის ათ წელს და რომლის დასიც უქანასკნელ ხანებში მთლიანად გადაახლისდა, ვანახლდა. იმ შემთხვევაში, როცა მსახიობებს აკლიათ ოსტატობა და გამოცდილება, აკლიათ ტლანტე, რეჟისორი აქტიურად ერევა, თუმცა მოქმედებს დიდი ტაქტიკითა და გემოვნებით. იგი საუბრობის მიხედვით ნიბდავს, არბილებს, ამუქებს ან აბაკებს ამ თუ იმ რბკლივს, ინტონაციას, მახვილს, ზოგჯერ მთელ სცენასაც კი. ამას მოაქვს სარგებლობა. სექტაკალი, ძირითადად, ანსამბლური გამოვიდა, ამასთან, ყოველი მოქმედება სულ უფრო მეტად იმსკვამლება ჩეხოვისებური ღინამიკით, სითბოთი, სურნელებით.

„თოლისა“ გმირებიდან ბედნიერნი არიან მხოლოდ სამინ — ირინა არკადინა, შობრევი და ტრიგორინი. შედარებით, რა თქმა უნდა. უბრალოდ მათ უკვე მიადწიეს მათ მიერვე აშენებულ ორბიტას. მათი მიზანია — თავიანთი მოძრაობის შენარჩუნება. ირინა არკადინას მდგომარეობა უფრო რთულია. ამ არცთუ უნიჭო ქალმა იცის სიცოცხლის, ახალგაზრდობის ფასი. მაგრამ მას მაინც ყველაფერი

სცენა სექტაკლიდან: ტრიგორინი — თ. დუშვილი, არკადინა — ლ. შოთაძე





სენა სპექტაკლიდან. მამა — გ. კიკნაძე, მუღველდგო — გ. ლევივა

მელიც თავისი ცხენების შრომისუნარიანობას გაცილებით უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მის გარშემო მყოფ ადამიანებს, „გასაოცარი“ ჩათვლით, სულ რომ არაფერი ექვეათ ჰმიცარიელ ადვილზე“, რომელსაც მისთვის მღველდევი წარმოადგენს?

ამ ორ პერსონაჟს უშუალოდ უკავშირდება სახელმძღვანელო და ძილური ლიტერატორი ტრიგორინი, რომლის სახე ატარებს ხაწარმოების აზრობრივ დატვირთვას. მის საფუძველზე აგებული პიესის ფაბულა. სპექტაკლში ტოვავდია დატრიალდება სწორედ ტრიგორინის გამო, და, რაც მთავარია, მისი მონაწილეობის გარეშე. ეს არის ინტელიგენტი, მწერალი, მნიშვნელობა არა აქვს ნიჭიერია თუ უნიჭო, რომელიც ორჯერ, თავაზიანად და გულგრილად ესვრის თოლისას. მეორე გასართლა საბედისწეროა — ინგრევა ნინა ზარეჩნაის ცხოვრება, მომავლიდინებელია კონსტანტინე ტრეპლუვის ჭროლობა. სპექტაკლში ტრიგორინის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ დამუვილი. მსახიობი შეუძლებელია ალღოთი გრძნობს და ვადმოსცემს თავისი გმირის დამოკიდებულებას არაკადინას მიმართ. მას უყვარდა ეს ეფექტური ქალი, ღღეს კი მექანიკური არაკადინას ორბიტაზე მოხვედრილია ტრიგორინის ცხოვრება. მას მოსწონს არაკადინას მზოუნეველობა, ხელმძღვანელობა, სიამოვნებს ქება, მოფერება, სიყვარული, მაგრამ ვარკვედო ღღომდ... არაკადინასთან დეტში (მესამე მოქმედება), რომელიც ვითარდება სწორად მოქმენილი მღღღარებობითა და დაძაბულობით, მსახიობს ღღოდადრო ავიყვდება, რომ ტრიგორინი მიეკუთვნება მოღღერი ადამიანების რიგს. იგი ძალზე მკვეთრად ვარდაიქმნება საწყალ, უბედურ, უშუქო ადამიანად. აქ კი სულ სხვა ნღღანათა მთავარი. ტრიგორინი იძულებით როდი ნებდება. ამისათვის იგი მერტსმეტად გუღღვი ადამიანი. მისი სიყვარულიც ხომ ცივია. კავშირი ნინასთან მის ცხოვრებაში არაფერის ცვლის. ამით ტრიგორინის მოღღერ ლიტერატურულ ბიოგრაფიას ემატება მხოლოდ ერთი ჩვეუღღარო, გუღღამაუყუეღღელი მოთხრობა თუ ნარკვევი. მოღღერი ადამიანი ვერ ვარდაიქმნება ბატუნად. იმისათვის, რომ ამისი დავრწუნდღღო, უღდა დავაკირღღეთ ვარემოს, ადამიანებს. სიმარტუეღღ ტრიგორინს ხელს ათეღღეს, უღენისყოფობა — მოსწონს. ტრიგორინი არასოღღეს კარგავს შწონსა და ღღაზთს, მისი მოარჩიღღებაც ხომ ღღაზათიანია. ტრიგორინი ღღღანს, მწვენივარად იცხოვრებს სპექტაკლის დამთავრების შემღღვაც. ვაეღღება დაბერეღღულ არაკადინას, ან უყუღღეს შემთხვევაში „ღღდა-შეღღურ“ გრძნობას შეინარჩუნებს. იგი ვერის ნინა ზარეჩნაის მსგავს კიღღე მრავალ

თავისთვის უღდა. ეგვიზში მსკვღღავს მის მთელ არსებას. მაინც რამღღერ ხანს შეძღღებს იგი ვარჩერებას თავის ორბიტაზე? ძწელია ამის თქმა. მაგრამ იგი იზარღღებს ამისათვის. მსახიობი ღღ. შოთაძე, რომელღღაც ამ როღღზე მუშაობის ღღროს მიღღო საქართეღღის სახაღღო არტისტის წოღღება, ჩემის აზრით, თავის საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებაში პირველად შეხვდა როღღს, რომელღღაც ყვეღღაზე ნაკლებად სწორდება თამაში. აქ უმთავრესია პოვნა თვითკმაყოფილი და ღღამაში ქალის სულსმიერი სიმისა. საჭიროა საკუთარი სამყაროს შექმნა და ძამაში ცხოვრება. ღღ. შოთაძეს, როგორც ჩანს, ჩაუტარებია უღღრესად ღღიდი და სერიოზული მუშაობა. მან შეიყვარა თავისი გმირი, შეიყვარა უფრო მეტადაც, ვიღღრეს იმსახურებს. შეიყვარა ისე, როგორც არაკადინა შეიყვარება არაკადინას. ეს შესანიშნავია, რადგან ავსებს სახეს ცხოვრებით. შესაძლოა, ზოგჯერ, ის მკვეთრი საღღებავები, რომლებღღაც ღღ. შოთაძე მიმართავს ნშირად და წარმატებითაც და რითაც იგი აღღამაზეებს თავის გმირს, არათუ შერბიღღეს, არამედ ვაღღართოვღღეს, ვამრავაღღეროვღღეს. ამით უფრო მოიგებღღენ მსახიობიცა და როღღიც.

მეორე თვითკმაყოფილი გმირი შამრავე ცხოვრობს დარწმუნებით, მთელი სისასით. ეს სახე, რომელღღაც ქმნის მისიღღო ამირან ბეკაშვილი, უთუოღღ, შთამბეჭღღავია. მაგრამ თუ მსახიობი უფრო მეტად დაფიქრღღება სხვათა მიმართ შამრავის პრიმიტული, მეტკანტილურ დამოკიდებულებაზე ამით მისი სახე უფრო ტევაღღი ვახდება, ვაღღიერღღება. როგორია მისი პრედიტორია? რას აეკუღღება, როგორ ცხოვრობდა ეს თავიღღე, ანვარებით საევენადამიანი, წარამარა რომ იწველებს სახელღღანთქმული ღღე სიღღეს სპექტაკლებზე პროფუნღღოთი წამოყვრებულ „ბრავოს“ და რა-



ნინა ზარეჩნაია — ე. ქუთათელაძე

ქალს. ასე იცხოვრებს მანამ, სანამ არ მობეზრდება დასვენება, ნადირობა. იგი სიბარიტი, ბედისაგან განებვიერებული ობიექტელია და რა საშიშროება არის ეს მოდური ადამიანები, რომლებიც რბილად, შროიანად და ლაზათიანად, დაუფიქრებლად დააბიჯებენ ცხოვრების გზაზე და თავის ნაკველებზე სტოვებენ თოლიათა ფიტულებს, დაკარიგებულ სულებს, გამრულებულ ბედ-იბღებს. თ. დაუშვილის ინტელიგენტობა, მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი სირბილუ შეეცაბამება ტრიგორინის სახეს.

ტრიგორინის სრული ანტიპოლია — ჰუმუიკონსტანტინე ტრეპლოვი. იგი ძიებაშია, აფორიაქებულა. შესაძლოა, ტრეპლოვი ძალიან ნიჭიერი არც არის, რასაც იგი, ტრიგორინისაგან განსხვავებით გრძობს, ავადმყოფურად განიცდის. იგი დახეტიაბა ბაღში, ტბის ნაპირზე, ოთახებში, მთელ ცხოვრებას უგზოუყვლო ხეტიალში ატარებს. იგი მარტოხელაა

ისევე, როგორც მდრინავი თოლია. თოლიები სულ დაფრინავენ, თავს დასტრიალებენ წყალს. ავირდები მათ ლამაზ ფრენას, ამოდ ელოდება შესვენებას, პაუზას. მასსოვს, ერთი თოლია, რომელიც დაფრინავდა თავის გუნდთან ერთად, უეცრად გაქვავდა, რამდენიმე წამის შემდეგ მოსწყდა და წყალში ქვასავით ჩაეშვა. ჩემს გარდა, ეს არ შეუძნებია არც ერთ თოლიას, რომლებიც ფრენას განაგრძობდნენ შეუნელებელი სიჩქარით. ასევეა ტრეპლოვიც. იგი აჩრდილივით ცხოვრობს, ამიტომაც არ სტოვებს კვალს... ტრეპლოვს ანსახიერებს ახალგაზრდა მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი. იგი თამაშობს მომხიბველი სიწირველით, გზნებით. მისი გმირი თრთის, ხან ქრება, იკარგება არყებს შორის, მერე კი ჩნდება ისევ... ნინა ზარეჩნაისადმი მისი სიყვარული ამაღლებულია, რომანტიკული. მაგრამ მას არ უნდა, არ შეუძლია ბრძოლა. უკანასკნელ მოქმედებაში ნინასთან შეხვედრის დროს ტრეპლოვს — სულიერად დალილსა და დაბერებულს — გამოაქვს თავისი თავისათვის საბოლოო განაჩენი. მას უკვე აღარაფერი ეშველება. ამას ვერ იგებს ნინა ზარეჩნაია, რომელიც მას ადრეც ვერ უგებდა.

გასაოცარია და გაუგებარია ნინა, სულ ერთთავად რომ მისიწრაფვის ცისკენ! მაგრამ როგორ გინდა აფრინდე, როცა მთელი არსებით მიჯაჭვული ხარ მიწასთან. ტრიგორინია მისი ცა, ოცნება, თეატრი. იგი თავდავიწყებით ეშვება უფსკრულში ცალმხრივი სიყვარულის გამო. ტრიგორინთან შეხვედრამდე ნინა — პროვინციული, ადვილად აღგზნებადი და მგრძობობიარე ქალიშვილი, რომანტიკულად აილიალებს მოდური მწერლის სახეს. მასზე ლაპარაკობს თაყვანისცემით. მერე კი შეიყვარებს მას შეხვედრისუმაღლე, სამუდამოდ, მთელი ძალით, მთელი არსებით. რომანტიკა და ვნება ქმნიან საოცრად მყარ ნათვს, ქმნიან გრძობობათა ისეთ ნაკვას, ისეთ ნილვარს, რომლის ორომტრიალიდან შეუძლებელია გამოსვლა, თავის დაღწევა, გადარჩენა. ნინა კი არ ენთება, არამედ თავიდანვე იწვის. ტრეპლოვი თითქოს აფხიზლებს მას, მაგრამ ნინას ეშინიან მისი გრძობის. უკანასკნელ სცენაში, რომელიც სექტაკულში ვითარდება ძალზე ბუნებრივად, პოლიფონიურად, ნინა — ფიზიკურად და სულიერად განადღურებული, შეციებული, თითქოს თბება ტრეპლოვის ვვერდით... და აი, ისევ გრძობს, ისევ ემსობ, ისევ ხედვს ტრიგორინს. ერთბაშად აღსდგება გრძობობების ნაკადი, ნილვარი, ორომტრიალი... ამ რთულ, გაუგებარ როლს, რომელსაც თურმე ბრწყინვალედ ანსახიერებდა სუვენდარული კომისარევისკაია, არა აქვს საშემსრულებლო ტრადიცია, საშემსრულებლო ეტალონი. მას ქალწულებრივი სიწმინდით ან-

სახიერებს ახალგაზრდა უცა ქეთათელაძე. მისი წინა ლამაზი, ნაზი, საინოა, იგი ვერ უძგებს ტრეპლოვს, რასაც გულახდლოდ გამოხატავს, ტრიგორინისადმი სიყვარულს კი ამჟღავნებს ბავშვური გამოუტყდლობით, უტოდველობით. ახალგაზრდა მსახიობი მინდა ვუსურვო მეტო თავისუფლება, მეტი სილაღე. სიყვარულმა არ იცის შიში, არ იცის სიფთობილე, უკანასკნელ მოქმედებაში ქეთათელაძე - ზაჩენაია სულ შავებშია ჩაცმული. ჩამაგებელია მისი გული, მისი სული. მსახიობი დამაჯერებლად გამოხატავს ბედის მსხვერველს, აღწევს დრამატულ მღელვარებას.

კიდევ უფრო რთული ამოცანა დგას შავი თოლიას — მაშა შამრავას შემსრულებლის გალინა კიკნაძის წინაშე. მისი როლი მოცემულია ვარგენტული დინამიკის გარეშე: იგი ყველაფერს — სიყვარულს, სევდას, სინანულს, გულრილობას, გულის სიღრმეში ატარებს. შავი თოლია მხოლოდ ერთხელ ყვირის, ისიც ტრიგორინთან შვიდი საუბრის დროს. მსახიობი დიდი ტაქტით ანვითარებს თავის როლს. შესაძლოა იგი მიმართავს ამ როლის შესანიშნავი შემსრულებლის ირინა მიროშნიჩენკოს ნახაზს, რაც იძლევა კარგ შედეგს.

სექტაკლში ჩეხოვისებურად რბილი და მომხიბვლელია სორინის სახე, რომელსაც ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლერი მიშველაძე. სორინმა მთელი ცხოვრება შვიდიად გაატარა, მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდა ცოლის შერთვაზე, ლიტერატურულ კარიერაზე. არაფერი გამოუვლია. იგი გულობილ კეთილ ადამიანად დარჩა. ამ მარტოხელა ადამიანს ეხმარება სიყვარული ახლობლებისა. ლ. მიშველაძე წარფელია და მოკრძალებული. ჩანს მისი გულისხმიერება, რომელსაც იგი იჩენს თავის დისა და დისშვილის მიმართ. მას ებრალება თოლიები... ტრეპლოვის ტყეია მის სულსაც ხედება.

ჩეხოვის დორნი მკვეთრი განზოგადებული სახეა. ეს მარტოხელა ადამიანი ცხოვრებას რეალურად ხედავს: ცინიკურად აღიქვამს, მასაც უყვია ვაფრენა არცთუ შორეულ ორბიტაზე, მასაც ბევრი თოლიასათვის უსერია, მაგრამ არც ერთი არ მოუტლავს. უბრალოდ, მან იცის, ვის და როდის უნდა ესროლოს. მას არ აოცებს არაფერი. ყველაფერი უნახავს, ყველაფერი იცის და თითქოს ყველა ებრალებაო. ტრეპლოვს მხოლოდ იგი ეუბნება თბილ სიტყვებს პიესაზე, რომელსაც ცერაფერი გაუგო. მხოლოდ მას ახსოვს ახალგაზრდა, ლამაზი, ყველასაგან განსხვავებული წინა ზაჩენაია. იგი ტრეპლოვის თვითმკვლელობის მოლოდინშია. მას ეწონია მხოლოდ ფიზიკური სიმარტოვისა. იგი, ალბათ, ხშირი სტუმარია არა მარტო სორინების ოჯახისა,

თუმცა ახლოს არავის იკარებს. დორნის რით სიახლოვე მსხვერპლია. მას არაფერი მსხვერპლზე წასვლა. მისი დამოკიდებულება გარემომცველ სინამდვილესთან, ადამიანებთან დაყვანილია ვალერიანის წვეთების გამუდმებულ შეთავაზებაზე. ამ როლს ასრულებს ანზორ ლოლუა, რომლის ქცევები ძუნწი და ლაკონიურია. არაფერი ზედმეტი. მის დიდ თვალბში დროდადრო ჩნდება ნაპერწკალი, რომელიც გამოხატავს წარსულის ოცნებებსა და შეგრძნებებს. ყველაფერი დიამსხვრა. მსახიობი ვასულია დორნის ორბიტაზე, რომლის შენარჩუნებისათვის სულაც არ არის საჭირო მღელვარება, ემოციები. ყოველივე ამას იგი გულგრილობის, ცინიზმის ნიღბქვეშ მალავს...

სემიონ მედვედენკოს როლს წარმატებით ანსახიერებს მსახიობი ვია ლეჟავა. იგი ჩაწვდა ამ საწყალი მასწავლებლის არცთუ მდიდარ სულიერ სამყაროს, რომლის თავისებურებებს ამჟღავნებს მეტყველების, მოძრაობის, სიარულის სპეციფიკური მანერით. მედვედენკოს სიმარტოვეს ამწვავებს ქორწინება მაშა შამრავასთან. მას თავდავიწყებით უყვარდა და უყვარს მაშა. გრმობს, რომ უფს-

სკენა სექტაკლიდან. სორინი — ლ. მიშველაძე, ტრეპლოვი — რ. ჩიციუშვილი



კრული მათ შორის ყოველთვის იყო, არის და იქნება. მაშინ გაანადგურა, მოსპო მისი გრძობები. იგი ვეულკრილად გვიღება თავის საქმეს, რომელიც აღარ უყვარს, აღარ აინტერესებს. შეიღობნა ცი სიყვარულს კი არ მიჰყავს, არამედ მოვალეობის გრძობას. მაინც რამდენ ხანს გასტანს ასეთი მდგომარეობა? ყოველთვის? მთელი ცხოვრების მანძილზე? მას არა აქვს მომავალი, ამით იგი მკვეთრად განსხვავდება ყველა დანარჩენი პერსონაჟებისაგან მხოლოდ შეიღობ თუ აპოკალიფს თავის ადგილს, მაგრამ ესეც, აღაბთ, გვიან მოხდება. ყველა ადგილი დაკავებულია იქ, სადაც იგი უნდა ყოფილიყო. გაყიდულია „ალუბლის ბაღი“, ხოლო ტბა, ჯადოსნური ტბა არ არის ბენდიერების მომტანი.

პიესის სახეებს შორის თავისი ადგილი აქვს პოლონ ანდრეევებს — შამარაევის ცოლსა და მამას დედას. სწორედ იგია ამ სახლ-კარის ნამდვილი დიასახლისი. ერთი შეხედვით ეს ჩემი და საქმიანი ქალი შემავსებელი რგოლია თავდასული ქმრის, არაფრის მაქნისი სორინისა და დროდადრო ჩამოსული არკადინსა ურთიერთობებისა. იგი ცხოვრობს თავის სასაბაროში, რომელსაც შეუმჩნევლად აშენებს. დორნის გულის მოგება არც ისე რთულია, მაგრამ მაინც საყურადღებო ფაქტია. ეს მტყვევლებს პოლინა ანდრეევებს თავისებურ მომხიბვლელობაზე, მოხერხებულობაზე, ეშმაკობაზე... მისი პატარა გული ბევრს იტევს — არკადინსადმი ერთგული შურს, ზარეჩნაისა საქციელით გაიწვეულ გაიზიანებას, ქალიშვილისადმი სიბრალულს, სორინისადმი ერთგულებას, დორნის დამორჩილებს სურვილს, ტრეპლოვთან დამოკიდებულებას.

პოლინა ანდრეევსა ხშირად როდია სცენაზე. ამის გამო მსახიობ თ. მესხისთვის ძნელია მთელი სისასით გამოხატოს ტევაძობა თავისი პერსონაჟის ხასიათისა. იგი ხაზს უსვამს მხოლოდ ცალკეულ თვისებებს, რითაც ერთგვარად ირღვევა ამ სახის მთლიანობა, რომლისთვისაც უცხოა მკვეთრი მოულოდნელი შტრიხები. რომელიმე დეტალის თუნდაც უშინშეგნლო გამახვილებით (მაგალითად ნინა ზარეჩნაის მიერ დორნისადმი მიერთმულ თაიგული) ირღვევა სიმბოლოვნობა.

სექტაკლი დამთავრებულია. სულ რაღაც ორსამ საათში ჩვენს წინაშე ჩაიარა მრავალადამიანის ცხოვრებამ — რთულმა, ჩახლართულმა, ვხედავთ გმირების აღმაფრენასა და დაცემას. სექტაკლი ბადებს მრავალ ასოციაციას, აზრს, შეგრძნებას. მოგვიწოდებს გვერდზე მყოფისადმი სიყვარულისა და თანაგრძნობისაკენ, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლისაკენ...

ღრითა განმავლობაში თვითმული როლი დაიხვეწება, გახდება უფრო რბილი და ღრმა. უფრო მეტად გამოვლინდება ამ სექტაკლისათვის დამახასიათებელი პოლიფონიურობა — თვითმული მოქმედი პირი სცენაზე და მოქმედებს მაშინაც კი, როცა სდუმს ან როცა კულისებში თავის გამოსვლას ელოდება. პოლიფონიურობამ პირველი მოქმედების პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ვერ მიალწია სასურველ ელერაობას. თუმცა იგრძნობა, ჩანს ამის შესაძლებლობა: უქანსკენი მოქმედება მთელი სიციხადით ამფლავნებს დასის პოტენციას, მის ნიჭიერებასა და შრომისუნარიანობას. შესანიშნავად ღერის ბოლო სცენა — ლოტის თამაში, ნინასა და ტრეპლოვის დიალოგი, ტრიგორინის, არკადინსა რეპლიკები, წვიმის ხმა... სექტაკლი ყველგან იეს გამთლიანებულია, პარონიული...

თვალსაჩინოა რეჟისორ ა. ქუთათელაძის უაღრესად საინტერესო, ღრმა და საფუძვლიანი მუშაობა, კარგად არის მოქმედნილი ბგერითი და მხატვრული ვაფორება, მკვეთრია სახეები... ყოველივე ამან სექტაკლის წარმატება განაპირობა. მთავარია, რომ „თოლია“ ამტყვევლად ქართულ ენაზე. ეს სექტაკლი დღითიდღე სულ უფრო მილიანი, სრულყოფილი გახდება. იქნებ აღდგეს კიდევ ჩეხოვისეული ფინალიც... დორნის ფრაზით „საქმე იმაშია, რომ კონსტანტინე გოგოლის ქმე თავი მოიკლა!“ მთავრდება ჩეხოვის პიესა. სექტაკლი კი, ამ ფრასის შემდეგ, არკადინა რატომღაც იმეორებს ტრეპლოვის უქანსკენლ სიტყვებს. რამდენად სწორია ეს?

რუსთავის თეატრმა, რომელმაც თავისი ცხოვრება დაიწყო მგზნებარედ, დაიწყო მკვეთრად, მოიპოვა მრავალი პრინციპული გამარჯვება, რომელთა შორის აღსანიშნავია ისეთი ერთმანეთისაგან განსხვავებული სექტაკლები, როგორცაა როსტანის „სირანო დე ბერკერაკი“, გორკის „ფსიკერზე“, გოგოლის „რევიზორი“, კორსაკოვის „ასი წლის შემდეგ, და სხვა. დღესაც, როცა თეატრი მიმე პირობებში იწყობება (მას არა აქვს სტაციონარული სცენა) იგი წარმოვიკიდებება კანონ, მაძიებელ, ნიჭიერ კლექტიკად. ამას გვიმოწმებს სექტაკლი „თოლია“, რომელიც მსახიობებისათვის შესანიშნავი სკოლაა, მყურებელთათვის კი ჩინებული საჩუქარი.

ქართული მხატვრობის მოამბენი

ირინე ძუცოვა

საქართველოსთან, ქართულ მხატვრობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა რუსი მხატვრებისა, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს სახვითი ხელოვნების კადრების მომზადებისა და ქართული სინამდვილია მხატვრული ასახვის საქმეში. მათ შორის არიან ბორის ფოგელი და ნიკოლოზ სკლიფასოვსკი. ერთი ასაკის ამ მხატვრების შემოქმედებითი და პროფესიული ინტერესები თანხვედრა, ნაყოფიერი პედაგოგიური გზის პირველ პერიოდი უშუალოდ ქართულ სინამდვილეს უკავშირდება.

ნიკოლოზ სკლიფასოვსკი 1870 წელს დაიბადა ქ. მინსკში, რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში შეიღის იურიდიულ ფაკულტეტზე და, ამავე დროს, გატაცებულია მხატვრობით, სწავლობს კერძო სამხატვრო სტუდიაში. ერთ-ერთ გამოფენაზე იგი ხედება ბორის ფოგელს, რომელიც

ურჩევს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოვიდეს.


სკლიფასოვსკის ოჯახი რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა ბათუმში. მხატვარმა აქ საკუთარი თანხებით სამხატვრო სკოლა გახსნა. სწორედ ამ სკოლაში პირველად მივიდა ზიგმუნტ ვალიშეისკი, შემდგომში ცნობილი პოლონელი მხატვარი, რომლის შემოქმედებაც ასევე მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს.

1909 წელს ნ. სკლიფასოვსკი თბილისში გადმოვიდა. ასწავლიდა ხატვას გიმნაზიებში, ორიოდე წლის შემდეგ თავის ბინაზე (ამჟამად კლარა ცეტკინის ქუჩა) მან გახსნა ხატვისა და ფერწერის კურსები. ამავე დროს, მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ თითქმის ყველა სამხატვრო გამოფენაზე. 1918 წლიდან ა. სკლიფასოვსკი ასწავლიდა კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების სამხატვრო სკოლაში, 1922 წლიდან კი ახლადარსებულ თბილისის სამხატვრო

ბორის ფოგელი



ნიკოლოზ სკლიფასოვსკი



აკადემიაში. 1925 წელს, ოჯახურ გარემოებათა გამო, იგი ლენინგრადში გადადის ს. ცხოვრებლად, ხოლო ხუთიოდე წლის შემდეგ ციმბირში მიემგზავრება, სადაც ერთ-ერთი პოეტის სკოლაში ხატვას ასწავლია.

მხატვარი 1935 წელს გარდაიცვალა ლენინგრადში. მისი მოწაფეები მუდამ მაღლიერებით იხსენიებდნენ ამაგდარ მასწავლებელს.

„1920-იანი, 1930-იანი წლების დასაწყისის ქართულ პეიზაჟურ ფერწერაში, მით უმეტეს თბილისის „ფერწერულ მატრიანეს“ ვე უწარმოვადგენთ ბორის ალექსანდრეს ძე ფოგელის გარეშე“ — აღნიშნავს ე. ბერიძე (ე. ბერიძე, ნ. ეზერსკიაი, „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“).

ბორის ფოგელი 1871 წელს დაიბადა ქ. თემირ-ხან შურაში (ახლანდელი ბუნიაკსკი, დაღესტნის ასსრ) გარუსებულ გერმანულ სამხედრო პირის ოჯახში. 1878 წელს მომავალი მხატვრის ოჯახი თბილისში გადასახლდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ფოგელი მოსკოვის უნივერსიტეტში შედის იურიდიულ ფაკულტეტზე და, ამავე დროს, მკიდრო ურთიერთობას ამყარებს მხატვრობის მოყვარულ საზოგადოებასთან, გატაცებით ვარჯიშობს ხატვასა და ფერწერაში. ერთხანს სწავლობს ცნობილი რუსი მხატვრის ს. კოროვინის ხელმძღვანელობით. მის შემოქმედებით ზრდასა და ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია იმ დროის ხელოვანთა წრეში ყოფნამ, მწერლებთან, მუსიკოსებთან, მხატვრებთან ურთიერთობამ.

1896 წელს ფოგელი პროფესიული და ხელოვნების მიზნით პარიზს მიემგზავრება და ეიულიენის აკადემიაში სწავლობს, ორიოდე წლის შემდეგ კი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შედის. ცნობილ რუს მხატვრებთან ურთიერთობა, მათი ხელმძღვანელობითა და მითითებებით შემოქმედებითი დოისატების პირველი ბიოკების გავლა დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მხატვრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ფოგელის შემოქმედება თანდათან უკვე აღიარებას იმსახურებს რუსულ მხატვრულ წრეებში, 1901 წელს იგი ისევ თბილისში ბრუნდება და გიმნაზიებში ხატვას ასწავლის, ამავე დროს, ინტენსიურად მუშაობს, სურათებს აგზავნის გამოფენებზე მოსკოვში. ცნობილ ქართველ და საქართველოში მოღვაწე სხვა მხატვრებთან ერთად (ი. ნიკოლაძე, გ. გაბაშვილი, ე. თათველისიანი, ნ. სკლიფასოვსკი, ო. შმერლინგი) ფოგელი ფართო საგამოფენო საქმიანობას ეწევა თბილისში. ამასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს მხატვართა კადრების აღზრდას, ასწავლის ფერწერას კავკასიის საზოგადოებასთან არსებულ კავშირულ ხელოვნებათა ხელშეწყობ ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში, 1922 წელს კი თბილისის ახლადდაარსებული სამხატვრო აკადემიის პირველ პედაგოგთა შორისაა.

1934 წლიდან ბ. ფოგელი ლენინგრადში მოღვაწეობს. 1941 წლის გაზაფხულზე ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის საგამოფ-



ბ. ფოგელი
ერევნის მოედანი

ბ. ფოგელი
ძველი თბილისის კუთხე

ნ. სკლიფასოვსკი
ე. ივანოვის პორტრეტი

ნო დარბაზში მოეწყო მისი ნაშუქვების გამოფენა. გარდაცვალებამდე (1961 წ.) იგი არ წყვეტდა მეგობრულ ურთიერთობასა და მიმოწერას ქართველ მხატვრებთან, მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა თბილისის მხატვრული ცხოვრებისადმი. ცნობილი ქართველი პეიზაჟისტი ალექსანდრე ციმაქურიძე მაღლიერებით ივონებდა თავისი მასწავლებლის ამაგს, თვლიდა, რომ ფოგელმა თვალსაჩინო როლი ითამაშა მისი, როგორც ფერმწერი-პეიზაჟისტის ფორმირებაში.

ბორის ფოგელის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს პეიზაჟებს, რომლებიც აღბეჭდილია მხატვრის თვითმყოფადი ხელწერით.

1927 წელს მხატვართა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ბ. ფოგელი, ი. თოიძე, დ. გველესიანი და ვ. კროტკოვი, მოაწყო გამოფენა „ახალი თბილისი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მომხიბვლელი თბილისური პეიზაჟები, ახალშენებლობათა სურათები. მომდევნო წლის ვრცელ გამოფენაში კი ფოგელმა ბაკურიანის, ბორჯომის, ქობულეთისა და ბათუმის პეიზაჟები გამოაფინა. ლენინგრადში გამგზავრებამდე მხატვარი თბილისში გამართული ყველა გამოფენის აქტიური მონაწილე იყო.

ფოგელის სურათები, სავსე მზით, სინათლითა და პერით, საზოგადოების ერთსულივან მოწონებას და პრესის მაღალ შეფასებას იმსახურებდა, აღნიშნავდნენ ფერმწერის კოლორისტულ ნიჭს, ღრმა სიმართლეს და შთაგონებულ პოეტურობას,

ფერთა იშვიათ პარმონიულობას; სამხრეთთა მზის მცხუნვარებამ განსაკუთრებულად აღაზრდა მისი შიშინა ამ ტილოებში.

მხატვრის შემოქმედების ამგვარი შეფასების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა მისი ნაშუქვები ეთილეთ ვასული წლის ბოლოს თბილისის სურათების გალერეაში გამართულ ვრცელ გამოფენაზე „თბილისი საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში“. ჭეშმარიტი თბილისელის თვალთ დაწახული ქალაქის კოლორატული უბნები და ქუჩაზანდები გადარშალა ჩვენს თვალწინ. ფოგელის თბილისური ციკლის ტილოები არა მხოლოდ ძალზე სახიერად და შთამბეჭდავად გადმოსცემენ აველი ქალაქის თავისებურ მშენიერებას, არამედ მხატვრული ხელწერითაც მკაფიოდ გამოჩეულია სხვა მხატვართა ქმნილებებიდან. მართლაც, ფოგელს უსაზღვროდ იზიდავს მზით ვასივოსნებული სამყარო, შუქის ოქრისფერ-ნარინჯისფერებისა და ჩრდილთა-ლურჯ-ლილისფერების ლამაზი თამაში, ცხოველბატული კონტრასტები. ამგვარი ფერწერული ინტერპრეტაციითაა დაწერილი მისი თბილისური ხედები, ქუჩების კუთხეები, ძველი სახლები და ეზოები.

საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა ერთა წარმომადგენელ მხატვრებთან ერთად ბორის ფოგელმა და ნიკოლოზ სკლიფასოვსკიმ გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული ხელოვნების განვითარებისა და მხატვართა ახალი კადრების აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეში.



პერსონალის ქართული ნაკეთობანი

ნინო გვათუა

იოსებ ბრიგაზვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დატულ ექსპონატებს შორისაა ძვირფასი ლითონის—ვერცხლისა და ვერცხლით მოქედილი ნივთები: ქაშრები, მასრები, ბეჭდები, სამაჯურები, ლარნაყები, სარძევეები, ყანწები, საპირისწამლები, ჭიქები და სხვა, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეში შეუქმნიათ მხატვრული ხელოსნობის ქართველ ოსტატებს, აგრეთვე, ჩვენს თანამედროვე შემოქმედთ.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ძველთაგანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ნივთის დეკორატიულ მხარეს, მის გაფორმებას. ქსოვილები, ქარგულობა-ხელსაქმის სხვადასხვა სახეობანი, ქედურობა გამოირჩევა შესრულების ტექნიკური ოსტატობით და მალაღი მხატვრული დონით.

სახელგანთქმულ ქართულ ხალხურ ფეიქრობაზე, სელის ნაწარმზე (IV საუკ. ძვ. წ. აღ.) გაცილებით ადრე იყო ცნობილი ლითონის წარმოება-დამუშავება. რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან მომდინარეობდა. ჩვენი წინაპრები ფლობდნენ ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონების მალაღოსტატურად დაბეჭდვას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლითონის წარმოების საწყისები საქართველოში უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. უძველესი დროის ცნობილ ქართულ ხალ-

ხურ ოქრომქედლობას შუქს ფენს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები.

ქედური ხელოვნების სახეობათაგან, როგორც ცნობილია, ძვ. წ. III ათასწლეულიდან განსაკუთრებით გავრცელდა ოქრო-ვერცხლის ფურცლების მხატვრული რელიეფური დამუშავება თევით.

რელიეფურ პლასტიკას — ქანდაკებას რომ ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა, ამის დამადასტურებელია ჩვენი წინაპარი ოქრომქანდაკელების მიერ დიდი ოსტატობით შესრულებული, უმთავრესად საეკლესიო დანიშნულების დეკორატიული ქედურობის ნიმუშები.

დღესაც გვაოცებს XII საუკუნის გენიალური ოქრომქანდაკელების ბეჭა და ბეჭენი ოპიზარების შემოქმედება.

ასანნიშნავია, რომ ზოგიერთი ქართული ორნამენტი გარკვეული შინაარსის შემცველია და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: თევზის, ბროწეულის ყვავილისა და მისი ნაყოფის გამოსახულებებს უკავშირებენ გამრავლებას — მრავალშვილიანობას; ვარდ-ბულბულის გამოსახულებას — მიჯნურობას, ფარშავანგისა და მიხაკის ყვავილისას — სილამაზეს, ბედნიერებას, დღეგრძელობასა და სხვ. ამგვარ ორნამენტებს იყენებენ ქარგუ-

ლობაში, ქსოვილების მოხატვა-დაპირელები-სას. ქედურობაც მდიდარია მსგავსი სიმბო-ლური ჩუქურთმებით.

ქედურ ნაყოფებში, ყვავილოვანი ორნა-მენტებისა და ცოცხალი ფიგურების გარდა, გამოყენებული არქიტექტურულ შენობათა დეკორის მოტივებიც. ვერცხლის ნივთები დამწვევებულია ზარნიშითა და მინაწქით მოოქვილი თვალ-მარგალიტით.

ლითონის მხატვრულად დამუშავება თაობი-დან თაობაში გადადიოდა, იქმნებოდა უნიკალ-ური ნივთიერი ძეგლები. ოქრომჭედლობას-თან ერთად, შუა საუკუნეებში განვითარდა მინაწქის ხელოვნებაც. ტიხრული მინაწქ-რითაა დამუშავებული ხატები, მედალიონები, სამაჯურები, ჭვრები და სხვა საქაულები. მი-ნაწქები გვიბლავს ფერების ულამაზესი, თავისებური შეხამებით; ისინი განსხვავდები-ან ბიზანტიური მინაწქებისგან. საქართვე-ლოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეთა მინაწქების კოლექცია ერთი უმდიდრესთაგანია მსოფლიოში. მათგან ყვე-ლაზე ძველი ნიმუში VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. დამახასიათებელია ფერთა გამა: ლავჯარი-კობალტი, ფირუზისფერი-ცისფე-რი, ზურმუხტოვანი-მწვანე, მარჯნისფერი, უნაბისფერი, ბადრიჯნისფერი, ვარდისფერი, ძოწისა და ღვინისფერი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, კა-პიტლიზმის განვითარებასთან ერთად, საქ-რთველოშიც თანდათანობით მცირდება ად-გილობრივი შინამრეწველური ნაწარმი, ხმა-რებიდან გამოდის მამა-პაპური ჩაცმა-დახურ-ვა და მისთვის აუცილებელი აქსესუარები: ხაჩვლები, მასრები, ვერცხლის ქაშრები, ოქ-რო-ვერცხლისა და სპილენძისაგან დამზადე-ბული, ძველი თბილისის ყოფისათვის დამახა-სიათებელი ნივთები, რომლებიც დღეს მუზე-უმების განძეულობას წარმოადგენს.

მაგრამ, მიუხედავად მრეწველური ნივთის კონკურენციისა, ლითონის მხატვრული დამუ-შავება გრძელდებოდა, იქმნებოდა უნიკალე-რი მხატვრული ძეგლები, რომელთაც ჩვენა-მდგ მოიტანეს ხალხის თვითმყოფადი შემო-ქმედებითი და ტექნიკური ოსტატობა, გემოვნე-ბა, ხელწერა. ხალხი მუდამ აყვავებდა მა-ლალოსტატურ ნახევარს. ამას მოწმობს ხალ-ხური გამოთქმები: „ამ ნივთს გამკეთებლის ხელი ატყვიანო“, „მეანისა და მავანის ხელის ნამუშევარიო“, ანდა „ამის გამკეთებელს ოქროს ხელი აქვსო“, „დაილოცოს გამკეთებ-ლის მარჯვენასო“ და სხვა.

ჩვენ საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობენ ცნობილი ხალხური ოსტატები გ. ხანდამაშვი-ლი, თომა და ამბროსი ჭიჭიები.

50-იანი წლებიდან აღორძინდა ქართული ლითონმქანდაკეობა და ქედურობა. ი. ოჩ-იაური (ამ ხელოვნების პიონერი), გ. გაბაშვი-ლი, კ. გურული, დ. ყიფშიძე და სხვები აგრ-ძელებენ თავიანთი წინაპრების სახელოვან ტრადიციას. ფართოდაა ცნობილი ოქროსა და ვერცხლზე მომუშავე ოსტატთა — მ. მაგომე-დოვას, მ. ქუთათელაძის, თ. ფირცხალავას, ო. დოლიძის და სხვათა სახელები.

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნო-გრაფიულ მუზეუმში დაკულ ვერცხლის ნივთებს შორის ერთ-ერთი საინტერესოა გო-ბაკიანი ქაშრები და აზზინდიანი სარტყლები.

ტანსაცმლის შეზადგენელ ელემენტს, რომე-ლსაც წვლზე იკრავენ, ორი სახელწოდება აქვს: ქაშარი და სარტყელი. საზღვარსა და გობაკიანს ეწოდებთ ქაშრებს, ხოლო აზზინ-დიანს, ტყავისა და ქსოვილისას, ბალიანს — სარტყელს. სამომხმარებლო დანიშნულე-ბის გარდა, მათ ესთეტიკური ღირებულებაც გააჩნიათ.

აზზინდიან სარტყელს მეტწილად დასავლეთ საქართველოში ხმარობდნენ, იგი ყველანაირი ჩოხის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. გობაკიანი ქაშრები კი უფრო გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში. აღსა-ნიშნავია, რომ ამგვარ ქაშრებს ატარებდნენ ყარაჩოხელები და კინტოები.

გობაკიანი ქაშრები თანამაზე მჭირით ასხმე-ლი მალეებისაგან შედგება. თუ ორ თანამაზე ასხმული, ერთი თანამა გაყრილია მალეების კე-დლებს შორის, ხოლო მეორე, წერილი თანამა — მალეების ე. წ. ხიდურებში, ანუ ულწობში.

საინტერესოა ე. წ. ფეხის ქვა, რომელიც თითქმის ყველა მხოთვის წიგნშია მოხსენებუ-ლი აბანოსათვის განკუთვნილ სხვადასხვა ნი-ვთებთან ერთად. შექმნულთათვის ეს ქვა საუკეთესო მასალიდან მზადდებოდა და ვერცხლით იყო მოჭედილი. მუზეუმის ფონ-დებში დაცულია ვედის გამოსახულების ფე-ხის ქვა, რომელიც ონიქსიდანაა დამზადებუ-ლი. ფრინველს თავი უკან აქვს გადახრილი და ფრთებზე დაყრდნობილი, რაც სახელურს წა-რმოქმნის. ძირი ხორკლიანია. (ახლა ფეხის ქვად პეშვას ხმარობენ, მას ქართულად მინ-ქვა, მჰადაქვა ანუ თირი ეწოდება). მეორე ექსპონატი — ვერცხლით მოჭედილი ფეხის ქვა სიგრძეზე გადაპირილი კვერცხის ფორ-

მისა, ბრტყელი ნაწილი გამოიყენება საფეხკად, ზევითა („კუზინაი“) ნაწილი ჩასმულია ვერცხლის პერანგში, რომლის ჩუქურთმა შეიცავს სტილიზებულ ყვავილოვან და გეომეტრიულ ორნამენტებს.

ძალზე ფაქიზადაა შესრულებული ტანსაცმლის, — კერძოდ, ჩოხის აქსესუარი — ვერცხლით მოჭედილი მასრები. ისინი ბზის ხისგანაა დამზადებული. მასრების ერთი ბოლო მომრგვალებულია და შავად გაპირალეული. მეორე ბოლო ღრუ წითელი ხავერდის ნაჭრითაა ამოვსებული. ეს ადგილი გარედან მოვერცხლილია, ჩასმულია ვერცხლის პერანგში. მისი ქედურბოა შეიცავს ყვავილოვან ორნამენტს. მასრის შავი ბოლო იხმარებოდა საყოველღეოდ, ვერცხლით მოჭედილი ბოლო კი საზეიმო ვითარებაში ამკობდა ჩოხას. ეს ნაკეთობა ეკუთვნის XIX საუკ. მეორე ნახევარს.

ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია ვერცხლით მოჭედილი შავი რქის საპირისწამლე, რომლის ქედურბოა შეიცავს ყვავილოვან ჩუქურთმას და მოსევადებულია, — ფონზე გამოყვანილია სამფურცლოვანი სტილიზებული ყვავილი, ცენტრში კი—დიდი ყვავილი მედალიონის სახით. ვერცხლის ინკრუსტაციით შემკულია ხუფის მოძრავი ლერძი. ეს დეტალები უკანა მხარეს გადაღის და საპირისწამლეს ეკვრის ორი საღტის სახით.

მუზეუმში დაცულია მანაბა მაგომედოვის მიერ 1955-60 წლებში შესრულებული ვერცხლის მოსევადებული ლარნაკი ხილისა და ტკბილეულისათვის. ლარნაკი შედგება ფრიალა თეფშის, ირიზად გოფირებული სვეტის-მაგვარი ფეხისა და სადგამისაგან, რომელიც გადამობრუნებულ ლამაპს მოგვავიანებს. თე-

ფშის ჩუქურთმა რთულია, შექმნილია სულხან საბა ორბელიანის ივანე-არაკების მოტივების მიხედვით, დაშვენებულია სტილიზებული ფრინველების, აგრეთვე, შველ-ირმების გამოსახულებებით და მცენარულ-გეომეტრიული მოტივებით. თითოეული კომპოზიცია ჩასმულია ჩარჩოებში. ლარნაკის ცენტრში მრგვალ მედალიონს ამკობს ექვსფურცლოვანი როზეტი, სტილიზებული ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი. ფრიალა თეფშის ზურგის ჩუქურთმა ასევე შეიცავს სევადი შესრულებულ, სტილიზებულ მცენარეულ და გეომეტრიულ ორნამენტებს. სადგამიც ყვავილოვანი ორნამენტებითაა მოხუჭურთმებული. ლარნაკის ასეთი მიღრული გაფორმება მას საზეიმო იერს ანიჭებს.

სისადავითა და გემოვნებით გამოირჩევა 1960 წელს მარკვენ ქუთათელაძის მიერ შესრულებული, მრგვალოვანი ვერცხლით მოჭედილი ხის სალამური, იგი შეღებილია მოწითალო-მოყავისფრო საღებავით, ჩასმულია ვერცხლის პერანგში—ბუღეში, ქედურბობის ჩუქურთმა შეიცავს თოკისებური ორნამენტით გამოყვანილ ნაირნაირ სახეებს. სალამურის ვერცხლის პერანგზე, სატუჩესთან, გამოყვანილია ფანტასტიკური ფრინველის სახე. ასეთივე სახეები ამკობს სალამურის ნასვრეტების ორივე მხარეს. გარდა ფრინველთა სახეებისა, დაბლა ნაწილს ამკობს ორი ირმის გამოსახულება. სალამურის პერანგის ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია.

ასევე საინტერესოა ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ლარნაკი „სამაია“. ნითვის ზედა ნაწილი პირგადაშლილი ღრმა თეფშის მსგავსია, რომლის ნაპირები აუფრულ-კუწუ-






ბეზიანია. შუა ნაწილზე „სამაიას“ მოცეკვავე ქალთა ფიგურებია ქართულ ეროვნულ სამოსში. ლარნაკის ქვედა ნაწილი წარმოადგენს სადგამს, რომელიც შემკულია ყურძნის მტევნებითა და შეფთოლილი ვაზის ტოტებით. ნატიფად შესრულებული სადგამის ნაპირების აუტრული, ყვავილოვანი და გეომეტრიული მოტივები ავტორების დიდ გემოვნებაზე მეტყველებს. ეს შვეინერი ნივთი შეუქმნიათ ოსტატებს თ. თქეთუმანიძეს და დ. ფიცხალავას 1959 წელს.

გ. კვიციანიშვილის გვეთვინის ვერცხლით მოქედილი ყანწი, რომლის ზედა ნაწილი (სატუჩე) ჩასმულია ვერცხლის პერანგში. ნაპირს შემოუყვება რელიეფური ზოლი. ჰედღურობის ჩუქურთმა მდიდრული და რთულია. მთავორიანი პეიზაჟის ფონზე გამოსახულია ნაბად-წამოსხმული მეცხვარე ცხვრის ფართი, ფერდობზე ჩამომჯდარი ჭაბუკი სალამურით, იქვე ორი ქალიშვილი კალათებით, მათ წინ კი შველია, შორიახლოს — სიცოცხლის ხე და ჩარდახიანი ურემი გამოშვებული კამეჩებით. ცა მთლიანად მოსევადებულია.

ყანწის ქვედა ნაწილიც ასევე ჩასმულია ვერცხლის ბუდეში, მისი ჩუქურთმაც მდიდრულია — მოსევადებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. ყანწის ბოლოს ამკობს იხვის თავის მაგვარი გამოსახულება.

ამ წერილში მკითხველს მხოლოდ ზოგიერთი ნიმუში გავაცანით მუზეუმში დაცული იმ განმეულობიდან, რომელიც ასე მრავალფეროვნაია და მდიდარი ვერცხლისა და ვერცხლით მოქედილი მაღალმხატვრული და მაღალსოციალური ნაკეთობებით.



ფეხის ქვა, მოჩუქურთმებული ვერცხლი

საპირისწამლე

მასრები

სალამური

გობაკიანი ქამარი

ვერცხლის ლარნაკი, ავტორი — მ. მავო-მედოვა

კაუკტმანი და ახალი ქართული დრამა

ელენორა გვრიტიშვილი

ილია შამუგიაძის ქართული დრამატურგიის წიხისვლის აუცილებელ პირობად ევროპული და რუსული ლიტერატურის შესწავლა მიიჩნდა: „დაწინაურებული ევროპა, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჭავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურებს. ჩვენც, რასაკვირველია, ზემოწავნილ უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ“¹. მაგრამ „უცხო მწერლობის“ პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე არასოდეს მისულა მშობლიური ლიტერატურის უგულვებლყოფამდე და ამბობდა, რომ „ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს“².

აქ, წერეთელი, „სათატრო შენიშვნებში“, ლაპარაკობს რა ეროვნული დრამატურგიის შექმნის აუცილებლობაზე, მაინც არ უარყოფს უცხოური დრამატურგიის დიდ მნიშვნელობას ქართული დრამატურგიის განვითარების საქმეში. მისი თქმით: „მართალია, ზოგიერთ პიესებს, რომელნიც ყველა ეროვნებისათვის ერთნაირად საგულსხმოა, გვარდს ვერც ჩვენ ავუვლით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ხანდახან და არა ყოველთვის... ჩვენი

პიესები შეიძლება წყალ-წყალაც გამოდგეს და ვერ უტოლდებოდეს უცხოეთის პიესებს, მაგრამ რა ეუყოთ მერე? ვინ არ იცის, რომ შამუგიაძის ლენო სკოზია წყალს? მაგრამ თუ არჩევანზე შევარდება საქმე და ორივეს ერთად შოვნა არ შეიძლება და ერთსა და ერთ მათვანზე სამარადისოდ ხელის აღება საჭირო იქნება, წყალს მიეცემა უპირატესობა, როგორც აუცილებელ საჭიროებას. ჩვენი ცხოვრებიდან არა ხელოვნური დაწერილი პიესებიც, შედარებით „ურიცელ აქოსტასი“ და „ჰამლეტისა“, წყალა... მაგრამ რა ექნათ, უწყლოდ გაძლება არ შეგვიძლია... მართალია ბიორნსებმა, მეტერლინკებმა, იბსენებმა, ჰაუპტმანებმა და სხვთა სცენა მოიკავეს, მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა ბევრს ევოლუციურს ეუბნება ქართულ გრძობა-გონებას, რადგან იმათ ახალ პიესებზე ის ძველი ქართული, ანტონოვ ერისთავის ნაწერები უფრო ახლოს არიან“³.

ქართველი ხალხი, რომელიც ყოველთვის იყო კაცობრიობისათვის მტკივნეული პრობლემების კურსში, არასოდეს არ შემოზღუდულა და ურთიერთობა არ გაუწყვეტია მოწინავე კულტურის მატარებელ ევროპის ქვეყნებთან. XIX საუკუნეში ქართულ ლიტერატურაზე ისეთი გავლენა იქონია, რომ საგრძნობლად შეიცვალა მისი შინაარსი და ენის სტილიც მხარე. ჩვენი ლიტერატურის დაუღალავმა მკვლევარმა ალ. ხახანაშვილმა შესანიშნავად ჩამოაყალიბა ის მრავალგვარი გავლენა, რომელიც განიცადა ქართულმა ლიტერატურამ დასაბამიდან XX ს-ის დასაწყისამდე. „ეს გავლენა იყო სამი დიდი კულტურისა — ბიზანტიურის, არაბულის და სპარსულისა. ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ენა და ლიტერატურა იყო ამ გავლენის ქვეშ აღზრდილი. XIX საუკუნიდან საქართველო გარუსებულ ევროპული ცივილიზაციის ქვეშ აღმოჩნდა და ამ გავლენის ქვეშ იყო და არის დღემდე. ამიტომაც, დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის შინაარსი და გარემოება მთლად ერთიანად შეიცვალა. თუმცა, რასაკვირველია, ძველ კულტურათა გავლენა აგრე ადვილად მოსაპოვებელი არ იყო, მაგრამ ძველს უფრო ძლიერი ახალი მიემატა“. მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვიერებული მწერლობა ეხებოდა იმ მოვლენებს, რომელთა გამოკვლევასაც უნდებოდა ევროპული ლიტერატურა-ყოველ ერს შეეძლო ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან, — ამბობდა მარქსი. თითქმის კანონად არის მიღებული ის მოვლენა, რომ ერთი ერის ლიტერატურას გავლენა აქვს დანარჩენ ერთა ლიტერატურაზე. „უცხო ლიტერატურის უეჭველი და ცხადი გავლენის ქვეშ აღიზარდა მე-18 და მე-19 საუკუნის ლიტერატურა — რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი და თვით სიმბოლოზმიც კი. ამგვარსავე გავლენის ქვეშ აღიზარდა გერმანული, რუსული და თვით ქართული ლიტერატურაც“⁴. წერდა კ. აბაშიძე.

...ამიტომაც დიდი სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურის მიმბაძობის შესახებაც და არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ მიბაძვა იყოს მან-



ვენებელი ნაწარმოების უფარვისობისა, ახლა მისი ნაკლებუფენებისაა. მისივე შეხედულებით, „ჯერ ისეთი ვენიოსი არ შეუქმნია ცხოვრებას, რომლის ნაწარმოებშიც ასწი ერთი ნაწილი მაინც მიმბაძველობით არ იყოს შექმნილი. ყველა ვენიოსი მიმბაძველობით სარგებლობდა და თანაც ინიციატივას იჩენდა. ამგვარად მიდიოდა წინ კაცობრიობის აზრა“.

იგივე მოსაზრება შესანიშნავი მხატვრული ფორმით ჩამოაყალიბა ჯ. გამსახურდიამაც: „ჯერ არცერთი ოსტატი არ შობილა ამ ქვეყნად, რომელსაც რომელიმე სხვა ოსტატისაგან არ მიეღოს ზეგავლენა; მხოლოდ ორ-სამის ლიტერატურას ამ ეტყობა არავითარი ზეგავლენა, რადგან ასეთი მწერლები ის სპონტანურად იზრდებიან, როგორც მინდვრად ამოსული ღილო ან ლანძილი. რაც შეეხება ნამდვილ ოსტატებს, არასოდეს არავინ გამხდარა ოსტატი, ვისაც ჭეშმარიტ ოსტატის სახელსონიში არ შეუჭკერტია, ვინც რომელიმე ოსტატის შეგვირდით არასოდეს ყოფილა“.

ვერც XX საუკუნის ქართველი დრამატურგები ასცდებიან გავლენის ამ საყოველთაო კანონს და მათ ნაწარმოებებში შეინიშნება ის საერთო კვალი, რომელიც აჩნდა ახალი დრამის თითქმის ყველა ევროპულ თურს წარმომადგენელს.

გ. ჰაუპტმანის გავლენის კვალი უდავოდ ატყვია შ. დადიანის პირველ ორ პიესას „როს ნადიმობდნენ“ და „მღვიმეში“. ეს პიესები ითვლება ახალი ქართული დრამატურგიის პირველ ნაწარმოებებად და მათი გამოჩენა თვისობრივად ახალი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ამ ნაწარმოებებით შ. დადიანი მოგვეცინა ჰაუპტმანისა და გორკის შემოქმედებითი იდეების მიმდევრად. მაქ თავის პიესებში, პირველმა ქართულ დრამატურგიაში, დააყენა საკითხი კაპიტალიზმის სინამდვილისაგან შემობრკილი პიროვნების სულიერი და ფიზიკური განთავისუფლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პიესა „როს ნადიმობდნენ“ დაიწერა 1906 წელს ნოემბერში, სწორედ იმ პერიოდში, ძალაუფლება ქუთაისის სცენაზე ჰაუპტმანის „ფეიქრები“ აღაფრთოვანებდა რევოლუციურად განწყობილ მასებს მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გ. ჰაუპტმანის დრამის „ფეიქრებთან“ დაპირისპირებით ჩვენ შევეცდებით საილუსტრაციო მასალის მოტანით ვუჩვენოთ შესებვის წერტილები, რომელშიც ის საერთო და განსახვავებელი ნიშნები, რომელსაც ადგილი აქვს შ. დადიანის პიესაში „როს ნადიმობდნენ“. მოქმედება ხდება თავადის სასახლეში, რომელიც ცხოვრებას განცდილობსა და მხიარულებაში ატარებს. მის ხელთაა სიმდიდრე, ძალაუფლება და თვით სიკეთულობა. თავადს თავისი გლეხები ყურმოჭრილ მონებად გადაუქცევია. თუმცა ისინი უტყვი და მორჩილი არსებები არიან, მაგრამ მაინც შეირჩინათ ცხოვრების უნარი და სწრაფვა ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრებისაკენ. შ. დადიანის მიერ შექმნილი თავადის ტიპი არის ახალი ყაიდის ლიბერალური თავადნაწარმოების წარმომადგენლის განსახიერება. იგი უფრო ფარისეველი, მოქნილი და ევრაგია. ლაპარაკობს ხალხზე, თანაგრძობაზე, სათანოებაზე, ადამიანობაზე, მაგრამ ყვე-

ლაფერი ეს მხოლოდ ეშმაკური ხრიკები და მოჩვენებითი ზრუნველობაა, რათა უფრო მოხერხებულად გამოეყენოს ყაოს ხალხი.

შ. დადიანის მიერ დახატული თავადი ძალიან ჰკავს ჰაუპტმანის დრამის „ფეიქრების“ გმირს კაპიტალისტ-ფაბრიკანტ დრასიგერს. თავადისა და გლეხების დამოკიდებულების ხასიათი გვაკონტრასტებს დრასიგერსა და ფეიქრების დამოკიდებულებას. დიდი მსგავსება აგრეთვე თავადის მოხუც მსახურსა და დრასიგერის თანაშემწე პედიფერს შორისაც. ერთი ყოფილი ყმა, მეორე — ყოფილი ფეიქარი. ორივე მოქცეულობითა და გაიმყვინებით უკეთეს ეკონომიურ მდგომარეობას მიაღწია და ახლა ზიზღითა და ქედმაღლობით დასცქერიან თავიანთ ყოფილ თანამომებებს: „ხედავთ ამ გველის წიწილს რაებს ლაპარაკობს... მამ ეგერ, შე გლეხუჭავ შენა, არ მოგვწონს სასახლეში ბატონიან ცხოვრებას... გიყნობთ ყველას! ჩემთან წელში ძალიან იხრებთ, მაგრამ გულში კი ვინ იცის რას არ ფიქრობთ... მეც გეუბნები ვარ, მაგრამ თქვენზე უფრო შეგნებულა... მე ვიცი, რაყა ჩემი ხედრი... სად წახვალთ, სად? უბატონოთ როგორ შეგიძლიანთ ცხოვრება. ის ვაგმევთ და ვასმევთ, ვაცემთ და ვაგურავთ... სულ მუხლის კვირისტაყები უნდა დაიტყაოთ და ისე ფროთხები ემთხვიოთ ბატონს ახალუხის კალთაზე და ფეხის გულზე, რომ კაცთა გამოვიყვანათ, თავის შინა-ყმათ ვაგზავნო“. ასე მსჯელობს შ. დადიანის დრამის გმირი — მოხუცი მსახური. ანალოგიურად ჰკიცხავს ჰაუპტმანის პედიფერიც ფეიქრებს: „რაღი ფეიქარი არ ამთნარებს ძაფის კოკზე გადახვევის დროს. ვითომ თქვენც ფეიქრები ხართ! ჩემს დროს სხვა იყო. ჩემი ოსტატი მანევენდა მე სიერს. მაშინ სულ სხვა მოთხოვნილებები იყვნენ. ფეიქარს თავისი საქმე უნდა სცოდნოდა... ვინც ზარბაჯი არ არის, თავისი საქმე იცის და ლტობს მოკრძალება აქვს, მას არ სჭირდება წინასწარ ფელის აღება. კმარა ლაპარაკი! თუ ხელს არ გაძლევთ — მხოლოდ თქვით. ფეიქრები საკმაოდ გვეყავს და განსაკუთრებით ისეთები, როგორც თქვენა ხართ. არ გინდათ და ნულარ წაიღებთ მასალას. ხალხი სამუშაოს საშუალებულად ფეხებში ვეგებლანდება“.

ამ ორი დრამის ურთიერთმსგავსებად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ორივე შემთხვევაში მუშა, როგორც აჯანყების ინიციატორი და თავისი უფლებების დამცველი, ნადიმის დროს ჩნდება, ორივე პიესის მუშა ძალიან ჰკავს ერთმანეთს როგორც ფიზიკური გარკვეობით, ისე ეთიკითმობიერებულ, გარკვეული პერსპექტივების და მიზნების მქონე მებრძოლი ბუნებით. შ. დადიანის მუშა შემდგენიარად მსჯელობს: „საით ვარბიხარ, აქ იყავ ჩემთან, გვერდს ამოიძიდევ... ეს სანადიმო საყოველთაო ჩვენი შექმნილა. ჩვენი ნადიმობდა. შენ მოუტანე ეს პური, ეს ლინიო შენი ხელის მონაწევირა და მე კი მოვქსოვე ეს ფარჩა, ეს ხავერი, მე მოვაჩუქურთმე ეს დარბაზი ჩემის ხელებით. ჩვენ ორივემ ჩვენი ჭაფთა და შრომით შევიცინე მათ ეს ალაღილება და ყველა ამას მხოლოდ ეგენი მოსხდობიან, ეგენი ნადიმობენ, ჩვენ კი? აი ასე, გარედან შევცქერიოთ და შიშშილით სული ვგვხვდება, სიცოცხლე გული ვე-



ყინება, ჯავისაგან სხეული გვეშლება. შევიკერიტო შო-
რიდან და მისვლიაკ ვი ვერ გავვიბედნი. შენ... ერთი
შემოგაცანხანს და ქედმოდრეკილი ვარბიხარ. არა,
ძმოო, კმარა რაც ჩვენი ხელით მოგვიწევია, რაც ჩვენ
გვეკეთებია, ის ჩვენი უნდა იყოს... კმარა რაც ინადი-
მეთ. ახლა დადგა დრო, ჩვენ მოვედით უკვე შეგნებულ-
ნი და მოვითხოვთ ჩვენს სუფარს. ჩვენს უკან ლაშქარ-
ია. ვამბოდარი, ვაძვალტყავებულო, თქვენგან ცხოვრე-
ბაში ვაჩუქებო, დამწერებო და... ამ ნადიმს მოკლე-
ბული ლაშქარი... მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს
იმას, რაც სამართლით მას ეკუთვნის.“

თითქმის იგივე ამბობს ჰაუტმანის მუშა ეგერიც:
„ასე ვაგრძელება აღარ შეიძლება.. ქალაქში ძალე-
ბი უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე თქვენ. მდიდრებს შე-
უძლიათ ყველაფერი თავინათ სასარგებლოდ შემოაბ-
რუნდონ... უკანასკნელ პერანგს ვაგაძიობენ. ის მათ კარ-
გად ეხერხებათ. ჩვენ რაში გვეპირდება ხორცი? ეს საკ-
მელი ფაბრიკანტებისათვის არის განკუთვნილი. მათ
ქონი უკვე ყველამ ამოსლით... აბა ნახეთ მათი სასა-
ხელები, ჰაუტმანიანი კომპეები, რკინის ლოხები. იქ ვა-
გონებთაც არ ვაუგონათ ვაპირებებზე. იქ საკმაოდ
აქვთ შემწვარი და მოხრატული... როგორ დღუნა! მე
ზრდილობიანი კაცი ვარ, მაგრამ თუ მოთმინებიდან ვა-
მოვედი ისე ვაცოფდები, რომ ერთ ხელს დრასიგერს
წვაავლებ, მეორეს დიტრბის და ისე მივახლებენებ თა-
ვებს ერთმანეთზე, რომ თვალმოდან ნავაჭრელები წა-
მოსცივენათ. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვეპირდება —
მტკიცედ ამოუდგდეთ მხარში ერთმანეთის და ფაბრი-
კანტებს შავი დღე ვაყარათ. არც მეფე გვეპირდება და
არც ხელისუფლება. როცა მიხვდებიან, რომ მხარებზე
თავი ვადავას, მაშინვე უკან დაიხევენ, ვიცნობ მაგ ვა-
ნიერებს, მშობრა კაცუნებს, ჩვენ მოუწყობთ მათ
დღესასწაულს! ყველაფერი უნდა დაინგრეს, სასწრა-
ფოდ! მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! რაც იქნება იქ-
ნება!“...

თუმცა გ. ჰაუტმანის და შ. დადიანის მუშები ერთ-
მანირად მტკიცელებენ, მაგრამ დადიანის მუშის კლა-
სობრივი თვითშეგნება უფრო ჩამოყალიბებულია და
მან უკეთ იცის, როგორ იმოქმედოს თავისი ცხოვრების
გასულმჯობესებლად. ვარდა ამისა, იგი გულხესა ხელ-
მძანებლობს და ვადაწყვეტილ მოქმედებისაგან მოუწყო-
ბებს. შ. დადიანის დიდ დამსახურებად ითვლება მუშა-
თა კლასისა და ღარიბი გლეხების ინტერესთა ერთი-
ანობის სწორად ვაზრება და ამ დღის! ხალხში და-
ნერგვის ცდა. პოესა „როს ნადიმობდნენ“ არის ერთ-ერთი
პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები, რომ-
ელიმუც ვარკვევით და ხელშესახებადაა ვამოთქმული
მუშებისა და გლეხების კავშირის აუცილებლობა.

ერთნაირი შეხედულება აქვთ იმკვენიერ ნეტარ
ცხოვრებაზე დადიანის ეკლესიის მსახურსა და „ფიქ-
ვების“ პერსონაჟს მოხუც პილქსს. „შვილო, ღვთის სა-
წყენ საქმეში ნუ ვაგრევიო. თუ გინდათ რომ საიქონის
საუკუნო ნეტარება და ვანსვენება მოგენიოსთ... აი,
შენ ხომ სწუხარ ამ ქვეყნობრი ცხოვრებით, შენს ბედს
ემღობები, ვტყავბა. დიდი ვარჯ მუქსა, იცოდ, შვი-
ლო, აქაური ტანჯავაწყალბა იქ ნეტარებით და ვანსვე-
ნებით შეგეცვლება, იღონდ ღვთის საწყენს ნურას ჩა-

იღენ.“ — არიგებს გლეხს შ. დადიანის პერსონაჟი. ჰა-
უტმანის მოხუცი ფეიქარი, ღვთის მოშობის მოთხოვნა
ჩილი პილქსზე, რომელიც არ მონაწილეობს ფიქტურების
აჯანყებაში, თავის შვილსაც დაახლოებით ასე არწმუ-
ნებს.

გ. ჰაუტმანის „ჩაბირული ზარის“ გმირის პანირი-
ხის რეზიმისცენებებს იწვევს შ. დადიანის ალეგორი-
ულ-სიმბოლური პოესის „მოვიმში“ პერსონაჟი ზენი-
სი (დაიბუტდა 1910 წელს). საზოგადოებრივი ნორმები-
საგან აბსოლუტურად თავისუფალი პიროვნების ქალ-
ვებად ვარკვევით ვაგუნა იქონია შ. დადიანზეც. მისი
ზეკაციური იდეით ვატყვება თავისებური რუკები იყო
მხაგვრელი სოციალური ფაქტორების წინააღმდეგ. ზე-
ნისის მსჯელობაში აშკარად შეინიშნება პანირიხის სიტ-
ყეების გამოძახილი. მისმა სულერმა ვანიერთაგან და
ცნობიერებად წინ ვაუსწრო საზოგადოებრივ აზრს და
ჩვეულებრივი მოკვადეების აღარ ესმოდა: „ძველებუ-
რად სიციცხლ აღარა მხიბლავს. იქ, მაალა რომ ვი-
დებ, სულ ზეცისკენ მიისწრაფვოდა, ნათლ სივრცე-
ში სუფროდა ყოფნა, მთისა და ზეცის ძალთა დანმა-
რებით დიდთა ქმნილებათა შემოქმედებასა ჰლამბი-
ნებს“, — ამბობს პანირიხი. ასევე ზეცისკენ მიისწრაფვის
ზენისაც: „მინდა ავმაღლდე, სულ ზეით-ზეით ვიწვიო,
რომ ცას ვკრა კამარა, რომ თავისუფლად ფრთები ვაგე-
შოლო და მუნ ირას დუშულათ ვიწყო ნაჯარდი...
როგორც პანირიხი, რადგანაც ვიცი, რა მწადის, რის
შემძლევა ვარო.“

ისევე, როგორც ჰაუტმანთან, შ. დადიანთანც ზე-
ციკე არ არის სრულქმნილი ტიპი, იგი არაწასნალი და
მიუღებელი ადამიანია და სწორედ ამიტომ იღებება
კიდევ. ზენისი და პანირიხი არიან უმიედრო ზედაშია-
ნური მისწრაფებთა მამხლებელი და უარყოფელი
ადამიანები.

როგორც ცნობილია, შ. დადიანმა თარგმნა გ. ჰაუ-
ტმანის ღრამა „მუხის ამოსვლის წინ“, რომელშიც ალ-
ფრედ ლორე, ჰელენე კრაუტსანად საუბრისას, იბენს
და ზოლს ექიმები უწოდებს: „მე ლიტერატურისაგან
ანკარა, ვამაცოცხლებელ სასმელს მოვიტხოვ. მე ავად
არა ვარ. რასაც ზოლა და იბენე ვაწვედიან, წამა-
ლოა“-ო. შ. დადიანის ზენისი იქ ამბობს: „საქმე ავად-
მყოფების ვამოცნობა იქ არ არის, საქმე წამლობა!
მზე წამალი იქ არ არის, ექიმია“.

ალეგორიულ-სიმბოლური ხერხს ქართულ ლიტერატუ-
რაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ძველ
ლიტერატურაში ხმარებული ალეგორიის რელიგიურ-მის-
ტიკური ხასიათისგან განსხვავებით შ. დადიანის ალეგო-
რია რევილუციურ-რეალისტურია. იგი თანამედროვე-
ების რეალურ ყოფას, ცხოვრების კონკრეტულ სინამდვი-
ლეს ასახავს და მისი პროგრესული, რევილუციურ-დემ-
ოკრატული ვაზრებით ხასიათდება. შ. დადიანის ალე-
გორია და სიმბოლურობა, რომელსაც არაფერი სავერ-
თი არა აქვს დეკადენტურ სიმბოლუკასთან, დიდი რო-
გინალობით, შინაარსობრივი სიმდიდრით, სოციალური
პრობლემატიკით და ფილოსოფიურ, სიღრმით ხასიათ-
დება.

ამრიგად, განხილული პოესების საფუძველზე ჩვენ
უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გერმანულ ღრამატურას


გარკვეული გავლენა მოუხდენია შ. დადიანის ადრეულ პეისეზე, მაგრამ როგორი ფორმითაც არ უნდა აღექვა შ. დადიანს ვ. ჰაუტემანის იდეოლოგია, ზღაპრის განყენებული ალეგორიის ფორმით თუ საყოფაცხოვრებო წერილმანების გაძლიერებული ცხოვრებისეული კონკრეტულობით, თითოეულ ამ პეისას მაინც ახასიათებს სინამდვილიდან აღებული ფაქტების გახსნისადმი ახლებური მიდგომის გარკვეული პრინციპი.

ზენისსაც, ჰაინრიხსავე, ხალხისთვის სიკეთე უნდა, მაგრამ არა სწამს მისი, სძულს ბრბო და მისი უფუნრუება, რომელიც „ჭერ თავს კარგა მოგაწველინებს, შემდეგ წიხლს გვრავს და როგორც შენთვის, ისე თავისთვისაც დაღერის ნაამაგარს... ჯერ თვით ხალხი უნდა ამაღლდეს იმ მწვერვალამდე, საცა სრული შეგნებაა თავის თავისა, საცა არც შური, არც სიძულვილი და მთავან გამოძაგავალი ათასგვარი მოხერხებულობა, თვალთმაქცობა არ არსებობს, არამედ არის კაცი სხეულითაც და სულიერათაც სრული თავისუფალი და დამოუკიდებელი... კიდევ იმიტომ მძულს ბრბო, რომ მან გაუსინჯავე იცის თაყვანისცემა. მან იცის, რომ მე განსხვავებული გზით მავალი კაცი ვარ... ყოველივე თავისებურს, ყოველივე განსხვავებულს ხალხი ეკრძალება, პატივით ეპყრობა. მაგრამ აბა მოხდეს ის, რომ ძალიან მკაცრათ გამოეყოს ხალხის ნდომას იმ განსხვავებულის ლტოლვილება; ნახავ ხალხი, ბრბო რას მოიმოქმედებს — თავის ხელით ჩაქოლავს მას...“ ზენისის ეს სიტყვები ძალიან უახლოვდება ჰაინრიხის მსჯელობას, როდესაც პასტორი აფრთხილებს ჰაინრიხს, რომ განრისხებული ბრბო შენს სახელოსნოს დაღუწავს: „მოწყურებულთან რომ თასით ცივი წყალი მიმიჭინდეს, მაგრამ მან უცხად გამომატაცოს და დაღვევის მაგივრად დაღვარის და მწყურვალი მოკვდეს, მითხარიო, მის უფუნრუ სიკვდილში მე ვიქნები, განა, დამნაშავე? თვითონვე სწავდება, მამ, ესა და დეე, მისი ბედიც ეს იყოს. მეც სწორედ ასევე მიმიჭინდა მოწყურვალ ბრბოსათვის ცხოველი წყალი აღსადგინებლად. დეე, დამეცეს ეს ბრბო და ძვირფასი თასი გასტეხოს, დეე, უფუნრუების სიბნელემ დაჩრდილოს ისევე უცხო ნათელი ზეცისა, მე მაინც სულით არ შეკყოფიბი“.

გ. ჰაუტემანის გავლენის კვალი შეინიშნება, აგრეთვე, სანტორო შანშაიშვილის პირველ პეისებში. ესენია: „შეგბის თავადი“ და „ბერდო ზმანია“.

„შეგბის თავადი“ არის პირველი დასრულებული დრამატული პოემა, რომელმაც ს. შანშაიშვილს ნიჭიერი დრამატურგის სახელი მოუხვეჭა. იგი დაიბეჭდა 1910 წელს. ამ პოესამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა და იგი არაერთხელ ყოფილა შესვლა-შემოხლის მიზეზი. მის შესახებ დაიწერა მრავალი ურიდერთსაწინააღმდეგო წერილი და კიდევ უფრო მეტი და აზრი გამოითქვა. რეაქციით გამოწვეული რღვევისა და დეკემბრის ხანაში, დეკადენტური ლიტერატურის ზეგავლენით ქართულ მწერლობაში დეზი მოვიდა აბსტრაქტულ-ირაკონანტურ-მა სახეებმა და სიმბოლისტურმა თემებამდე. პოესაში „შეგბის თავადი“ აშკარად მოჩანს ევროპული სიმბოლისმის რემინისცენციები.

ს. შანშაიშვილის პოესა „შეგბის თავადი“ აღსავსეა რთული სიმბოლური სახეებით. მასში მოქმედებენ არა



სცენა სპეტაკლიდან „მშის ჩასვლის წინ“.

მარტო ადამიანები, არამედ ისეთი განყენებული ცნებები და აბსტრაქტული მოვლენები, როგორცაა სიკვდილი, „შეშოლი, ავადმყოფობა და სხვ. სწორედ ამიტომაც არ დგას ამ დრამაში მხატვრული ხასიათების პრობლემა. „შეგბის თავადი“ წინ უძღვის პროლოგი, რომელსაც ახალი კერბი ეწოდება. ახალ კერბში ავტორმა სიმბოლურად გამოხატა კაცობრიობის მხსნელი; აღსანიშნავის სიკეთისა და ბედნიერების მომტანი შეუცნობი სუბსტრატე, რომელმაც უნდა დაამკვიდროს ამქვეყნად სიკეთე და სათანოება. ს. შანშაიშვილის აზრით, „ახალი კერბის „ხედრებულ ტაძარს“ მხოლოდ რჩეულნი თუ მიაგებენ, მრავალთათვის კი იგი სამარადისოდ დარჩება მიუწვდომელი. ბრბო ვერ მიხვდება მის სიღაღეს რაზომ დღეობს იყოს მდომელი“. ამვე პროლოგში თავი იჩინა ცხოვრებისაგან პროტესტანტული განდგომისა და ირაციონალურ სამყაროში ვადავარდნის ტენდენციამ. ისევე, როგორც ჰაუტემანის „ჩაიბნეული ზარის“ პერსონაჟის ჰაინრიხის იდეალური ზარის ჩამოსხმის სურვილი სიმბოლურად გამოხატავს კაცობრიობის მიერ ბედნიერების ძიებას, ასეთვე ძიებითაა შთაფრთხილებული ს. შანშაიშვილის პოესის „შეგბის თავადის“ მთავარი მოქმედი პირის ამოს სწრაფვაც. „ჯედავ, რომ განვიკურნე, და განვხლდი. ვცაბნობ, სული როგორა ჰპარობს და ტბებმა; ვგრაბნობ ძლიერ განახლებას, თითქოვა გაზაფხულის სიო მებრავდეს. მა-



ჯამი რეინის ძალა მაქვს: ქორივით ბრჭყალებს ძლიერად ვლო, ძლიერად ვბოჟავ. შემოქმედების სურვილად ვართ მალად გადაქცევორ. განვიზრახე დიდებულ რამ შევექმნა, რის მსგავსიც ჯერად არ შემეძქმნია! დე, მომკლან, მე მაინც სულით არ შევეკრებები, რადგანაც, ვიცი რა მწადის, რის შემძლევა ვარ! — ამბობს ჰაინრიხი. დაახლოებით ასეთივეა ამოს თვითდასახიფთავაც: „მე ვარ ზეკაიო, ჩემში ღვივის მშვენიერება... ძეგლი აღვივო და ეს ძეგლი თვით ზეკას სწვდება, გაეცილოდ საზღვარს, გადავუხვიე ვას ბორბოტის, ბნელი დავთრგუნე, შევექმენ ბალი სრულ ნეტარების. ახალ სიცოცხლეს სანეტაროს ვბადებ სიკვდილით, მაღალსა მცნებას გულს აღვუბრავ ნელის

იქ, იმ ჰაობში შხამ-გესლით ქვემძრომი გვერდობის...
სრიალებს;
სიმრუმე-გაიძვერობის მხუთავი სუნი ტრიალებს.
იქ ის იმარჯვებს, ვინც მარად ავკაცობითა მეტია...
ნუ გინდა იგი, ნურც ემებ ფუქსა დიდებებს წარმაველს.
მომენდე, გადავაფრინო სულ სხვა სამყაროს აღსაგლებს,
მე ჩემს სამეფოს მიგვიწვევ, გქიადი უკვდავ დიდებებს!
ქვესოფლის ნურას ესწრაფვი, ამაოდ გადაიქედებას!
ანებ! სრულგყაფ ბუნებით, ზეფარსად გავაცისკროვნებ...
ამავე შინარსის სიტყვეებს ეუბნება ნიკელმანი რა-
უტენდელაინს „ჩაძირულ ზართან“: „დასტოვე, ჩემო კარგო, ეგ ფუცი ოცნება გარწმუნებ, შენის იქ წასვლით ძალთა თავს ზაფანგში გაიბამ. იქ ბენლსა და ბურუსში უნდა იცხოვრო; იქ მხოლოდ ტირილს ისწვლი, გაიციოდ მათი მწუხარება და ნაღველი რა არის. იქ ბაიროკლს დაგაუფნდა და უნებურათ მათი სამარადისო წყევლა-კრულვა უნდა გაიზიარო! ...დეე, კაცთ სამეფოსკენ ისევ დამინებულმა წყაროებმა იდინონ... ყური დამიგდე... იცი რა მშვენიერი მტრელის ფერი ბროლის გვირგვინი მაქვს? თავზე დავადგამ. ოქროს სასახლეში გაცხოვრებ“.

თქვენ სხეულს მოჰკლავთ, სული ცოცხლობს მარად უკვდავი

ზეკა მომხმობს და მომელის სხვა მომავალში...
ჰაინრიხისა და ამოს ამ სიტყვებში კრიტიკოსები ნიც-შეანიზმის ქადაგებას ხედავდნენ, რაც ორივე შემთხვევაში, უჩენის აზრით, უხეში შეცდომაა. მართალია, ორივე ავტორი „ძლიერი გმირით“ არის გატაცებული, რომელიც შეძრავს დამაყაებელ ქვეყანას, გარდაქმნის იმდროინდელ სოციალურ წყობას და ხალხს ბედნიერებას დაუმიკიდრებს. მაგრამ ასეთი გმირის გაიგივება ნიცშეს კაცთმოძულე თეორიასთან, ნიცშეს ზეკათან, უღირვსად მცდარია. ჰაინრიხსა და ამოს პირობითად შეიძლება უფუროდ „ზეკაიო“. ს. შანშაიშვილიც ამ პოემაში, პაუტტმანის მსგავსად, ნიცშეს იდეების მქადაგებულად კი არ გამოდის, არამედ მის მოწინააღმდეგედ, მის იდეურ უარისყოფლად, რომელიც აღებულ თემას ნიცშეს თეორიის საწინააღმდეგოდ ამუშავებს და სრულად განსწავებულ იდეურ გადაწყვეტასა და საწინააღმდეგო ელერაობას აძლევს.

ცოგად და რაუტენდელაინი ყოველთვის ცდილობენ ამო და ჰაინრიხის თაიანითან დარჩენაზე დითანხმონ და ტრფობის ბადეში ვახვიონ. გაკვირების დროს ცოგვი ამოს შეშუქდ თავის ამალას ატანს, რაუტენდელაინი კი ჭაჭებასა და კლდინებას, წყლის სულს მოუხმობს ჰაინრიხის საშველად. ცოგას შავი დევი მოიტაცებს, რაუტენდელაინი კი ჯოჯო ნიკელმანის საყუთრება ხდება. მოუხედავად იმ მრავალი საერთოსი, რაც ამ ორ ნაწარმოებში შორის შეიძლება მოიძებნას, დრამა „შეების თავილი“ მაინც ორიგინალური და მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მელოდიური ლექსი, სახეთა სიმღერა, პოემის ფილოსოფიური სიღრმე, მოხდენილი და სხარტად დახასიათებანი, სტილის სისადავო და ხალხური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებით უნარიანი სარგებლობა ამ ნაწარმოებს არა მარტო ქართული დრამატურგის, არამედ ქართული პოეტური კულტურის მეტად საყურადღებო ნიმუშად ხდის.

კარის მისხარა კილივა ისევე სეკეტურებად უყუარებს ამოს ცდებს, როგორც „ჩაძირული ზარის“ წყლის სული ნიკელმანი ჰაინრიხის აღფრთოვანებას. პირჯლი ასე მიმართავს ამოს: „გვონია ხალხი გარდაქმენ? — გული შვია ვისითა; წუთხისა წყლითა სულს ითქვამს და საქითი მარად მქისითა“. ნიკელმანი კი ჰაინრიხის ეუბნება: „შენ იმ წყეულ მოღმას ეკუთვნი, შიგ გულშივე სნეულ, თვითონვე რომ ღუპავს თავის ფესკს, ვით სარდაფში ღლიო გამოსული კარტოფილი, რომელიც ელ უშვერს სინათლს თვის, ძაბურ მკლავებს, რომ შუე, თავისი დედა-შობელი, არ უნახავს“ ამო და ჰაინრიხი, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობებისა, მტკიცედ დგანან თაიანი ნაწარმავაზე. ერთი მიიწვევს „ბროლის კოშკისაკენ“, სადაც ბინადრე 25 ცოგვი, მშის ასული და დედოფალი მშვენიერებისა, ჰეორო კი — მთებში, — თავის იდეალად, რაუტენდელაინთან. ცოგავც რაუტენდელაინის მსგავსად წინააღმდეგობას აძლევს ამოს თავი დაანებოს მომავლად ადამიანებს, დაიფწყის ხალხზე ზრუნვა და მშის ასულს გაჰყვებს მარადიულ მეგობრად მშის სამეფოში:

„რა ამოს შენი გვირგვინი, მოძღენილა მონათხელითა!
ახლოს გამყოფებს ჰაობთან, გემუქრის ხმლითა მჭრელითა!

„რა ამოს შენი გვირგვინი, მოძღენილა მონათხელითა!
ახლოს გამყოფებს ჰაობთან, გემუქრის ხმლითა მჭრელითა!

ს. შანშაიშვილი პაუტტმანის იდეურ ხაზს უახლოვდება თავის ალგორითულ-სიმბოლურ დრამაში „ბერილი ზმანია“. ეს ნაწარმოები ახლოს დგას ც. პაუტტმანის „ჩაძირულ ზართან“ და პიესასთან „პიპა კი ცეკვავს“. დაკვირვებული თვლი ამ ნაწარმოებებს შორის ბევრს საერთოს შენიშნავს. ბერლი ზმანია მისდევს ციხის (ამაღლებულ იდეალისა და ზექვენიერი ტტოპოსის ალგორიის), რომელიც გაურბის და სულ უფრო და უფრო შორდება მას ნაწი ცეკვით. ეს მომენტე შეიძლება შევადაროთ პაუტტმანის სიმბოლურ პიესას „პიპა კი ცეკვავს“, სადაც პოეტე მიხელი განუწყვეტლებო მისდევს თავის იდეალს პიპას, რომელიც ასევე ცეკვით სწორედ მაშინ დეკარგება, როცა მიხელს ჰკონია ვიპოვეო. ეს პიესა უახლოვდება პაუტტმანის „ჩაძირულ ზარსაც“ იმ

მიმართებაში, რომ ბერდოსა და ჰაინრიხის მისწრაფებათა კრახი და სურვილების ილუზორულობა, ესა ინდივიდუალური სწრაფვის კრახი, ინდივიდუალისტური ცხოვრების ამოების ცხადყოფა. ამ ნაწარმოებებში ორივე მწერალი ევაჭრება ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის, მათი ცხოვრების მიზნისა და მოწოდების მარადიულ პრობლემას. ორივე ნაწარმოები სიმბოლისტური დრამისათვის დამახასიათებელ იდეურ-მხატვრულ ცთომილებასთან ერთად შეიცავენ უაღრესად მნიშვნელოვან „რაციონალურ მარცვალს“, რომელიც მდგომარეობს ადამიანისათვის მაღალი ჰუმანური თვისებების აუცილებლობის ქადაგებაში.

ჰაინრიხსა და ბერდოსაც, რომელთაც ეგონათ რომ „სძლეოდნენ ყოველგვარ დაბრკოლებებს“ და „იხილავენ თავიანთ სურვილს დაგვიგვიწინებულს“, ხელში შერჩათ „მოქანცული გული, გონება და მწუხარებით დაფუთილი სულის ოცნება“. დაბოლოს, ამ ნაწარმოებთა საერთოდ ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიუხედავად სიმბოლისტური დრამის თეორიისა და პრაქტიკის ზოგერთი ნიშნის ერთგულებისა, ეს ნაწარმოებები ვერ შეფასდებიან დეკადენტურ-სიმბოლისტურ ნაწარმოებებად. ამ პიესების იდეურ მიზანდასახულობაში გაცილებით მეტია განსხვავება სიმბოლისტური დრამის „წმინდა წყლის“ ნიმუშებისაგან, ვიდრე მათთან სიახლოვე.

გერპარტ ჰაუტმანთან იდეური ნათესაობა შეინიშნება, აგრეთვე, პოლიკარპე კაკაბაძის პირველ დრამებში: „სამი ასული“ და „გათენების წინ“. ალგორითულ-სიმბოლურ პიესაში „სამი ასული“ იგრძნობა ჰაუტმანის, იბსენისა და მეტერლინკის ერთგვარი გავლენა, თუმცა ეს გავლენა, ძირითადად, დრამატურგიული ფორმის სფეროთი ისახლება, რაც გამოიხატება მოქმედ პირობა ინერტულობაში და უმოქმედობაში, ფსიქოლოგიკში, შიშისა და დუმილის სიუჟეტურ გამოყენებაში. მსოფლმხედველობრივად კი პ. კაკაბაძე სულ სხვა საფუძველზე დგას და მისი პიესაც იდეურ-შინაარსობრივად დიამეტრულად ეწინააღმდეგება სიმბოლისტური დრამის იდეურ კონცეფციებს. „სამი ასული“ დრამატურგმა მოგვცა სიმბოლური სურათი მსგეისი გამოღვივებისა.

რაც შეეხება პიესას „გათენების წინ“, იგი დაწერილია ჰაუტმანის „ჰანელუს“ სტილში. ისევე, როგორც მომავლად ჰანელუს ელანდება ყველა ის საყვარელი თუ საქულველი ადამიანი, რომლებთანაც სიცოცხლეში რაიმე ურთიერთობა ჰქონდა, ასევე, პ. კაკაბაძის პიესის გმირს ანდრიასაც სიკვდილის წინ ელანდება თავისი მეგობრები და მტრები, ანგლოზები და ბედისმწერალი. ანგლოზები ორივე პიესაში თითქმის ერთნაირად პირდებიან ჰანელუსა და ანდრიას იმქვეყნიურ ნეტარ ცხოვრებას და ისინიც სიხარულით ეგებებიან სიკვდილს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდი გერმანელი მწერლის გავლენა ქართველ დრამატურგებზე ოდნავადც ვერ ასუსტებს მათი ნაწარმოებების ღირსებას. ა. დლიანის, ს. შანშიაშვილის და პ. კაკაბაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთ პირველ ნაწარმოებებში თავი გამოავლინეს როგორც საკუთარი ხმისა და ძალის დრამატურგებმა.

მალაქი და მანქანა

იური პლაშკინი

სხმადასხმა ტიპისა და სახის მრავალფეროვანი ავტობიოგრაფია, აგრეთვე, მრავალსართულიან გარე-სადგომო ექსპლიკაციის გამოვლენისა და პრაქტიკის ანალიზისა სპეციალისტებს შესაძლებლობა მისცა დაედგინათ, რომ ავტობიოგრაფიული უპირატესობა აქედნე სადგომებს, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებენ: 1. მოთავსებული არიან დაზურულ შენობებში; 2. საკმარისი რაოდენობით აქვთ თავისუფალი ადგილები; 3. გარანტირებულია სადგომებზე მანქანების ხელშეუხებლობა; 4. ავტომფლობელები მანქანის დაყენებისათვის იხდიან მცირე საფასურს და ამ საფასურის გამოთვლილია, მარტივი წესით ზორციელდება; 5. მანქანის დასაყენებელ ნაგებობას უნდა ჰქონდეს რაიონის საგზაო ქსელში ჩასართყვად

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 2, 1981 წ.

მოხერხებული მდგომარეობა და მასში შესვლა და იქიდან გამოსვლა მცირე დროში უნდა ხერხდებოდეს; 6. შენაბა ადვილად უნდა იყოს კარგი სავეტილატიო აპარატების 7. შენაბაში სისუფთავე უნდა იყოს დაკული; 8. ნაგებობა მომზადდება უნდა გამოიყურებოდეს, მისი ტიპობრივი კეთილმოწყობილი უნდა იყოს.

ეს პუნქტები მხოლოდ გეგმარეზონებზე საქმის ორგანიზაციის რომელიც მოხერხებულ უნდა გათვალისწინებული უნდა იქნას, მაგარა, ზუნებრივია, ისინი არ გვიყვებიან საქმის ორგანიზაციის სათანადო დონის მიღწევის გზებს. თანამედროვე დროებითი ავტოსადგომებისა და წყანებულნი მნიშვნელოვანი მოთხოვნები, უწინარეს უფლისა, უნდა დადგინდეს იმ გარე-სადგომების ექსპლუატაციის თავისებურებათა ანალიზით, რომლებიც ხასიათდება დაყენებულ მანქანათა მაღალი ბრუნვაობით, ეს კი დამახასიათებელია უმეტესად ქალაქის ცენტრალურ რაიონებში განლაგებული ობიექტებისათვის.

მრავალსართულიანი გარაკებისა და მრავალსართულიანი ავტოსადგომების საქსპლუატაციო დახასიათებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმე და დიდი მოცულობის აგვარ ნაგებობათა ქსელი უნდა ითვალისწინებდეს მსუბუქი ავტობუსების ობიექტების ნაკლებს „აქმაში“ როგორც „ადგილზე“, ისე „დროში“, თანაც ორივე ეს ფაქტორი ძირითადი უნდა იქნეს მიჩნეული.

ამასთანავე, უნდა შეინიშნოს (და ეს გარკვეული დროის შემდეგ განხილვა ცხად), რომ ჩვენს მიერ უკვე განხილული ფაქტორები სოციალურ-საზოგადოებრივი მიზანდასახულებას ყველა ორგანიზაციულ ასპექტს არ ამორჩავს. შევედილია ვამტკიცოთ, რომ გარე-სადგომების ორგანიზაციული სტრუქტურის „გაშფოვნის“ შესაძლებლობები ამაგად, როცა ობიექტი „მოლიანობაში“ წარმისაბუთი, ამორჩავდება, ხოლო მისი უფრო სასუფლიანი, გამოქვეყნებითი, ჩაბრუნებული უნდა იქნას დაჯერებული ანალიზის უფრო მაღალ დონეზე გადასვლასთან, რაც საგნის კლდეის დეტალიზაციის უფრო მაღალ ხარისხსად მივიყვანს.

მსუბუქი ავტობუსების ორგანიზაციული დაყენება-შენახვის ნაგებობათა მოდელიანი საქალაქო სისტემის შემსენს სხვადასხვა გარკვეული რაოდენობის ავტოსადგომების შექმნას, ავტომობილებთან ინტეგრირებას და მოთხოვნილებებს დამკვეთების პრობლემებს. ამ პრობლემებს გადაწყვეტისას კონკრეტულ ქალაქშიშენიშნობით და სოციალურ-ეკონომიური პრობემები უნდა იქნას გათვალისწინებული მოდელიანობაში.

ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ქალაქებში ავტომობილური დონის სრულად ზრდის პრობლემაში, ამ პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობს რიგი და რიგი კომპლექსური პრობემების გადაწყვეტას. საქართველოში კომპლექსური ორგანიზაცია პრობლემებისა, რაც გულისხმობს შესაბამისი ნაგებობების ფორმირების, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის საკითხების გადაჭრას, ჩისთვისაც უფრო დიდ უნდა იქნას გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური რეკონსტრუქციის თანამედროვე ეტაპზე მოქმედებული მიღწევები.

პრობლემების პრაქტიკული ამგვარი მიდგომა, უწინარეს ყოვლისა, დაეკარგებულა მთელი რიგი იმ ფაქტორების, ორგანიზაციული ასპექტების კომპლექსების გათვალისწინების აუცილებლობასთან, რომლებიც ზემოქმედებენ ამ ობიექტების ფუნქციონირებას და მათი შემაღლებული ელემენტების პარამეტრთა შეცვლასთან, რომელიც, იმავდროულად, დაეკარგებულა ინდივიდუალური საჩვენებლობის ავტომატის მექანიზმის ზრდის გამო გარათლებული სატრანსპორტ-ქალაქშიშენიშნობით პრობლემების გადაჭრასთან.

თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყოფენ ავტოსაგარეო ნაგებობების — მრავალსართულიანი გარე-სადგომების და მრავალსართულიანი ავტოსადგომების ტიპებს და სახეებს. ასეთი კლასიფიკაციის, სისტემატიკის აუცილებლობა და მნიშვნელობის მოუხვედრად, არსებული კლასიფიკაციები საშუალებას გვაძლევს დახასიათოთ ეს თუ ის ობიექტი ერთი, უფროს შემთხვევაში — რამდენიმე კლასიფიკაციის პარამეტრით. მათ არ შეუძლიათ მოგვცინ ობიექტის სტრუქტურულ მოდელიანი, რაც მათგანია, განუზავებული წარმოგვცინა, მათ არ შეუძლიათ შეგვიქმნან სრული წარმოდგენა ამ ობიექტის შემადგენელი ელემენტების ორგანიზაციული საწყისთა სპეციფიკაზე, ამ

ელემენტების როტულ ურთიერთშემოქმედ კავშირზე. ობიექტის გაზარება კი, როგორც ცნობილია, მისი მოლიანობის გაზარება-წარმოახდინად იწყება.

ჩვენი კლდეის ობიექტების შესწავლისათვის საქირაო მათი უმნიშვნელოვანესი, არსებითი ნიშნების (ტრულ მოლიანობაზე გაზარება, მათი, როგორც სისტემათა სისტემის, ე. ი. სისტემატიკის მოლიანობის განაღებება რაც ნიშნებს მათი ხარისხობრივი საზღვრების დადგენას. სისტემატიკის (კომპლექსური) პარამეტრების მიყენებით ტოპოლოგიური ატრიბუტული ინტერპრეტაცია გარკვეულ წარმოდგენას აქვს მისი ამ პარამეტრების მნიშვნელობაზე, მაგარა ვერ ხსნის თვით მათს შინაარსს. საქირაო მოდელის — ობიექტის, როგორც სისტემის კომპლექსური ორგანიზაციის, ყველაზე არსებითი თავისებურებების წარმოდგენა, რაც ორი ძირითადი — გარაქსშიდა და გარაქსგარე — სახით წარმოგვიდგება.

ასეთი კლდეის ობიექტების საშუალებას გვაძლევს სრულად, მაქსიმალურად მოვიყენოთ ავტოსადგომების (ავტოგარაკების) ფორმირებასთან, ექსპლუატაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული ასპექტი. ავტოგარაკების ორგანიზაციის პრაქტიკათა სისტემატიკის ნიშნების ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, ფუნქციონირება, ოქმვა საშუალებას იძლევა, რომ პროცესი წარმოვახსნოთ არა მარტო განუთარებაში, დინამიკაში, არამედ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური პრობლემის შესახებაც.

ნაშრომზე, სწორად ამო აიხსნება, რომ ჩვენ კომპლექსური ორგანიზაცია დაავიეთი სახეებად, ჩვენის აზრით, ასეთი დაყოფა აკონკრეტებს იმ მნიშვნელოვან ზოგადეორიულ დებულებას, რომ მსუბუქი ავტომობილების დროებითი სადგომა გარაკების ფუნქციონირების ეფექტურობის (უბარტელეს ყოვლისა, ეკონომიკური ფავლასახისთან) გასაძირკვებს როგორც შიდასაგარეო, ისე გარეგანად ორგანიზაციის პრობლემები.

ზემოთწამოქმდი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციული ფორმალურ-მათემატიკური მეთოდებით, ამისთვის საქირაო ევრისტეტიკული პროცედურის ფორმალისაციის სპეციფიკური საშუალებების შემუშავება და ავტორიტატიული ტერმინების გამოყენება.

ორგანიზაციული პარამეტრების გამოხატვის შესაძლებლობათა შესწავლა იმპლუტურად გამოხატული მათი დინამიკული ნიშნების მიხედვით, ჩვენის აზრით, შედეგ შესაძლებლობებს გვიხსნის (ეს დისპარატული ნიშნები — შემოთავაზებული კლასიფიკაციის ძირითადი ტოპოლოგიური გაცუებია, ევრისტეტიკული ფორმალისაციის ფორმალური საშუალება);

აუცილებელია ისეთი თეორიული მოდელის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცინ ემპირიული მასალის მთლიან მრავალსახეობიდან გამოვიყო ისეთი მასალა კონსტრუქციის (სისტემების), რომლებიც საშუალებას მოგვცინენ ეს მრავალსახეობა წარმოვსახოთ როგორც დანაწილებული (ანალიზის ტიპაზე), ისე სისტემატიკურად (სინთეზის ტიპაზე) სახით.

ამასთან, ობიექტის სტრუქტურირებული მოდელის შემუშავების სირთულე მდგომარეობს მისი, როგორც ისეთი ამისავალი სისტემური სტრუქტურის ფორმირებაში, რომელიც ამ ობიექტის შემუშავების პროცესში საშუალებას მოგვცინდ მთლიან გამოყვევებინა ახალი ინფორმაციის მიღების წყაროდ და, იმავდროულად, ინფორმაციის ფიქსაციის საშუალებად.

ეს დაეკარგებულა ამისავალი თეორიული კონსტრუქციის სტრუქტურის დეკომპოზიკაციასთან (დეტალისაციასთან), აღნიშნული შემუშავების პროცესში საშუალებას მოგვცინდ მთლიან გამოყვევებინა ახალი ინფორმაციის მიღების წყაროდ და, იმავდროულად, ინფორმაციის ფიქსაციის საშუალებად.

ამიტომ სახეებითი დიპლომატიკად მიზანია ვარაუდო, რომ თუ ეს მეტოდური ზერების მისაღები იქნება დაახლოებული ინფორმაციის სქემის მოლიანობაში რეალისაციისათვის, ცალ „ანალიზ-სინთეზის“ ამისავალი კონსტრუქციის ოპერაციის მოგვცინს საშუალებას და-

ვადენით, ოვით გარე-სადგომების ორგანიზაციის სტრუქტურა როგორ შემოქმედებს ამ ობიექტ-სისტემების ფუნქციონირებაზე და ამის საფუძველზე მივიღოთ პრინციპულად ახალი შედეგები.

„სისტემურობის“ ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია პრინციპი მთლიანობისა, რომელსაც სისტემოლოგი-მარტინსტეინი სისტემური მადგომის მეთოდოლოგურ საფუძველად მიიჩნევს.

საერთო მეთოდოლოგიური სქემის რეალიზაციის პირველ ეტაპს წარმოადგენს კვლევის ობიექტის (როგორც მაფორმალიზებული სისტემის) წარმოსახვა გარე-სადგომების ორგანიზაციის კომპლექსური სისტემის სისტემურ-სტრუქტურული მოდელის მეშვეობით.

ფორმალიზაციის მოცემულ ეტაპზე მისი, როგორც საკლდევი ობიექტ-სისტემის არის წვდომის საშუალებები, მეთოდური მნიშვნელობა მდგომარეობს უპირატესად იმაში, რომ ის თამაშობს მაორგანიზებელი საწყისის როლს, სახელდობრ, იგი საშუალებას გვაძლევს მაფორმალიზებული სისტემა წარმოვიდგინოთ დანაწილებული, ანალიზისთვის უფლაზე უფრო მისაღები, სისტემურ-სტრუქტურული სახით, რომელშიც შედის შიგნითგარეო სისტემის კომპლექსური ორგანიზაცია და გარეგარე სისტემის კომპლექსური ორგანიზაცია.

აუცილებელია კომპლექსური ორგანიზაციის ძირითად დებულებათა „გამოფრვა“ პრაქტიკული მიზნებისთვის საჭირო დეტალურობით.

სწორედ ამ მიზნის სორცესხმას გუნდების კვლევის საერთო სქემაში ჩაქოვილი ევრსტიკული ფორმალიზაცია, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, საშუალებას მოგვცემს დაეადგინოთ და გაეხსნათ მსუბუქი ავტომაქნიების დგომა-შენახვისთვის გამოწეული ნაგებობების — შრავალსარეულიანი გარე-სადგომებისა და შრავალარხინიანი ავტოსადგომების, როგორც ფართო ემპირიულ მასალაზე დამყარებული ობიექტ-სადგომების, კომპლექსური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

ტვადობის გავრდა თანამედროვე ავტოსადგომა ფუნქციურ-ექსპლუატაციური დაზისათების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. აქ წინე შეგავლითა ერთი საშუაო მიმოთვის წამოყენება: გარკვეულ პირობებში იქნება პრინციპული შესაძლებლობა იმისა, რომ ავტოგარაეხში, ავტოსადგომები გამოყენებულ იქნეს სივრცესა (ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში) და დროში ავტომობილების ნაკადების მოძრაობასა და განაწილებაზე შემოქმედების მოსახდენად. იმის გა-მოსარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს მიმოთვა, აუცილებელია გაანალიზდეს ობიექტ-სისტემების უკველი ქვადვის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია ამ ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ ობიექტის, როგორც საშუალოდ სისტემის, ორგანიზაციის სხვადასხვაგვარ ასპექტთა თავიებურებებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი უშთავრების ამოცანა, ამ შემთხვევაში ისაა, რომ გამოვავლინოთ ამოსავალი ფაქტორების კომპლექსი — ის სისტემისწარმოქმნელი ელემენტები, ურთიერთგამაბირობებელი კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ საკლდევი ობიექტს არა როგორც უზრლოდ სისტემას, არამედ როგორც მიზანწარაფულ, თანაც, მთელი რიგი უშთავრების ფუნქციურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლებით ოპტიმიზირებულ სისტემას.


სტრუქტურული ორგანიზაციის ძირითადი ამოსავალი ელემენტად გამოყოფთ სისტემას, რომელიც საეხებით გამოკვეცილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციას ასრულებს. ამ სისტემით ურად-დება უნდა გამაზვილდეს შედეგ ელემენტებზე (ქვიზიტებებზე):

- გარე-სადგომების მოცულობით-გეგმარებითი ორგანიზაცია;
- ავტოსადგომებით (გარაეხებით) სარგებლობისთვის გადახანალოთა სისტემის დიფერენცირება;
- ძირითადი შიგნითგარეო პროცესების კონტროლი და მართვა;
- გარაეგარე მომსახურების (ორგანიზებული ფორმების სისტემა) კონტროლი და მართვა;
- შილდაგარეო ორიენტაციისა და ძირითადი ფუნქციონალური ზონების კონტროლი და მართვა.


... გარე სადგომში (ავტოსადგომში) დაწეხებული საფასურის მეხედვით (იმ პირობით, თუ შილდაგარეო ორგანიზაციის სხვა ფაქტორები მალდობირებელ ბარიერს არ ქნისან), გამტარუნარიანობა შეიძლება მერყეოდდეს საათში 100-270 ავტომობილის ფარგლებში, — როცა საფასური დიფერენცირებულია, — 450-600 მანქანის



ავტოსადგომი-გარაეხი სან-ფრანცისკოში



ავტოსადგომი-გარაეხი ლონდონში



მიწისქვეშა გარაეხი ვენაში



ლია ტაიის მოედნები ავტოსადგომებისათვის

ფარგლებში, როცა სადგომები სარგებლობის საფასური ზოგიერთი სპეციალური ზებონი იანგარიშება.

ერთი საათის განმავლობაში საცენტრალ-სავაჭარო პოსტის კონტროლიორს შეუძლია თვალყურის მიადევნოს მაქსიმუმ 300 შემავლელ-გამოსვლელ მანქანას, მაშინ, როცა საზოგადო და სახალარო ავტომობილები და ავტომობილი შლაგბაუმების გამოყენება საათში 600-800 ავტომანქანის მომსახურების საშუალებას იძლევა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაპარაკია არა ობიექტის (როგორც სისტემის) ცალკეულ ლოკალურ ფუნქციებზე, რომლებსაც განსაზღვრავს შიდაგარეული ორგანიზაციის თავისებურებები, ერთად სპეციალური დანიშნულების სისტემის არსებობა, რამდენ გამოაღიონის შიგლი კომპლექსის, სასისტემო კომპლექსის მოიხიზნათა ერთიანობა, რომელიც საშუალებას იძლევა გაციოდეს ფუნქციონალურ-მიზნობრივი სპეციალური დიდი ტვავადობის მსხვილი ობიექტი.

ჩამოკლებება ახალი გეგმების ამ ობიექტებზე, როგორც სისტემაზე, დეკავრირებულია მათი არსებითი პარამეტრებისა და მახასიათებლების განსაზღვრასთან, რამაც მოიხიზნათ ახალი სტრუქტურა შეუძლებდა ორგანიზაციის მიზნობრივ დონეზე განილივისას, კომპლექსური ორგანიზაციის, როგორც წინასწარ „დაპროგრამირებულ“ სტრუქტურის, სისტემის ფორმირებისას, გამოავლევარ წინასწარ მიღებული გამოსავალი ფაქტორიდან, როგორც პირიადი (მნიშვნელოვანი) სტრუქტურული ელემენტებიდან.

ამ საფუძველზე სინთეზირებული მახასიათებლების ვარიანტებს ქვე ტარიორს, სისტემური-ფუნქციონალური ელემენტები ობიექტის ორგანიზაციის, რომელიც გამოსავალს გამოკლვისის საგნის ინტერესს, უკველი მახასიათებლის ვარიანტის (სტრუქტურის ვარიანტი) ფარგლებში ეს სისტემური-ფუნქციონალური ელემენტები განსაზღვრავენ მნიშვნელოვან მიზეზებს, კონკრეტულად — სისტემური ხარისხს, რომლებსაც არა აქვთ დამაშვებები მნიშვნელობა ობიექტ-სისტემის ფუნქციონირების მექანიზმში.

ამის გათვალისწინებით მიზნობრივ სინთეზში მიმართული სტრუქტურის, ზემოთ შემოტანილი რეკლემენტები გარეგარე ორგანიზაციის, გარემოთან ობიექტის დამოკლებულიკის გათვალისწინებით.

გარაუთხდა და გარე ორგანიზაციის სისტემის ცალკეული ფუნქციონალური ელემენტები თავისთავად არ უზრუნველყოფენ აუცილებლობას ურთიერთკავშირისას აუცილებელ ფუნქციონალური მექანიზმის „აბაზოშედალად“.

კონსტრუქტება მიზნობრივი სატრუქტურის სინთეზიდან ერთიანობა და გარემოს ელემენტებთან მათი ურთიერთკავშირისას საშუალებას ეძლევა გამოავლინოთ (დავალიწინოთ) ისეთი უკვე ზეორიად ერთიან სასისტემო თვისებები ობიექტისა, რომლებიც მუდამუნება

მხოლოდ მისი ექსპლუატაციისას, როგორც ერთიანი ორგანიზებული, სახელდობრ, როგორც შეუცარი სისტემისა.

ამ სახტემური შეყვარების ხარისხის ახსნავ გავავივიართ ქვემოთ.

პერიფერიული დამგროვებელი გარე-სადგომები (ავტოსადგომები) — ესაა სისტემური ორგანიზაცია, რომელიც გამოიწვლია, უპირატესად, მოგზაურობების დროს გამოყენებისათვის, რაც დეკავრირებულია ავტომობილების ხანგრძლივად პარკირებასთან.

ასეთი ობიექტების კომპლექსური მიზნობრივი ორგანიზაციის სტრუქტურა გულისხმობს მათზე დამგროვებელ-განმტვირთვითი ფუნქციების დასტრების და ისინი შევიქვლია განვიხილოთ, როგორც თავისებური „საწოდებები“ — შორს მიმავალი ავტორტანსპორტის დინებათა „დეპერის“ პირველი ნაზები.

ასეთ ნაგებობებში ავტომანქანათა დაგროვების პროცესის წარმატებით მიმდინარეობის მნიშვნელოვან პირობას (ქალაქში შემოსული მანქანების „დეპერის“ გზით) წარმოადგენს დამოსთვის მინიმალური მეარი საფასურის დაწესება, ადგენისა, ვიდრე ეს ქალაქის სხვა ნაგებობებში ზონებში განლაგებულ ავტოსადგომებშია დღევნელი.

გარე-სადგომები (ავტოსადგომები) „განმანაწილებლები“ — ესაა ნაგებობები, რომელთა ორგანიზაციული სტრუქტურაც გულისხმობს ავტომანქანების კომბინირებულად, უპირატესად, ხანგრძლივად პარკირებას.

სარგებლობის რა გარეგარე ორინტაციით, მხოლოდ (ავტომობილი) ელმულობს აუცილებელ ინფორმაციას — სადაა უახლოესი ავტოსადგომები, რომელიც ზაა უახლოესი მათგან და ა. შ. რაც განაპირობებს ავტოსადგომების ძებნაში ნაკლები დროის დატარებას.

ასეთი ობიექტები — „განმანაწილებლები“, სადისპეტერო სუნქტებთან ერთად, ქმნიან სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს სადრეწყო ქსელის პრინციპით: იგი „იუერის“ და მიმართულებას აძლევს (ანაწილებს) და „ნოკავს“ ავტორტანსპორტის დინებებს.

საგარეურო „განმანაწილებელ“ ავტოსადგომებზე დაწესებული უნდა იყოს ქალაქის ცენტრში განლაგებული ამავე დანიშნულების ობიექტებთან შედარებით დაბალი ტარიფი.

შიდასაქალაქო გარე-სადგომები (ავტოსადგომები) — „დამგროვებლები“ მიზნად ისახავს ავტომანქანების კომბინირებულ შენახვას, მათს ხანგრძლივად და შედარებით ნაკლებად დროით პარკირებას. უპირატესად, პერიფერიულ ზონებში განლაგებულ ამ „დამგროვებელ“ გარე-სადგომებს აქვთლიათ შემუდრეველ-განმტვირთვითი ფუნქციონირება. ასეთი „დამგროვებლებში“ ახლო მანძილზეზე მიმავალი ავტორტანსპორტის დინებათა თავისებური „საწოდები“ ნაგებობებია.

პერიფერიული „დამგროვებლებში“ მანქანების დაგროვება უნდა გან-

ხორციელდეს ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მანქანების შესვლის შეზღუდვის ხარჯზე. ასეთ გარემოში — „დამგროვებელში“ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი საექსპლუატაციო პირობები, რომლებიც შეემატებენ ავტორანსპორტის მდინარებას უშუალოდ ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, კერძოდ, შეიძლება ქალაქის ცენტრში გარკვეულ პერიოდში დაწესდეს აწეული ტარიფი.

მრავალპარტიულიანი გარე-სადგომები და მრავალპარტიულიანი ავტოსადგომები უშუალოდ ქალაქის ცენტრში მდებარეობენ და ისინი, უპირატესად, მსუბუქი მანქანების მცირე ზნით დაეყენებისთვისაა გამოწვდილი.

...უძველესი ობიექტის როგორც სახეტების, დახასიათების საფუძველზე, სინთეზირებისას „მოდერნიზაცია“ განსაზღვრავს ქუჩების ტემპს შემადგენელ ობიექტულ პარამეტრებს, რომლებიც აპირიზებენ ეფექტურ ფუნქციონირებას ამ ობიექტებისას, მათი საექსპლუატაციო რეჟიმის დაცვი.

